დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ-დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 17 - 23 მარტი

N 12 1583

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



ზვიადის მტერი სალომე ზურაბიშვილი ზვიადის დაბადების დღეს - 31 მარტს - **ანტიქართული მიტინგის** ჩატარებას გეგმავს! 2

## ჯამბულ გამცემლიძე:



11

წამომყვეს დედამისი გიული ჩემი შვილის საფლავზე...



9

ჯერჯერობით 13 პასუხგაუცემელი შეკითხვა მიხეილ სააკაშვილს

# ამათი რიში გაწყდეს! 6

## ლევან ანჯაფარიძე:

ვერ წარმოვიდგენდი, საქართველოს **ამდენი მოღალატე** თუ ჰყავდა!





4-5

## რუსეთის ამერიკა



15

მაკ-კინლის პიკი. 6190 მეტრი

როგორ იქცა რუსეთის იმპერიის უმაღლესი მწვერვალი ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს წერტილად




8

# ილონ მასკი და ევროპის უკანასკნელი მასკარადი!

## ზაზა პაპუაშვილი:



**ტრანს-გენდერი თაგვები! -**

10 აი, ამ გახრწნილი და გადაგვარებული ლიბერალიზმის სახე!

## სოზარ სუბარი:



12

სააკაშვილი თავისივე კანონებით რომ გაგვესამართლებინა, მარტო 9 მილიონის გაფლანგვის საქმეზე 40-წლიანი პატიმრობა ჰქონდა გარან-ტირებული!

## დემურ გიორხელიძე:

თუ ასე გაგრძელდა, 7-8 წელიწადში ქართველები ეროვნულ უმცირესობაში აღმოვჩნდებით! 19




„ევროკავშირი არის პოლიტიკური არარაობა!“

# გიორგი ბეზირგანი კრემლის აბლაბუდა 16

## მერაბ შათირიშვილი:



21 სააკაშვილი სწორედ აგვისტოს ომის გამო უნდა გასამართლდეს!

## ლაზარე ჯორბენაძე:

სააკაშვილს ომი დაგეგმილი ჰქონდა, მაგრამ ელოდებოდა ფარული დასის ბრძანებას!



„კონდოლიზა რაისი, ჰილარი კლინტონი და ჯეიმს აპატურაი, სააკაშვილთან ერთად, 2008 წლის აგვისტოს ომის დამნაშავეები არიან!“ 20

## ნატალია გომიაშვილი:



29

მამა ვერძის ნიშნით იყო დაბადებული, შეიძლება, ვერძის კულონიც ჰქონდა...



***ცნობილია, რომ გაზაფხულის პირველი თვე — მარტი — კატების ამძუვნების, ანუ ატეხვის სეზონია და სწორედ აქედან მოდის ფიგურალური გამოთქმა „მარტის კატასავით ატეხილი“, რომელსაც ზედმეტად აჟიტირებული, აღგზნებული და მავნებლურად ახუნტრუცებული ადამიანის დასახასიათებლად იყენებენ ხოლმე.***

თუმცა, წლევანდელი მარტი საქართველოში არამხოლოდ კატების, არამედ კოლექტიური ნაცების პოლიტიკური ატეხვის თვეც გამოდის, რადგან 31 მარტს, როგორც თვითონ ამბობენ, **„დიდი აქციის“** გამართვას გეგმავენ.

ნაცების **„დიდი აქცია“** რაც არის და რამხელაც არის, ბევრჯერ გვინახავს — სრული მობილიზაციის პირობებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, მაქსიმუმ, 10-15 ათას კაცს უყრიან თავს და მერე იძახიან— 200 000 კაცი გამოვიყვანეთო!

ჰოდა, ახლაც — **31 მარტსაც** — ასე იქნება!

რაც გვინახავს, ისევ ვნახავთ!

მარტში ატეხილთა შორის ყველაზე აქტიური, ესე იგი, ყველაზე ატეხილი **სალომე ზურაბიშვილი** გახლავთ და 31 მარტს **„დიდი აქციის“** ჩატარების იდეაც სწორედ მას ეკუთვნის — საერთო საკოორდინაციო ფრონტი უნდა შევქმნაო!

პოლიტიკურად ატეხილი რომ იქნები, თორემ რა ფრონტი და რის კოორდინაცია... სად აქვს **სალომე ზურაბიშვილს** ან ფრონტის, ან კოორდინაციის თავი. ერთი უსაქმური ქალია, რომელსაც პრეზიდენტის სტატუსის დაკარგვის შემდეგ თვით **ლევან ხაბეიშვილიც** კი ძაღლად არ აგდებს. თუ არ გჯერათ, აგერ, ნახეთ რა თქვა ეგზოტიკურმა ხაბემ: ***„სალომე ზურაბიშვილი რას საუბრობს, ჩემთვის აქტუალური და საინტერესო არ არის, ის აღარ არის პრეზიდენტი“.***

ის კი არა, **შარვალჩახდილი ბირჩი ჯაფარიძის** თანაპარტიელი რომ არის ვიღაც **ცოტნე კობერიძე,** პირზე რძეშეუმშრალი ბიჭუკელა, იმანაც კი განაცხადა: ***„თუ იქნება რაღაც ერთობა, რომლის ლიდერიც სალომე ზურაბიშვილი იქნება, მე მისი ნაწილი არ ვიქნები“.***

შენი პოლიტიკური და პიროვნული ავტორიტეტი **კეზერაშვილის** ხელისბიჭის — **ლევან ხაბეიშვილისა** და **შარვალჩახდილი ბირჩის** ხელისბიჭის — **ცოტნე კობერიძის** მასშტაბითაც რომ ვეღარ ვრცელდება, აბა, რომელი „დიდი აქციის“ ორგანიზებასა და „ერთიანი საკოორდინაციო ფრონტის“ შექმნაზე უნდა გქონდეს პრეტენზია?

მაგრამ **სალომე ზურაბიშვილი** მეტისმეტი ამბიციურობით, ეგოცენტრიზმითა და ძალაუფლებისადმი მიჯაჭვულობით არის ცნობილი!

ახლა კი ამას **მარტის ეფექტიც** ემატება!

**მარტის კატასავით** ატეხვის ეფექტი!

**სალომე ზურაბიშვილმა „დიდი აქციის“** ჩატარების თარიღად **31 მარტი,** ანუ 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის დღე და იმ რეფერენდუმის შედეგის საფუძველზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი **ზვიად გამსახურდიას** დაბადების დღე რომ შეარჩია, ესეც მის უტიფრობასა და ცინიზმზე მეტყველებს.



# მარტში ატეხილები

## 31 მარტს — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის დღეს — სალომე ზურაბიშვილი და ნაცები საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს კიდევ ერთხელ შეუტევენ!



საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი

1991 წლის 31 მარტი

სარეფერენდუმო ბიულეტენი

РЕФЕРЕНДУМ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

31 марта 1991 года

БЮЛЛЕТЕНЬ ДЛЯ РЕФЕРЕНДУМА

Согласны ли Вы, чтобы государственная независимость Грузии была восстановлена на основании акта о независимости от 26 мая 1918 года?

თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?

დიახ / ДА

არა / НЕТ



## ზვიად გამსახურდიას მტერი სალომე ზურაბიშვილი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს – 31 მარტს – მიტინგის ჩატარებას გეგმავს!

ჯერ ერთი, **ზურაბიშვილი** იმ მენშევიკების შთამომავალია, რომლებსაც 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა ხიდან ჩამოვარდნილი მწიფე ვაშლივით დაეცათ თავზე, თორემ მის მოსაპოვებლად ბრძოლა ფიქრადაც კი არასოდეს გაუვლიათ. ამიტომაც იყო, რომ **1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად თითი თითზე არ დააკარეს, დაავლეს ხელი ქვეყნის განძეულს და უკანმოუხედავად მოძუძგეს ემიგრაციაში.**

ნათქვამი რომ არის — ნაყოფი ხისგან შორს არ დავარდებაო, **სალომე ზურაბიშვილის** ამბავიც ასეა და მისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. მეტიც, **სალომე ზურაბიშვილმა თავისი 6-წლიანი პრეზიდენტობის ბოლო სამი წელი მთლიანად საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლას მოახმარა.** როგორც უცხო ქვეყნის აგენტსა და მარიონეტს შეეფერება, ძალისხმევას არ იშურებდა, რომ წინ აღდგომოდა საქართველოს ხელისუფლების ნების მიერ მცდელობას, რომელიც კოლექტიური დასავლეთის ნეოკოლონიალური მარწუხებიდან თავის დაძვრენასა და ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის გაძლიერებას ემსახურებოდა.

სხვათაშორის, სწორედ ეს ძალისხმევა დაუფასეს **სალომე ზურაბიშვილს** მისმა უცხოელმა პატრონებმა, როცა **გლობალური დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** ერთ-ერთი განყოფილებიდან — **მაკკეინის ინსტიტუტიდან** სტიპენდია დაუნიშნეს.

ასე რომ, მარტში ატეხილი ზურაბიშვილის მიერ **„დიდი აქციის“** თარიღად საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმისა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** დაბადების დღის — **31 მარტის** არჩევა, უბრალოდ, ფარისევლობაა და მეტი არაფერი!

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **სალომე ზურაბიშვილი,** თავის მეორე თუ პირველ ნახევართან — **ჯანრი კაშიასთან** ერთად, ზვიად გამსახურდიას დაუძინებელი მტერი იყო და მის წინააღმდეგ პასკვილების წერა ცხოვრების მთავარ საქმედ გაეხადა. ეს ხდებოდა ქართულ-ევროპული ინსტიტუტის **ჟურნალის „ივერიის“** ფურცლებზე, სადაც **სალომე ზურაბიშვილი — „სალომე ქართველის“,** ხოლო **ჯანრი კაშია „პეტრე იბერის“** ფსევდონიმით ესხმოდნენ თავს დამოუკიდებელ საქართველოსა და ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არჩეულ **პრეზიდენტ გამსახურდიას.**

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ისიც, რომ 1992 წლის იანვარში, როცა დამოუკიდებელი საქართველოს მტრებმა კანონიერი ხელისუფლება იარაღის ძალით ჩამოაგდეს, ზემოხსენებული ჟურნალის ფურცლებზე **სალომე ზურაბიშვილმა** დაწერა — **დიქტატორი გამსახურდია დემოკრატიულმა ძალებმა დაამხესო** და მთელ მაშინდელ პუტჩისტურ ოპოზიციას, **თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის** მეთაურობით, მადლობა გადაუხადა!

ახლა კი **ზვიად გამსახურდიას მტერი სალომე ზურაბიშვილი** ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს — **31 მარტს** — მიტინგის ჩატარებას გეგმავს!

**31 მარტს** — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის დღეს — **მარტის კატებივით** ატეხილი სალომე ზურაბიშვილი და ნაცები საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს კიდევ ერთხელ შეუტევენ!

**31 მარტს** საქართველო კიდევ ერთხელ იხილავს **გლობალური ფარული დასის** აგენტთა პოლიტიკური მძღვნობის საჯარო აქტს, რაც, ძალიან დიდი ალბათობით, მათი უკანასკნელი გაფართხალება იქნება!

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ **მარტში ატეხილები** პოლიტიკურადაც და მორალურადაც **ბოლომდე გატეხილები** არიან და საქართველოს შარს ვეღარ **აუტეხავენ!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**ტრამპის** ადმინისტრაციის მიერ დახურული ერთ-ერთი ორგანიზაციის მაღალჩინოსანმა **ჩემთან შეხვედრაზე** აღნიშნა, რომ უნდა გავყოლოდით გზავნილებს, **საუბარი იყო ომში ჩართვაზე.** ვუპასუხე, რომ **ეს ნიშნავდა ქვეყნის განადგურებას და ამას ხელს ვერ მოვაწერდით.** მან ორჯერ გამიმეორა ერთი და იგივე სიტყვები — **აგურის კედელს ეჯახებით!**

„პირველი არხი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



კორუმპირებული ადამიანის — **სააკაშვილის გაშვებას ითხოვს ევროპარლამენტი,** ამაზე დიდი სირცხვილი, **ამაზე დიდი მხილება თავად ევროპარლამენტის კორუმპირებულობისა, რა შეიძლება იყოს?**

„იმედინიუსი“

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



**ბაიდენის** დროს აშშ-ის ნამდვილი პრეზიდენტი იყო **ის, ვინც ავტოკალამს აკონტროლებდა.**

„იმედინიუსი“

**ჯეი დი ვენსი**
*აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი*



ვფიქრობ, **ევროპა ცივილიზაციური თვითმკვლელობის რისკის წინაშე დგას.** ევროპამ პატივი უნდა სცეს საკუთარ ხალხს, საკუთარ სუვერენიტეტს და ამერიკა ამას მის ნაცვლად ვერ გააკეთებს.

„იმედინიუსი“

# რადიოაქტიური დაშლა

*ქიმიური ელემენტის არამდგრადი იზოტოპის სხვა იზოტოპად გარდაქმნას რადიოაქტიური დაშლა ეწოდება, მაგრამ თამამად შეგვიძლია, იგივე სახელი — რადიოაქტიური დაშლა — დავარქვათ იმასაც, რაც პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციამ „რადიო თავისუფლებასა“ და რადიო „ამერიკის ხმას“ უქნა.*



## ტრამპის ადმინისტრაციამ „რადიო თავისუფლებასა“ და რადიო „ამერიკის ხმას“ დაფინანსება შეუწყვიტა!

საქმე ის არის, რომ **დონალდ ტრამპმა** 2025 წლის 15 მარტს გამოსცა აღმასრულებელი ბრძანება, რომლითაც **„რადიო თავისუფლებასა“** და **რადიო „ამერიკის ხმას“** ფედერალური დაფინანსება შეუწყდათ.

ამერიკულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, **„ამერიკის ხმის“** რადიო და ტელემაუწყებლობის თანამშრომლები ადმინისტრაციულ შვებულებაში გაუშვეს და სამთავრობო შენობებში შესვლისა და სამთავრობო სისტემების გამოყენების უფლებაც ჩამოართვეს.

პარალელურად, **„რადიო თავისუფლების“** მენეჯმენტმა აშშ-ის გლობალური მედიის სააგენტოსაგან მიიღო ოფიციალური წერილი დაფინანსების შეწყვეტის შესახებ.

— **პრეზიდენტ დონალდ ტრამპის აღმასრულებელი ბრძანება უზრუნველყოფს, რომ გადასახადების გადამხდელები აღარ დააფინანსებენ რადიკალურ პროპაგანდას!** — ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში, რომელიც **„რადიო თავისუფლებისა“** და **„ამერიკის ხმისათვის“** დაფინანსების შეწყვეტის კვალდაკვალ გავრცელდა.

მოგეხსენებათ, **„რადიო თავისუფლება“** ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ 1949 წელს დაარსებული რადიოსადგურია, რომელიც ევროპის, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მაუწყებლობს. თავის დროზე, მისი შექმნის მთავარი მიზანი საბჭოთა კავშირთან და კომუნისტურ პროპაგანდასთან ბრძოლა იყო, თუმცა, საბჭოთა იმპერიის დაშლისა და მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების ერთპიროვნული ჰეგემონიის დამყარების კვალდაკვალ, **„რადიო თავისუფლება“** ისევე, როგორც რადიო **„ამერიკის ხმა“,** თავად იქცა იმპერიალისტური პოლიტიკისა და პროპაგანდის ინსტრუმენტად.

**განსაკუთრებით ბოლო 30 წლის განმავლობაში, „რადიო თავისუფლებაც“ და მასზე 7 წლით უფროსი „ამერიკის ხმაც“ ნეოლიბერალური პროპაგანდის მებაირახტრეებად და ამერიკული დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის პოლიტიკური ინტერესების მსახურებად ჩამოყალიბდნენ, რამაც მათ მიმართ ნდობა სერიოზულად შეარყია.** თუნდაც იგივე

**„რადიო თავისუფლება“, რომელიც ცივი ომის შემდეგ დასავლური სამყაროსაგან „რკინის ფარდით“ გაყოფილ ქვეყნებში, მათ შორის, საბჭოთა საქართველოში მართლაც თავისუფალი სიტყვის სიმბოლოს წარმოადგენდა, დღეისათვის ნამდვილი თავისუფლების, ნამდვილი დემოკრატიისა და ყველა იმ ჭეშმარიტი ფასეულობის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად გადაიქცა, რომელთა ჩანაცვლებასაც გლობალური ლიბერალიზმი ანტირელიგიური, ანტიეროვნული და ანტი-ადამიანური კვაზიფასეულობებით ცდილობს!**







**იმედია, ტრამპის მიერ ჩატარებული რადიოაქტიური დაშლა ფსევდოთავისუფლებისა და ფსევდოდემოკრატიის იზოტოპებს ნამდვილ ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის იზოტოპებად გარდაქმნის!**

ლგბტ პროპაგანდა, აბორტის პროპაგანდა, ღვთივ დადგენილი სქესის გაუქმებისა და ათასობით გენდერის ნორმად გამოცხადების პროპაგანდა, უმრავლესობაზე უმცირესობის დიქტატის დამყარება, ლიბერალური ნარატივების საწინააღმდეგო აზრის ჩახშობა, კონსერვატიულად მოაზროვნე ადამიანების მარგინალიზაცია, პატარა ქვეყნებისა და ერებისათვის თვითმყოფადობისა და სუვერენიტეტის წაშლა და პირწმინდად ფაშისტური მიდგომა, რომ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები მხოლოდ ლიბერალებზე ვრცელდება, არალიბერალები კი, საერთოდ, ადამიანებად არ ითვლებიან! — აი, ამ ყველაფრის ინსტრუმენტებად და კულტივატორებად იქცნენ **„რადიო თავისუფლება“** და **„ამერიკის ხმა“,** რომლებიც, ერთ დროს, მილიონობით ადამიანს მართლაც თავისუფლების ბაირაღებად ესახებოდა და ავტორიტარიზმის უდაბნოში დემოკრატიის ოაზისად მიაჩნდა.

თუნდაც მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ **1954 წელს მიუნხენიდან სწორედ „რადიო თავისუფლების“ ეთერით მიმართა ქართველ ახალგაზრდებს სამშობლოდან გადახვეწილმა დიდმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ბოლშევიკურ რეჟიმთან სიკვდილამდე შეურიგებელმა გრიგოლ რობაქიძემ.** დღესაც, 73 წლის შემდეგაც კი, სულის სიმებს შეგირხევს „რადიო თავისუფლების“ აუდიოჩანაწერში „გველის პერანგის“ ავტორის ხმის მოსმენა:

> ***„გიხმობთ ქართველი მწერალი, რომელსაც მწერლური გეზით ჯერ კიდევ მარდათ აქვს ამართული მარჯვენათი მზიურ მეწამული ალამი საქართველოსი. ისმინეთ ხმა ჩემი და ჩემთან ერთად გადასძახეთ მშობლიურ მთა-ველებს: მზეგრძელ იყავ, საქართველო!“***

და რა დარჩა დღეს „რადიო თავისუფლებისაგან“?

და დარჩა დღეს „ამერიკის ხმისგან“?

**დარჩა მხოლოდ აგრესიული ლიბერალური, უფრო ზუსტად კი ფსევდოლიბერალური პროპაგანდა, რის გამოც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ მათი რადიოაქტიური დაშლა გადაწყვიტა!**

ქიმიური ელემენტების თავისთავადი გარდაქმნის უნარმა, ანუ **რადიოაქტიურმა დაშლამ** მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა და საკაცობრიო პროგრესს შეუწყო ხელი!

რას გამოიწვევს **რადიოაქტიური დაშლა,** რომელიც აშშ-ის ადმინისტრაციამ **„რადიო თავისუფლებასა“** და რადიო **„ამერიკის ხმას“** მოუწყო?

იმედია, ტრამპის მიერ ჩატარებული რადიოაქტიური დაშლა ფსევდოთავისუფლებისა და ფსევდოდემოკრატიის იზოტოპებს ჭეშმარიტი თავისუფლებისა და **ჭეშმარიტი დემოკრატიის იზოტოპებად** გარდაქმნის!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ანტინარკოტიკული კანონმდებლობის გამკაცრება** მიზნად ისახავს ნარკოტიკული საშუალებებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას და ადამიანების დახმარებას. **ნებისმიერ დროს მზად ვარ, გავიარო ნარკოშემოწმება.**

„იმედინიუსი“

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



**ვამკაცრებთ მიდგომას ნარკორეალიზატორების მიმართ.** არ აქვს მნიშვნელობა მარიხუანას გაყიდის ადამიანი, ჰეროინს თუ სხვა ნივთიერებას, **12-დან 20 წლამდე ემუქრება.** შეიძლება — საერთოდ **უვადო პატიმრობა** იყოს.

„იმედინიუსი“

**იოანე გორელიშვილი**
*დეკანოზი*



**ჩვენ მივესალმებით ნარკომოვაჭრეთა მიმართ კანონის გამკაცრებას.** ეს დღეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის.

„იმედინიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



მომავალში **ჩვენი ქვეყნის მიმართ აშშ-ის მიდგომებითა და თანამშრომლობის ფორმებით** გამოჩნდება, **მოხერხდა თუ არა ამერიკაში დიფ სთეითის დამარცხება.**

„რეზონანსი“

**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



**ბრიუსელის იმპერიას** არ სურს უკრაინის დახმარება, არამედ **სურს მისი კოლონიზაცია.**

„იმედინიუსი“

# ლევან ანჯაფარიძე: ვერ წარმოვიდგენდი, საქართველოს ამდენი მოღალატე თუ ჰყავდა!



„არ ვფიქრობ, რომ ისინი რამეს შეძლებენ. ალბათ, ეს სამარცხვინო წივილ-კივილი და გინება მალე დასრულდება!“



## „დოიაშვილები და მისთანები, როცა კულტურის სამინისტროსთან ვშიმშილობდი, ერთს გადმომხედავდნენ და ვითომ „დვორნიაშკა“ ძაღლი ვიყავი, ისე აგრძელებდნენ გზას!“

***კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და აცხადებს, რომ დღევანდელი ე.წ. ოპოზიცია ქვეყნის გადარჩენისთვის კი არა, საქართველოს გაცამტვერებისთვის იბრძვის, რაც კატეგორიულად მიუღებელია:***

— ის ადამიანები, რომლებიც დღეს აქტიურობენ და ადრე სააკაშვილის ინაუგურაციებს, ბანკეტებს, პარადებს, შოუებსა თუ სხვა წარმოდგენებს აფორმებდნენ, დგამდნენ ან რეჟისორობდნენ, არასოდეს მხარში არ დამდგომიან. მათ ჩემი ამბავიც კი არ უკითხავთ, როცა ნაცმოძრაობის რეჟიმის დროს, კულტურის სამინისტროს შენობასთან 15 დღე ვშიმშილობდი. ისინი შერბოდნენ სამინისტროს შენობაში, მაგრამ ერთი წამითაც არ გამოუხედავთ ჩემკენ. მოგეხსენებათ, „კინოცენტრში“ შექმნილ ვითარებას უკავშირდებოდა ჩემი მაშინდელი შიმშილობა....

**— ბატონო ლევან, დავით დოიაშვილი, ანუ ე.წ. დოი, რომელიც დღეს მსახიობების პროტესტს უდგას სათავეში, შიმშილობის დროს არ მოსულა და თანადგომა არ გამოუხატავს?**

— **დოიაშვილები და მისთანები,** როცა კულტურის სამინისტროსთან ვშიმშილობდი, ერთს გადმომხედავდნენ და ვითომ „დვორნიაშკა“ ძაღლი ვიყავი, ისე აგრძელებდნენ გზას. ასე რომ, მაგ ხალხს კარგად ვიცნობ. სხვათაშორის, ბევრმა თავისი ეს საქციელი მერე მოინანია და მეც არ ჩამიდვია გულში წყენა... ისე, ამასწინათ სოციალურ ქსელებში რაღაც დავწერე და ვიღაც გამომეპასუხა — კი მაგრამ, „დოიზეა“ საქმე? **შე დალოცვილო, დოიზე კი არა, ქვეყანაზეა საქმე, რადგან შინაური მტერი გარე მტერზე ბევრად უფრო საშინელი რამეა!**

**— პროტესტანტები და ნაცაქტივისტები ამტკიცებენ, რომ საქართველოს უკრაინის ომში არავინ ითრევდა და ეს ყველაფერი გამოგონილია! როგორც კინორეჟისორს, დარწმუნებული ვარ, უკრაინაში ბევრი მეგობარი და ნაცნობი გყავთ... უკრაინის ომში მართლა არ გვექაჩებოდნენ? ეს ყველაფერი ტყუილია და ჩვენ გველანდება?**

— ცხადია, ომში გვექაჩებოდნენ და ახლაც უნდათ ამ უბედურებაში ჩაგვითრიონ, რათა უკრაინისა და საქართველოს ხარჯზე პოლონეთმა, ბალტიისპირეთმა და სხვა ქვეყნებმა გარანტირებული მშვიდობა მიიღონ! ეჭვი არ მეპარება, როგორც კი ომი დასრულდება, მაშინვე დალაგდება ყველაფერი. დიდი ხანია, ჩუმად ვუყურებ საქართველოს ხელისუფლების მოქმედებას და ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, რომ ბატონი **ბიძინა ივანიშვილი** და მისი გუნდი გროსმაისტერის სიზუსტით უძღვებიან პოლიტიკურ საჭადრაკო პარტიას და ქვეყანა დანის პირზე გამოატარეს! გამჭვირვალობის კანონი იყო თუ რაც იყო, ეს ყველაფერი უნდა მიეღოთ და მიიღეს კიდეც.

**— რეალურად რა დგას იმ ე.წ. პროტესტის უკან, როცა ახალგაზრდა გოგონები, ე.წ. თეატრალები თუ მუსიკოსები, ვაგზლის ბომჟებივით იგინებიან? ეს ახალგაზრდები ამ ზომამდე ვინ ან რამ მიიყვანა?**

— ქალაქელი კაცი ვარ და, იცით, რა მაკვირვებს? ამ გოგონებს თავიანთი უზნეობისა და უზრდელობის ასე სახალხოდ გამოვლენა და გამოაშკარავება რატომ არ ერიდებათ? ესენი ამ ქვეყანაში ცხოვრებას აღარ აპირებენ? მათ უკან დგას ზუსტად ის ძალები, რომლებსაც ყველაზე მეტად არ მოეწონათ ცნება — **სუვერენიტეტი.** თუ საქართველოს სუვერენიტეტი არ ექნება, თუ ქვეყანა ფეხზე ვერ უნდა დადგეს, მაშინ ვყოფილიყავით იმ რუსეთში, უფრო დაცულიც ვიყავით და უსაფრთხოდაც ვგრძნობდით თავს!

**— ოპოზიცია გაიძახის, რომ საქართველოში არჩევნები გაყალბდა! რას იტყვით?**

— კი მაგრამ, თავად ოპოზიციის ლიდერები არ გამოდიოდნენ და არ გვეუბნებოდნენ, რომ ასეთი დაცული ხმის მიცემის აპარატურა მსოფლიოში არ არსებობს და არჩევნების გაყალბება წარმოუდგენელიაო? ე.წ. ოპოზიციას როგორც მოუნდება, ისე ჭრის და კერავს. გულწრფელად გეტყვით — ვერ წარმოვიდგენდი, საქართველოს ამდენი მოღალატე თუ ჰყავდა! მთელი მსოფლიო გაღიზიანდა ჩვენი სუვერენიტეტის გამო... სხვათაშორის, ამ ხელისუფლებამ ე.წ. ოპოზიციას ბრძოლა

## კვირგვინოსნები

### თენგიზ შარმანაშვილი
*პარლამენტარი*



აშშ-ის სპეცსამსახურები აღნიშნავენ, რომ **ტერორისტულ ორგანიზაციებში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობის შემთხვევები აღარ გვაქვს,** ეს უზარმაზარი წარმატებაა. „პირველი არხი“

### დავით მათიკაშვილი
*პარლამენტარი*



ჩვენ აქამდეც მოგვისმენია აშშ-ის, ჩვენი სხვა პარტნიორების მხრიდან კონკრეტული განცხადებები, ანგარიშები, სადაც **ტერორიზმთან ბრძოლის მიმართებით საქართველოს მიღწევები არის დაფასებული და ხაზგასმული.** ახლა ვხედავთ მოცემულობას, რომ ჩვენი ქვეყანა რეგიონში რამდენიმე პუნქტით დაწინაურდა. **ეს არის იმ სწორი პოლიტიკის დამსახურება, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.** „პირველი არხი“

### გურამ მაჭარაშვილი
*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*



**საქართველოზე ზეწოლის განცხადებები რომ აღარ კეთდება თეთრი სახლიდან,** ესეც შეღავათია, თუმცა, **დიფ სთეითი, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ევროპულ ბიუროკრატიაში,** საქართველოზე ზეწოლას ახორციელებს. „იმედინიუსი“

### გია ვოლსკი
*პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი*



**ზურაბიშვილი** დღეს თავისი **„ფუფალას ქოლგით“** გამოჭენებულია პოლიტიკურ ასპარეზზე, **ზურაბიშვილით საპაკაშვილის ჩანაცვლების პროცესი** ინტენსიურად მიმდინარეობს. „პირველი არხი“

### ბექა დავითულიანი
*კულტურის მინისტრის მოადგილე*



თეატრალური უნივერსიტეტის რექტორმა მიიღო სწორი გადაწყვეტილება, **აღუდგინა შეჩერებული სტატუსი სტუდენტებს,** საკითხი ამოწურულია, სტუდენტებს შეუძლიათ, განაგრძონ სწავლა. „პირველი არხი“

## „არ ვიცი, მსოფლიოში არსებობს თუ არა ასეთი პრაქტიკა, მაგრამ ბატონმა ლაშა ნადარეიშვილმა ჩემი ფილმი კადრებად დაშალა და „ასავალ-დასავალში“ სრული სახით წარმოადგინა. აი, ასე ნახა ქართველმა კაცმა მაშინ „მას საქართველო ჰქვია...“ როგორ შეიძლება, ამის შემდეგ მე ბატონი ლაშასა და „ასავალ-დასავალის“ მადლობელი არ ვიყო?!“



# «ბატონი ბიძინა და მისი გუნდი

## გროსმაისტერის სიზუსტით უძლევებიან პოლიტიკურ საჭადრაკო პარტიას. არცერთი შეცდომა მათ არ დაუშვიათ და ქვეყანა დანის პირზე გამოატარეს!“

პირწმინდად იმიტომ მოუგო, რომ ხელისუფლება მართლაც ქვეყნის სუვერენიტეტს იცავდა და ხალხმა ეს დაინახა. აი, მაგალითად, 14 მარტს, კინოს სახლში გაიმართა ჩემი შემოქმედებითი საღამო, სადაც გავუშვი 2006-2007 წლებში გადაღებული ფილმი **„მას საქართველო ჰქვია“.** როცა ცხონებულმა **ირინა ენუქიძემ** დაიძახა — ხალხო, გვერდით დამიდექითო! — ავდექი და შვილმოკლულ ოჯახებზე 75-წუთიანი დოკუმენტური ფილმი გადავიღე. ეს ის ფილმია, რომელიც სააკაშვილმა აკრძალა... **„ასავალ-დასავალი“ იყო ერთადერთი გაზეთი** და ბატონი **ლაშა ნადარეიშვილი** ერთადერთი კაცი, რომელმაც წარმოუდგენელი რამ გააკეთა... არ ვიცი, მსოფლიოში არსებობს თუ არა ასეთი პრაქტიკა, მაგრამ მან ჩემი ფილმი კადრებად დაშალა და „ასავალ-დასავალში“ სრული სახით წარმოადგინა. აი, ასე ნახა ქართველმა კაცმა მაშინ ჩემი ფილმი. როგორ შეიძლება, ამის შემდეგ მე ბატონი ლაშასა და „ასავალ-დასავალის“ მადლობელი არ ვიყო?! სხვათაშორის, მაგ ფილმში ორი გენიოსი მყავს გადაღებული, რომლებიც დღეს მთაწმინდაზე განისვენებენ — ქალბატონი **ანა კალანდაძე** და ბატონი **ოთარ ჭილაძე!** დღევანდელი დღე არის ნაჩვენები ამ ფილმში... ქალბატონი ანა ასეთ რამეს ამბობს — **ჩვენ რომ ერთმანეთის ენა გვესმოდეს, ჩვენ რომ ერთმანეთის არ გვშურდეს, ჩვენზე ბედნიერი ხალხი არ იქნებოდაო!** ხოლო ბატონი ოთარი გვარწმუნებს — **ჩვენ დღესაც კი ვიბრძვით იმისთვის, რათა ამ მზისქვეშ ჩვენი ღირსეული ადგილი მოვიპოვოთო!** აი, ასეთი საოცარი დამთხვევებია ამ ფილმში, რომელიც ოცი წლის წინათ არის გადაღებული. არცერთმა ტელევიზიამ მაშინ ეს ფილმი არ გაუშვა, საერთოდ აკრძალული იყო მასზე ლაპარაკი და ბატონმა **ლაშა ნადარეიშვილმა და „ასავალ-დასავალმა“** იტვირთეს ეს უმძიმესი მისია... ამის გამო, მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში, ვალდებული ვარ, თქვენი მადლიერი ვიყო! გახსოვთ, ალბათ, მაშინ სააკაშვილის რეჟიმმა ამ ფილმის გამო სტუდია დამიწვა...

**— ეს ე.წ. თეატრალები რომ არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების ავანგარდში შემთხვევით არ დგანან, ფაქტია! მაინც რა შესთავაზეს მათ ქვეყნის ღალატის საფასურად?**

— ფაქტია, რომ ეს ხალხი იქ ტყუილად არ დგას და რაღაც ინტერესი აქვს. ვის რა შესთავაზეს, ეს მე არ ვიცი... ისე, ჩემთანაც იყვნენ მოსული — გვერდით დაგვიდექითო! — მაგრამ უარით გავისტუმრე... ამის მეტი ჩემთვის არავის არაფერი შემოუთავაზებია და ვერც გაბედავდნენ შემოთავაზებას, რადგან მე ჩემი ქვეყნის ოპოზიციაში ვერ ვიქნები! თუ ოპოზიციაში წავალ, აუცილებლად ვიქნები კონსტრუქციული და არა ბოროტი, რომელიც მზადაა, ყველაფერზე წავიდეს. საერთოდ, ოპოზიცია, რომელიც კონსტრუქციული არ არის, მტერია! დღევანდელი ე.წ. ოპოზიცია ქვეყნის გადარჩენისთვის კი არა, საქართველოს გაცამტვერებისთვის იბრძვის, რაც კატეგორიულად მიუღებელია!

**— როგორც კინორეჟისორი, როგორ შეაფასებთ ამერიკის ელჩის გამომეტყველებას, როცა ის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაკა ბოჭორიშვილს შეხვდა?**

— **რობინ დანიგანის** სახით ჩვენ წინ იჯდა გაბოროტებული ასპიტი, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრა ამერიკიდან უბრძანეს! საერთოდ არ მაინტერესებს ელჩის სახე, ფაქტია, რომ ამით მოხდა შეერთებული შტატების მიერ საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაცია.

**— რა იქნება ამ საქმის ბოლო, რით დასრულდება ეს ყველაფერი?**

— ახლა ერთი რაღაც უნდა ვთქვა: როცა პოლიციელებს, რომლებიც მუნდირს ატარებენ და ქვეყანას იცავენ, პანჩურს ურტყამ, ქვასა და „მოლოტოვის კოქტეილს“ ესვრი ან პიროტექნიკას უშენ, რატომ გიკვირს, რომ ამ ყველაფრის შემდეგ შეიძლება დაგიჭირონ? ვინც ამას სჩადის, ისინი ან სულელები არიან, ანდა ძალით ისულელებენ თავს და ქვეყანას მტრობენ! მაინც მინდა, ჩავთვალო, რომ მათ შორის ბევრია გზააბნეული, რომელსაც უნდა მიეცეს დრო, რათა იპოვოს გამოსავალი და ჭეშმარიტების მხარეს დადგეს. რაც შეეხება იმათ, ვინც უბინძურეს რაღაცებს მღერის, მაგათ არაფერი ეშველებათ, კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს!

**— ე.წ. დოისა და მისი დასის ქუჩა-ქუჩა წანწალს რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს?**

— არავითარი პერსპექტივა ამას არ ექნება! ამათ, ვინც მათნაირი იყო, უკვე აიყოლიეს და მორჩა... ჩვენ დასაკარგი ქართველები არ გვყავს, მაგრამ ეს ხალხი საზოგადოებისთვის ჯერჯერობით დაკარგულია. არ ვფიქრობ, რომ ისინი რამეს შეძლებენ. **ალბათ, ეს სამარცხვინო წივილ-კივილი და ზიზღი მალე დასრულდება.** სხვათაშორის, ეს რომ ასე იქნება, ამის დიდ იმედს მაძლევს ის ხალხმრავალი აუდიტორია, რომელმაც ჩემს შემოქმედებით საღამოზე მქუხარე აპლოდისმენტებით დამაჯილდოვა!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**იაგო ხვიჩია**

*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*

საბოლოო ჯამში, ოპოზიცია დალაგდება იმაზე, რომ **თვითმმართველობის არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა,** რადგან ასე მარტივად არ დაანებებს ქართველ ხალხს თავს.

ნაკლებად მჯერა **სალომე ზურაბიშვილის** ლიდერობის, **ხაზარაძეს** ფული აქვს და იჩალიჩებს ლიდერობაზე.

„პირველი არხი“



**გია აბაშიძე**

*ანალიტიკოსი*

როცა **მოღალატე გახარიას** უსახური თოჯინები **კახა კალაძისა** და სხვათა კაცობაზე ხმას იღებენ, ეს ბოროტი კომედიის ჟანრიც არაა, ეს უფრო **ჭაობის ბინადართა სასოწარკვეთილი ყიყინია.** „იმედინიუსი“



**ლევან ნიქოლეიშვილი**

*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი*

სასაცილოზე მეტია, **გახარიას** გუნდიდან ვინმე ხმას ამოიღებს და **კალაძეს** „კაცობაში ჩაჭრილს და ჭორიკანას“ რომ უწოდებს. **კაცობაში ჩაჭრილზე, უკნიდან გუნდისთვის დანის ჩამცემზე** თუ ვინმე გახსენდება — უსათუოდ **გახარია.**

„იმედინიუსი“



**დავით ჩიხელიძე**

*ექსპერტი*

**კალაძისგან** განსხვავებით, **გახარია** კაცობაში არაერთგზის ჩაჭრილი, პოლიტიკურად გაკოტრებული ადამიანია, რომელმაც **ქვეყანას და საკუთარ გუნდს,** არც მეტი, არც ნაკლები, **მელიას გამო უღალატა.**

„იმედინიუსი“

# ამათი რიში გაწყდეს!

***კონგრესმენ ჯო უილსონის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით შემუშავებულ და აშშ-ის სენატში წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელსაც „მეგობარი აქტი“ (ინგლ. MEGOBARI Act) ჰქვია, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე რახანია, მტერი აქტი ვუწოდეთ, რადგან იგი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული და რადიკალური ნაცოპოზიციისათვის ზურგის გამაგრებას ემსახურება.***

კერძოდ, **„მეგობარი აქტი“** შედგენილია საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლისათვის, რათა მან, ამერიკული სანქციების შიშით, წინააღმდეგობა ვერ გაუწიოს ე.წ. **ДИФ СТЕЙТИС, ანუ ფარული დასის** გეგმას, რომელიც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობასა და ქვეყნის სათავეში ნაცლიბერალური აგენტურის მოყვანას ითვალისწინებს.

რაც მთავარია, **„მეგობარი აქტი“** მიზნად ისახავს საქართველოს ხელისუფლების დასჯას იმის გამო, რომ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი არ გახსნა და ლიბერალ-გლობალისტების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღო კანონები **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა“ და „ოჯახური ღირებულებების დაცვის შესახებ“.**

მოკლედ, **მტერი აქტი,** რომელსაც ამერიკული **ფარული დასის** ადეპტებმა ცინიკურად **„მეგობარი აქტი“** დაარქვეს, ქართულ სახელმწიფოს საკუთარი სუვერენიტეტის დაცვას უკრძალავს და ეუბნება, რომ ლიბერალიზმის მონობიდან თავის დაღწევის მცდელობაც კი დასჯადია!

ჰოდა, 2025 წლის 11 მარტს, თბილისის დროით საღამოს 6 საათზე, აშშ-ის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში, რესპუბლიკელი სენატორის **ჯიმ რიშისა** და დემოკრატი სენატორის **ჯინ შაჰინის** ინიციატივით, **„მეგობარი აქტის“** განხილვა იყო დაგეგმილი, რასაც საქართველოს ნაცლიბერალური სექტა დიდი იმედითა და გულისფანცქალით ელოდა.

იმ დღეს, 2025 წლის 11 მარტს, სანამ თბილისში საღამოს 6 საათი დადგებოდა, ნაცლიბერალური ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებები ლამის დროის ათვლით იწყებოდა — **ამერიკის სენატში „მეგობარი აქტის“ განხილვამდე ამდენი და ამდენი საათი, ამდენი და ამდენი წუთი, ამდენი და ამდენი წამი დარჩაო!**

ესე იგი, ამერიკის სენატში საქართველოს ხელისუფლების განკითხვის დღე ახლოვდებაო!

4 საათში... 3 საათში... 2 საათში... 1 საათსა და 27 წუთში, ივანიშვილის რუსულ რეჟიმს ამერიკის სენატში ორპარტიული პოლიტიკური არმაგედონი ელოდებაო!

ეგეც თქვენი **ტრამპი,** იმედიანად რომ ელოდებოდით და გეგონათ, თქვენიანი იყო, ახლა ნახეთ, რაც მოგივათო!

მოკლედ, იყო ერთი ჟრიამული, კბილების კაწკაწი და ხელების ფშვნეტა ნაცლიბერალების კლასტერში!

მაგრამ ნაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო!

ხოლო ბიძია-ბაბუა ქრისტეფორე მგალობლიშვილსაც თუ დავესესხებით — **ო, რა მოულოდნელად ჩამოჰკრა უბედურების ზარმა!**

ამერიკის სენატში **„მეგობარი აქტის“** განხილვა ვერ შედგა და გაურკვეველი ვადით გადაიდო, მიზეზად კი პროცედურული საკითხები და რესპუბლიკელ და დემოკრატ სენატორებს შორის შეუთანხმებლობა დასახელდა.





დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ-დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 13 – 19 იანვარი

N 3 1574

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

მტერი MEGOBARI Act აქტი 4

ვამხილოთ ფარული დასი!

ვამხილოთ DEEP STATE! 2-3

ან ქართული სახელმწიფო გაანადგურებს ფარულ დასს, ან ფარული დასი გაანადგურებს ქართულ სახელმწიფოს! 6

ამერიკელი ხალხი კოლექტიური ჯოჯოხეთისგან, ანუ 5

ჯოჯო: ჯო უილსონი და ჯო ბაიდენი

ჯო ბაიდენისა და

ბონდო ქურდაძე:

ბიძინა ივანიშვილი გიორგი ბრწყინვალეს

რაზე ვერ შეთანხმდნენ, ნეტავი?

რაზე ვერ დაიყოლიეს რესპუბლიკელი სენატორების უმრავლესობა **ჯიმ რიშმა და ჯინ შაჰინმა,** რომლებიც საქართველოს ხელისუფლების გამოკვეთილი მტრები და ნაცრეჟიმის ნარჩენთა თავგადაკლული ფანები არიან?

შემთხვევით, ისე ხომ არ ხდება, რომ რესპუბლიკურ პარტიას **„მეგობარი აქტი“,** რომელიც აშშ-ის პრეზიდენტს საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნებისათვის სანქციების დაწესებისკენ მოუწოდებს, ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკასთან შეუსაბამოდ მიაჩნია?

ტრამპის ადმინისტრაცია, რომელმაც ე.წ. **ДИФ СТЕЙТИС, ანუ ფარული დასის** ერთ-ერთი მთავარი ბასტიონი — **იუსაიდი** დახურა, იქნებ ფიქრობს: **კი მაგრამ, რატომ უნდა დავასანქციროთ საქართველოს ხელისუფლება? იმიტომ, რომ იუსაიდის მიერ დაფინანსებული რევოლუცია და გადატრიალება არ დაუშვა?**

იგივე **ტრამპის ადმინისტრაცია,** რომლის უმთავრეს საგარეო პრიორიტეტს უკრაინაში ომის დასრულება და მსოფლიოში მშვიდობის დამყარება წარმოადგენს, იქნებ დაინტერესდა: **მაინც რატომ გადაეკიდა ე.წ. ДИФ СТЕЙТИ, ანუ ფარული დასი საქართველოს?** იმიტომ ხომ არა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მეორე ფრონტი არ გახსნა და რუსეთ-უკრაინის ომში არ ჩაება?

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ

## კვირგვინოსნები

**სანდრო თავართქილაძე**
*ექსპერტი*



მგონია, რომ **ტრამპის პრეზიდენტობა არ დასრულდება კეთილად. არ გამოვრიცხავ, მისი იმპიჩმენტიც ვიხილოთ. ტრამპის** გაპრეზიდენტება ნეგატიური, მეტიც, **ანტიამერიკული მოვლენა იყო,** რაც ცხადყოფს თვითონ ამერიკელ საზოგადოებაში არსებულ ძალიან დიდ პრობლემებს.

„კვირის პალიტრა“

**თამარ კიკნაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი, პროფესორი*



ვიმედოვნებ, **ამერიკასთან ურთიერთობები დალაგდება.** მეტიც, ჩვენსა და რუსეთს შორის **შუამავალი შეიძლება, აშშ-იც კი იყოს.**

„საერთო გაზეთი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**თუ ტრამპი პუტინს უკრაინის საზიანოდ გაურიგდება,** ეს ჩვენთვის კარგი როგორ უნდა იყოს? **დღეს ჩვენ სწორედ უკრაინის ომი გვიცავს.** შეიძლება, უკრაინას **ტრამპისგან** მართლაც **სერიოზული პრობლემები ჰქონდეს,** მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ოცნებასაც“ **არ ექნება პრობლემები.**

„კვირის პალიტრა“

**კახა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



არიან პარტიები, რომლებიც **ერთმანეთთან არ სხდებიან** — ის თუ მოვა, წავალ... **მგელი და ცხვარივით ვართ.**

„რეზონანსი“

**ელენე ხოშტარია**
*„კოალიცია ცვლილებისთვის“ წევრი*



**ხელისუფლების შეცვლის შემდეგ** ჩვენ გვექნება მდგრადი, თავისუფალი, კვალიფიციური **საჯარო სამსახური.**

„პირველი არხი“

# აშშ-ის ელჩისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრის გამო ნაცლიბერალურ სექტაში გლოვის კარი დგას!



ელჩი დანიგანი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრ მაკა ბოჭორიშვილთან შესახვედრად საკუთარი ინიციატივით არ მისულა — მას ამის გაკეთება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან დაავალეს, რაც ტრამპის ადმინისტრაციის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაციას ნიშნავს!

**ამერიკასა და მთელ მსოფლიოში კოლექტიური რიშის პოლიტიკური ჯიშის გაწყვეტა საქართველოზეც აისახება და ნაცლიბერალურ სექტას,** ერთხელ **ბიძინა ივანიშვილის** მიერ მოყოლილი ცნობილი ანეკდოტისა არ იყოს, ბუტკაში შეიყვანს! მერე კი ბუტკიდან რამდენიც უნდათ, იძახონ — **არ ვართ იმნაირებიო!**

**ჯაბა ხუბუა**



ამერიკის სენატში საქართველოსთან დაკავშირებით **მტერი აქტის** განხილვა ჩაიშალა, ხოლო

**სენატორმა ჯინ შაჰინმა, რომელიც მტერი აქტის განხილვის ერთ-ერთი ინიციატორი იყო, გამოაცხადა, რომ პოლიტიკიდან მიდის და მომავალ წელს სენატის არჩევნებში კენჭს აღარ იყრის.**

საინტერესოა, რას იზამს, **მტერი აქტის** განხილვის კიდევ ერთი ინიციატორი, სენატორი ჯიმ რიში, რომელმაც 2020 წელს, არც მეტი, არც ნაკლები, თვით **ჟორიკა რურუას** კი პოლიტიკურ პატიმრად გამოაცხადა და **პრეზიდენტ ზურაბიშვილის** დაჟინებით მოუწოდებდა მისი შეწყალებისაკენ?

წავა **რიშიც** ამერიკის პოლიტიკიდან?

იმის დრო კი ნამდვილად დამდგარია, რომ **კოლექტიური რიშის პოლიტიკური ჯიში** არამხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში გაწყდეს, რადგან ეს ბოროტი, მავნებლური, ბილწი და გარყვნილი პოლიტიკური **ჯიშია!**

ისე, კაცმა რომ ჩაილაპარაკოს — **ამათი რიში გაწყდესო,** პოლიტიკურ წყევლაში ჩაითვლება თუ პოლიტიკურ ნატვრაში?

ალბათ, ორივეში ერთად!

ზოგადად, **კოლექტიური რიშის პოლიტიკური ჯიშის გაწყვეტისკენ** რომ მიდის, ამაზე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის **რობინ დანიგანის** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მისვლა და მინისტრ **მაკა ბოჭორიშვილთან** შეხვედრაც მეტყველებს, რაც სწორედ მას შემდეგ შედგა, რაც სენატში საქართველოსთან დაკავშირებული **მტერი აქტის** განხილვა ჩაიშალა.

**დანიგანისა და ბოჭორიშვილის** შეხვედრის კვალდაკვალ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია:

*„შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის დღის წესრიგი და აღნიშნეს, რომ ორი ქვეყნის პარტნიორობა, რომელიც საერთო ღირებულებებსა და ინტერესებს ეფუძნება, პოზიტიურ დინამიკას საჭიროებს, რისი მზადყოფნაც საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ დაადასტურა. შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა გამოხატეს მზადყოფნა, აქტიურად იმუშაონ ორი ქვეყნის სტრატეგიულ თანამშრომლობაში პროგრესის მისაღწევად“.*

განცხადება გაავრცელა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომაც:

*„დღეს **ელჩი დანიგანი** შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრ **მაკა ბოჭორიშვილს** და გააცნო პრეზიდენტ ტრამპისა და სახელმწიფო მდივან რუბიოს მთავარი პრიორიტეტები, ასევე, ის ნაბიჯები, რომელიც საქართველოს შეუძლია გადადგას, რათა აჩვენოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისადმი სერიოზული დამოკიდებულება“.*

კი მაგრამ, **რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც აშშ-ის საელჩო ღიად იყო ჩართული საქართველოს ხელისუფლების რევოლუციური გზით დამხობის პროცესში და თავის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე აქვეყნებდა ე.წ. ქარდებს, რომლებიც სალომე სამადაშვილისა და ჭუჭუ ვაშაძის დაწერილი გეგონებოდა?**

შეიცვალა ის, რომ შეერთებული შტატების ხელისუფლებაში **ტრამპის** ადმინისტრაცია მოვიდა და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა **ლიბერალურ ფარულ დასს,** რომლის ერთ-ერთ რგოლსაც საქართველოში ამერიკის საელჩო წარმოადგენდა!

რა ლაპარაკი უნდა, რომ **ელჩი დანიგანი** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში **მინისტრ ბოჭორიშვილთან** შესახვედრად საკუთარი ინიციატივით არ მისულა — მას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან დაავალეს, საქართველოს ხელისუფლებასთან კომუნიკაცია განაახლოს და ურთიერთობა მოაწესრიგოს, რაც **ტრამპის ადმინისტრაციის** მხრიდან საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაციას ნიშნავს!

ამას კარგად ხვდებიან ნაცლიბერალურ სექტაშიც, სადაც აშშ-ის ელჩისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრის გამო გლოვის კარი დგას!

გლოვობენ, რადგან გრძნობენ და იციან —

## კვირგვინოსნები

**ვიქტორ ყიფიანი**

*ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე*



უკრაინის მაგალითზე შესაძლოა, **აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საზღვრებთან დაკავშირებით მორიგი უსიამოვნო პრეცედენტის მოწმენი გავხდეთ.** იმედია, ჯერ ის მატარებელი არ გასულა სადგურიდან, რომელსაც შეიძლება შევახტეთ და ჩვენი ინტერესი გამოვკვეთოთ შემდეგი ფრაზით: **„არაფერი საქართველოს შესახებ საქართველოს გარეშე“.**

„კვირის პალიტრა“

**ბიძინა ლებანიძე**

*საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი*



თუ **პუტინმა** გადაყლაპა უკრაინა, **შემდეგი ომი აუცილებლად ევროპის რომელიმე ქვეყანასთან ექნება. პუტინი** აუცილებლად დატესტავს ნატოსა და მისი ქოლგის ქვეშ მყოფი ქვეყნების უსაფრთხოებას.

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ კაპანაძე**

*გენერალ-მაიორი*



ევროპას აქამდე ეგონა, დიდი ომები აღარ იქნებოდა, მაგრამ **ახლა მოუწევთ წელებზე ფეხის დადგმა, რადგან საქმე ეხება ევროპის უსაფრთხოებას და გაცილებით ძვირი დაუჯდებათ რუსეთისგან საკუთარი ქვეყნების დაცვა,** ვიდრე ახლა უკრაინის დახმარებაა.

„კვირის პალიტრა“

**ზურაბ ქადაგიძე**

*„ხალხის ძალის“ წევრი*



გვირგვინივით აჯდება **„მკვდარი ცხენის თეორია“** ჩვენს **რადიკალურ ოპოზიციას** — ქმნიან პარტიებს, ცვლიან სპიკერებს, აწყობენ აქციებსა და მარშებს თუმცა, **მკვდარ ცხენს ვერ აცოცხლებენ.**

„იმედინიუსი“

# ილონ მასკი და ევროპის უკანასკნელი მასკარადი

***ამ რამდენიმე დღის წინათ მსოფლიოს უმდიდრესმა კაცმა ილონ მასკმა, რომელიც პრეზიდენტ ტრამპის მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის ხელმძღვანელია, სოციალურ ქსელ X-ზე ევროკავშირის დროშა საბჭოთა კავშირის განუყრელ სიმბოლიკასთან — ნამგალთან და უროსთან ერთად გამოსახა. ილონ მასკის ზემოხსენებულ პოსტს არ ჩამორჩა აშშ-ის პრეზიდენტი, რომელმაც ევროკავშირის მიმართ თავისი ზიზღი არ დამალა და განაცხადა: „ჩვენ არ ვყიდით მანქანებს ევროპაში, ისინი ჩვენთან მილიონობით მანქანას ყიდიან... ისინი არ იღებენ ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქციას ჩვენ ვიღებთ მათ პროდუქციას... ეს ცალმხრივი მოძრაობის მქონე ქუჩას ჰგავს. ევროკავშირი ძალიან, ძალიან საზიზღარია!“***



რაც **დონალდ ტრამპმა და ილონ მასკმა** ევროკავშირის შესახებ თქვეს და დაწერეს, ეს რომ **ირაკლი კობახიძეს** ან **შალვა პაპუაშვილს** ექნათ, ორჯერ გათხოვილი გერმანელი **მიხაილ როთი** გაზის კამერაში ამოგვხდიდა სულს, მაგრამ, ეტყობა, საქართველოს დაღუპვა ღმერთს მართლაც არ უნდა, თორემ არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა ის, რაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკაში გაცხადდა: **ბაიდენის ადმინისტრაციას, რომელიც უკრაინის ომისკენ გვექაჩებოდა და გვასანქცირებდა, უკვე დასაჭერად აქვს საქმე, ხოლო მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქვეყნის პრეზიდენტი და ყველაზე მდიდარი კაცი ევროკავშირს იმას უწოდებენ, რაც ენის წვერზე გვადგა, მაგრამ ვითარების კიდევ უფრო დამძიმებისა და დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების შიშით ვერ ვამბობდით!**

1934 წელს **მიხეილ ჭიაურელმა** გადაიღო პირველი ქართული ხმოვანი ფილმი **„უკანასკნელი მასკარადი“**, რომელშიც საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამხობა და კომუნისტური, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ეპოქაა ასახული...

## რაც დღეს ევროკავშირში ხდება, ეს სწორედ უკანასკნელი მასკარადია, როცა ყბადაღებული ევროდემოკრატია საბოლოო ჯამში საბჭოთა ნამგალთან და უროსთან შენივთდა.

ცხადია, ეს ფაქტი **ილონ მასკის** მახვილ თვალს არ გამოჰპარვია. ამიტომაც იყო, რომ მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანმა ევროკავშირის ვარსკვლავებს გულში ნამგალი და ურო ჩაახატა!

ცნობილი გერმანელი პოლიტოლოგი და მოაზროვნე **რობერტ მიხელსი „ოლიგარქიის რკინის კანონის“** ავტორია. ამ კანონის თანახმად, ნებისმიერი ხელისუფლება ყოველ დროსა და ეპოქაში მიისწრაფვოდა და მიისწრაფვის ოლიგარქიისკენ! სწორედ ასე,

## წლების განმავლობაში, ევროკავშირი მიისწრაფვოდა საბჭოთა კავშირისკენ და შედეგმაც არ დააყოვნა – ბრიუსელი იქცა კრემლად, სადაც ევროპული ცივილიზაციის ბედზე მოფიქრალი პატრიოტების ნაცვლად, ცინიკოსები და ფარული დასის აგენტები სხედან!

ევროკავშირის შექმნის იდეას ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნეში ლობირებდნენ ისეთი დიდი და ნათელი გონების ადამიანები, როგორებიც იყვნენ **ემანუელ კანტი და ვიქტორ ჰიუგო.** უდიდესი ფრანგი მწერალი და უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსი ფიქრობდნენ, რომ ე.წ. **ევროპის შეერთებული შტატების** შექმნით ევროპა თავიდან აიცილებდა დამანგრეველ ომებსა და სისხლისღვრას, რაც საუკუნეების განმავლობაში არყევდა მსოფლიოს.

ანგლოსაქსური პოლიტიკის ბებერმა ტურამ და ცნობილმა მასონმა **უინსტონ ჩერჩილმა** ჯერ კიდევ 1946 წლის 19 სექტემბერს ციურიხში წარმოთქვა ისტორიული სიტყვა, სადაც ევროპის ლიდერებს **„ევროპის შეერთებული შტატების“** შექმნისკენ მოუწოდა: **„ჩვენ უნდა შევქმნათ ევროპის შეერთებული შტატების მსგავსი გაერთიანება... ევროპული ოჯახის შექმნისკენ პირველი ნაბიჯი საფრანგეთსა და გერმანიას შორის თანამშრომლობა უნდა გახდეს. მხოლოდ ამ გზით შეუძლია დაიბრუნოს საფრანგეთმა ევროპის მორალური ლიდერობა. ევროპის აღორძინება შეუძლებელია სულით ძლიერი საფრანგეთისა და სულით ძლიერი გერმანიის გარეშე!“**

79 წელი გავიდა ამ სიტყვების შემდეგ და საშინელი ფაქტი სახეზეა — **როგორც საფრანგეთი, ისე გერმანია დარჩენილია „ძლიერი სულის“ გარეშე. ფარული დასის** აგენტებმა საფრანგეთსა და გერმანიაში, რომლებზეც ევროკავშირი აშენდა, ჩაკლეს ქრისტიანული მორალი და სული... აი, ასე შეგვრჩა ხელში **ორჯერ განათხოვარი მიხაილ როთი** და სოდომისტების ბუნაგად ქცეული და გადაჯიშებული საფრანგეთი — სამშობლო 1431 წლის 30 მაისს რუანში კოცონზე დაფერფლილი 19 წლის ჟანა დ'არკისა, რომლის უკანასკნელი სიტყვაც იყო — „იესო!“

ევროპული დემოკრატია ისე გაიხრწნა და აყროლდა, სამკითხაო გახდა, საფრანგეთის პრეზიდენტის **ემანუელ მაკრონის** ცოლი სინამდვილეში ქალია თუ კაცი... აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ლატვიის პრეზიდენტი, რომელიც ოფიციალური პედე...სტია **(ცენზურა ჩვენია. რედ.)**, ამერიკაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სხვანაირად აჭიკჭიკდა და ურცხვად განაცხდა — **„იმნაირი“ ადრე ვიყავი, ახლა ისევ კაცურ ცხოვრებას დავუბრუნდი და „ამნაირი“ გავხდიო!**

ევროპის ამ სულიერი კრიზის შესახებ თავის დროზე წერდნენ და საზოგადოებას აფრთხილებდნენ: **ოსვალდ შპენგლერი, მარტინ ჰაიდეგერი, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკოლო მიწიშვილი** და სხვა მოაზროვნენი. რაც შეეხება ფრანგ ისტორიკოსს, ჟურნალისტსა და პუბლიცისტს **დომინიკ ვენერს,** 2013 წლის 21 მაისს მან პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველში პროტესტის ნიშნად საფეთქელში ტყვია დაიხალა და საფრანგეთს დაუტოვა წერილი, რომელიც ასე იწყებოდა — **„თავს ვწირავ ერის სინდისის გასაღვიძებლად!“**

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ სინდისი, ანუ **„გონებაი მამხილებელი“,** ევროპის პოლიტიკურ ელიტაში დღემდე არ არის გაღვიძებული. სამაგიეროდ, უსინდისოთა, სულგაყიდულთა, კორუმპირებულთა და **ფარული დასის** აგენტთა დევნა დაწყებულია შეერთებულ შტატებში. **დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს პროცესი აუცილებლად გადმოინაცვლებს ევროპაშიც და გავხდებით იმ უკანასკნელი მასკარადის მომსწრენი, რომელსაც პრეზიდენტი ტრამპი და ილონ მასკი ევროპას საგულდაგულოდ უმზადებენ!**

სწორედ **უკანასკნელი მასკარადისა** და უსულგულობის კლასიკური ნიმუში გახლდათ **რობინ დანიგანის** სტუმრობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. რომ არა **პრეზიდენტ ტრამპისა** და **ილონ მასკის** ბრძანება, ნება თუ მითითება, ამერიკის ელჩი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან არ მივიდოდა და **მაკა ბოჭორიშვილს** არ შეხვდებოდა. **ფარული დასის აგენტს — ქალბატონ დანიგანს** ისეთი სახე ჰქონდა, აშკარად ეტყობოდა, რომ **მაკა ბოჭორიშვილთან** შესახვედრად ტრამპმა და მასკმა ძალით გამოაგდეს და შესაძლოა, აგინეს კიდეც.

სხვათაშორის, **რობინ დანიგანის** საგარეო საქმეთა სამინისტროში მისვლა საეჭვოდ დაემთხვა ნაცების მიერ თავიანთი სათავო ოფისის 3 მილიონ 200 ათას დოლარად გაყიდვას. **ეს ის ოფისია, სადაც ერთ-ერთი პრესკონფერენციის დროს ჟურნალისტებმა ოთახში გველი შენიშნეს.** ოფიციალური ინფორმაციით, კახეთის გზატკეცილზე მდებარე და „ალამუთის ციხედ“ წოდებული ნაცების ოფისი ვინმე **ცოფურაშვილის** ფირმამ იყიდა, რომლის დირექტორიც რაიხსშტურმანფიურერი **დავით კირკიტაძეა...** ნაცები გაიძახიან — ამერიკიდან ფულს აღარ გვირიცხავენ და ფინანსების მობილიზების მიზნით, ყველაფერს ვყიდითო! აქედან გამომდინარე, სათავო ოფისის გაყიდვის შემდეგ, გამორიცხული არ არის, ნაცებმა სააკაშვილის მავზოლეუმიდან მისი ნიფხვები და ბოტასებიც გამოიტანონ და გაყიდონ!

გული მიგრძნობს, ევროპისა და ნაცების უკანასკნელი მასკარადი კარგი სანახავი არ იქნება!

***დიტო ჩუბინიძე***






გენერალისიმუსი

№1 (237) ★ 2023 წლის 25 დეკემბერი – 2024 წლის 7 იანვარი ★ გამოდის 2003 წლიდან

ალარ უნდა დავუშვათ ისეთი შეცდომა, როცა დასანგრევად მიხეილ ქლენტი: განწირული საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისას ყველა აგური ჩვენ დაგვეცა!

სანამ **ილონ მასკი** ევროკავშირის დროშაში ნამგალსა და უროს ჩაამონტაჟებდა, **თითქმის წელიწად-ნახევრით ადრე** ეს გაზეთმა **„გენერალისიმუსმა“** გააკეთა

არის ასეთი აზრი!

## კვირგვინოსნები

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



როგორც კი ოპოზიცია ჩამოყალიბდება, რომ **არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს,** მაშინ გამოაცხადებს „ქართული ოცნება“, რომ **საპარლამენტო არჩევნებს ატარებს ადგილობრივთან ერთად.** ამით გააჩუმებს მთლიანად ოპოზიციასაც და დასავლეთსაც.

„რეზონანსი“

**სალომე სამადაშვილი**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*



**რუსული რეჟიმის** ტყუილი დაპირებები იმასთან დაკავშირებით, რომ **ამერიკის შეერთებულ შტატებში ადმინისტრაციის ცვლილება რაღაც სასიკეთო ძვრა იქნებოდა ივანიშვილისთვის,** ყოველდღიურ რეჟიმში ბათილდება.

„რეზონანსი“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



სანქციები მხოლოდ დასაწყისია, **მოძალადე რეჟიმის სრული იზოლაცია უნდა მოხდეს.**

„რეზონანსი“

# ჯერჯერობით 13 პასუხგაუცემელი შეკითხვა მიხეილ სააკაშვილს

*დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი თანხების გაფლანგვის ფაქტზე მიხეილ სააკაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და ახალი, 9-წლიანი სასჯელიც შეუფარდა. „ვივამედის“ ტუსაღი კომფორტული საკნიდან ძველებურად ფანტავს ლოზუნგებს და თანამოაზრეებს ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებს. არადა, ყოფილ პრეზიდენტთან უამრავი კითხვა დაგროვდა, რომელთა მიმართაც საზოგადოების ინტერესი არ ცხრება. ამ ოციოდე წლის წინათ „სახლში წასულმა“ ედუარდ შევარდნაძემ შეძლო ნომრიდან ნომერში პასუხი გაეცა „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტების — არმაზ სანებლიძისა და ნონა ბენდელიანის უაღრესად მწვავე შეკითხვებზე. შეძლებს კი მიხეილ სააკაშვილი, დააკმაყოფილოს მკითხველთა ინტერესი და იქცეს იმ გაზეთის რესპონდენტად, რომლის შესახებაც თავადვე განაცხადა: ჩვენ დავმარცხდით იმიტომ, რომ ხალხმა დაუჯერა „ასავალ-დასავალის“ პროპაგანდას.*




**1.** თქვენ და ბიძათქვენი **თემურ ალასანია** სატელეფონო საუბარში ქართველ ერს დედას რომ აგინებთ, ნანობთ თუ არა, ეს პოზიცია საჯარო რომ გახდა?

**2.** ვინ შეთხზა **ზურაბ ჟვანიას** გაზით გაგუდვის ვერსია — **ვანო მერაბიშვილმა** თუ ამერიკის სპეცსამსახურებმა?

**3.** ვინ დაგავალათ, **კოდორის ხეობის** სახელწოდება „ზემო აფხაზეთით“ რომ შეცვალეთ, ხოლო **ახალგორის რაიონი** ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადეთ?

**4.** 2003 წლის ნოემბერში პარლამენტში შეჭრა მართლა **ედუარდ შევარდნაძესთან** გქონდათ შეთანხმებული?

**5.** **პუტინთან** ჩასვლის შემდეგ რუსეთთან კონფრონტაცია მისი რჩევით დაიწყეთ თუ ამერიკელთა მითითებით?

**6.** საქართველოს ეკონომიკის ძირითადი სფეროები რუსეთზე რად გაასხვისეთ?

**7.** გორში თვითმფრინავის ზუზუნის გაგონებაზე რომ მოკურცხლეთ, მართლა შეგეშინდათ თუ ტანჯულის მანტია მოირგეთ?

**8.** როდესაც საკუთარ თავთან მარტო რჩებით, თავი ქართველად მიგაჩნიათ თუ უკრაინელად?

**9.** „რუსთავი-2“-ის დამფუძნებელმა **ეროსი კიწმარიშვილმა** მართლა მოგთხოვათ კუთვნილი რამდენიმე მილიონი, ვიდრე საზოგადოება მისი ტრაგიკული აღსასრულის ამბავს შეიტყობდა?

**10.** დღემდე გჯერათ, რომ 3 არასრულწლოვანი შვილის დედა **მაია თოფურია**, რომელიც შვილებს დააშორეთ და ციხეში გამოკეტეთ, შეიარაღებულ გადატრიალებას გიწყობდათ?

**11.** პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის პერიოდში ნარკოტიკთან შეხება თუ გქონიათ?

**12.** 2009 წლის მარტში **დოქტორ დოტის** მიერ გაწეული მომსახურება თქვენი გარემოცვიდან ვის მიერ გასაჯაროვდა?

**13.** 2004-2012 წლებში რატომ არ იქნა გამოძიებული საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** იდუმალებით მოცული აღსასრული?

???

*შეძლებს კი მიხეილ სააკაშვილი, დააკმაყოფილოს მკითხველთა ინტერესი და იქცეს იმ გაზეთის რესპონდენტად, რომლის შესახებაც თავადვე განაცხადა: ჩვენ დავმარცხდით იმიტომ, რომ ხალხმა დაუჯერა „ასავალ-დასავალის“ პროპაგანდას.*

*მოამზადა*
**ზაზა დავითაიამ**

**შეკითხვები მიხეილ სააკაშვილთან შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ ელექტრონულ ფოსტაზე: mail@asavali.com**

## კვირგვინოსნები



**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*

90-იანი წლებიდან **გაზაფხულზე საპროტესტო ტემპერატურა ყოველთვის იმატებდა** და ხალხი ყოველთვის უფრო აქტიური იყო, ვიდრე ზამთარში და შემოდგომაზე. რადგან პროტესტმა ეს ზამთარი და სიცივეები გადაიტანა, ბუნებრივია, რომ **გაზაფხულზე მუხტი უფრო და უფრო მოიმატებს და უფრო ხალხმრავალი იქნება აქციები.**

„რეზონანსი“



**დიმიტრი ბიძინაშვილი**
*სამოქალაქო აქტივისტი*

**ეს პროტესტი არ ჩაცხრება.** ასეთ ცივ ზამთარს გავუძელით და ახლა წინ გაზაფხულია. **პირიქით, მუხტი გაიზრდება,** უფრო მეტი ადამიანი გამოვა.

„ახალი თაობა“



**კახა სალია**
*პარლამენტარი*

**გვყავს ოპოზიცია, რომელიც სრულად განიძარცვა.** მას, დარწმუნებული ვარ, **აღარ დარჩა ამომრჩეველი** და, ფაქტობრივად, ამიტომაც ამბობენ დღეს უარს მომავალ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე.

„რეზონანსი“



**ლევან ცუცქირიძე**
*პარტია „თავისუფლების მოედნის“ ლიდერი*

პოლიტპატიმრების **საკითხი,** წინასაარჩევნო გარემოს **საკითხი,** რეპრესიებისა და დევნის **საკითხი,** ცესკოს დამოუკიდებლობის **საკითხი,** სუს-ისა და შსს-ს არჩევნებში ჩარევის **საკითხი** — ეს არის მინიმალური **საკითხები,** რაც უნდა შეიცვალოს იმისთვის, რომ რაიმე სახის არჩევნებზე ფიქრი შესაძლებელი იყოს.

„ახალი თაობა“



**მირიან მირიანაშვილი**
*ანალიტიკოსი*

მინიმალური შანსიც კი არ არის, **ივანიშვილი ვადამდელ საპარლამენტო** არჩევნებზე დათანხმდეს, შესაბამისად, **ადგილობრივი არჩევნები** ერთადერთ ინსტრუმენტად რჩება ოპოზიციისთვის.

„კვირის პალიტრა“




**ზაზა პაპუაშვილი:**

# „ტრანსგენდერი თაგვები! – აი, ამ გახრწნილი და გადაგვარებული ლიბერალიზმის სახე!“

# სააკაშვილისათვის 9 წელი ძალიან ცოტაა!

*სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარის გაფლანგვის საქმეზე მიხეილ სააკაშვილისათვის 9-წლიანი პატიმრობის მისჯის კვალდაკვალ, ქართული თეატრის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, მსახიობსა და ყოფილ პარლამენტარს* ***ზაზა პაპუაშვილს*** *ვესაუბრებით:*

— სააკაშვილი არის საქართველოს უახლესი ისტორიის ქვეწარმავალი, შხამიანი გველი და ბოროტი აგენტი, რომელსაც სურდა, ეს ქვეყანა ფეხზე ქალამანივით ამოეცვა. 9 წელი ძალიან ცოტაა, მაგ ნაძირალას ბევრად დიდი სასჯელი ეკუთვნის და, იმედი მაქვს, მიიღებს კიდეც, როცა 2008 წლის ომისა და საქართველოს ტერიტორიების გასხვისების საკითხი იქნება გამოძიებული.

**— როგორ ფიქრობთ, არ მოვიდა დრო, მსჯავრდებული სააკაშვილი „ვივამედის“ ლუქს-პალატიდან ციხეში გადაიყვანონ?**

— თუ ეს ხელისუფლება ნაძირალა სააკაშვილს ახლა მაინც არ გადაათრევს ციხეში, თავისივე მხარდამჭერების რისხვას მოიმკის! **საკმარისია ის მარაზმი, რაც გვაყურებინეს — მსჯავრდებული კრიმინალის სანახავად ნაირ-ნაირი ქალები რომ შედიოდნენ და იქიდან ფეხმძიმეები გამოდიოდნენ!** თურმე, ხან ვწამლავდით, ხან ვაწამებდით, ხან ვკლავდით და ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოვკალით ეს ვიგინდარა! მორჩა და გათავდა — დამნაშავე ციხეში უნდა ეგდოს!

**— ამასობაში, რუსთაველის გამზირზე რამდენიმე ასეული ადამიანის პროტესტი კვლავ გრძელდება, ყოველ საღამოს გზას კეტავენ და იმუქრებიან — გაზაფხული ჩვენი სეზონია, აწი უფრო მეტნი გამოვალთ ქუჩაში!**

— ერთმანეთს მიეჩვივნენ, ყოველ საღამოს სასეირნოდ გამოდიან, ფოტოებს იღებენ და აბსურდულ რაღაცებს გაიძახიან — რეჟიმიო, რეჟიმის პატიმრებიო, ახალი არჩევნებიო... ისეთ ჭაობში შეტოპეს, რომ თვითონაც აღარ იციან, როგორ გამოტოპონ. გაზაფხულზე ხალხმრავალი აქციების მუქარას რაც შეეხება, ესეც მორიგი წამოკნავლება იქნება და კიდევ ერთხელ ვნახავთ უნიჭო სპექტაკლს უნიჭო პერსონაჟებითა და უნიჭო შემსრულებლებით.

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ ნაცლიბერალები აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპსა და მისი გუნდის წევრებს უკვე ღიად აგინებენ?**

— **ტრამპის** გინება რა გასაკვირია, როცა ლიბერალურ-ფაშისტური ღვარძლით მოწამლული და ნეობოლშევიკურ პროპაგანდას დამონებული არსებები საკუთარ მშობლებსა და ოჯახის წევრებსაც კი უპირისპირდებიან იმის გამო, რომ მათგან განსხვავებული აზრი გააჩნიათ. ეშვებიანი ფაშისტების მიერ მართული, კორუფციული და კრიმინალური ორგანიზაცია — ევროკავშირი ხატად გაიხადეს და გაიძახიან — თუ იქ შევალთ, გავმდიდრდებითო! **შეხედონ თუნდაც ბალტიისპირეთის უდღეურ ქვეყნებს, რომლებსაც ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ დედა ეტირათ, რადგან შრომისუნარიანი მოქალაქეებისაგან თითქმის მთლიანად დაიცალნენ.**

**— თუმცა, ბალტიისპირეთის ქვეყნები ახლა ვითომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაზე იკლავენ თავს და „ქართულ ოცნებას“ სანქციას სანქციაზე უწესებენ, აქაოდა — ევროპული გზიდან გადაუხვიაო!**

— ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის ქვეშაფსია ხელისუფლებებს რუსეთთან იმდენი აქვთ მიქარული, რომ ახლა ჩასვრილები არიან — არიქა, **პუტინმა** უკრაინის შემდეგ ჩვენთვის არ მოიცალოსო! ამიტომაც ცდილობენ, რუსეთის ხახაში საქართველო ჩააგდონ და თვითონ გადარჩნენ. არავინ მითხრას, რომ ბალტიისპირეთის ჩათლახი სახელმწიფოები საქართველოს მეგობრები არიან! თავიანთი უკანალის გადასარჩენად ჩემი გაწირვა რომ უნდათ, ეს მეგობრული კი არა, ვირთხული საქციელია!

ბალტიისპირელებისაგან განსხვავებით, ქართველებს რუსეთთან სამართლიანი პრეტენზიები გვაქვს და გვექნება, სანამ ჩვენს ქვეყანას გამთლიანებულს არ ვნახავთ! ჩვენ რუსეთის კი არ გვეშინია და ბალტიისპირელებივით ჩასვრილები კი არ ვართ, არამედ მასთან პრაგმატული ურთიერთობა გვინდა, რათა ჩვენი პრობლემები მოვაგვაროთ და ის დავიბრუნოთ, რაც გვეკუთვნის!

**— გჯერათ, რომ რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობითა და მშვიდობიანი გზით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელია?**

— მთელი ამ წლების განმავლობაში, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ერთი ნაბიჯიც ვერ წავდგით წინ, რადგან უტვინო და უნიჭო ქართველმა პოლიტიკოსებმა პირზე ბოქლომი დაიდეს — რუსეთს არ დაველაპარაკებითო! **დროა, საქართველოს ხელისუფლებამ კომპლექსები მოიშოროს და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთს ესაუბროს ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა არსებობს.** მაგალითად, იგივე 3+3 ფორმატში რუსეთი, თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი და სომხეთი საქართველოს, როგორც თანაბარუფლებიან სახელმწიფოს, კარგა ხანია, ელოდებიან და რატომ არ უნდა მივიდეთ?

**— 3+3 ფორმატში გაწევრიანება საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას არ შეუშლის ხელს?**

— **ნატო დამთავრდა, ევროკავშირი სულს ღაფავს და ჩვენ ისევ ევროატლანტიკურ ინტეგრაციას გავიძახით?!** კიდევ რამდენი ხანი უნდა ვიკვებებოდეთ ამ ტყუილით?! ნუთუ ვერ ვხედავთ, რომ ამერიკის ახალ ხელისუფლებასა და ჩამპალ, გაფაშისტებულ, სქესდაკარგულ ევროკავშირს შორის მკვეთრი ხაზი გაივლო — **ტრამპს მშვიდობა სურს, მაკრონსა და სხვა ევროპელ დეგენერატებს კი ომი უნდათ!** ჩემი აზრით, უკრაინის ომი რუსეთის დანგრევის ბოლო მცდელობა იყო, მაგრამ ვერც ომით და ვერც სანქციებით რუსეთს ვერაფერი უქნეს! ეს გამოუცხადებელი მესამე მსოფლიო ომი რუსეთმა მოიგო!

**— უკრაინას რა ბედი ელის?**

— უკრაინას ისე გაინაწილებენ, რომ არაფერს შეეკითხებიან! ახლა **ზელენსკი** აქეთ-იქით დახტის, რათა პირადი უსაფრთხოების გარანტიები მოიპოვოს და ხეზე ჩამოკიდებას გადაურჩეს. იგი იმ ძალების მარიონეტია, რომლებმაც ამერიკაში **ბაიდენის** ადმინისტრაციის დროს ჯანდაცვის ბიუჯეტიდან 8 მილიონი დოლარი გამოყვეს **ტრანსგენდერი თაგვების** გამოსაყვანად. გესმით, რა მარაზმთან გვქონდა საქმე? **ტრანსგენდერი თაგვები!** — აი, ამ გახრწნილი და გადაგვარებული ლიბერალიზმის სახე!

**— და მაინც, როგორ უნდა მოიქცეს საქართველო, რომ მიმდინარე ურთულეს გეოპოლიტიკურ პროცესებში არ გაიჭყლიტოს, უკეთეს შემთხვევაში კი, სარგებელი ნახოს?**

— ამოსუნთქვის საშუალებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ საქართველოს ამ ეტაპზე იდეოლოგიური თანხვედრა აქვს როგორც ტრამპის ამერიკასთან, ისე უნგრეთთან და სლოვაკეთთან, რომლებიც ამ გახრწნილ ლიბერალიზმსა და ე.წ. დიფ სთეითს ებრძვიან. თუმცა, საბოლოო ჯამში, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს და ყველაფერი გავაკეთოთ, რომ დიდი ქვეყნები ბოგანო მათხოვარივით კი არა, სუვერენულ სახელმწიფოსავით მოგვექცნენ. **თუ გეოპოლიტიკაში მოთამაშე ვერ ვიქნებით, იმდენი მაინც შევძლოთ, რომ სათამაშო არ ვიყოთ!**

## „თუ ეს ხელისუფლება ნაძირალა სააკაშვილს ახლა მაინც არ გადაათრევს ციხეში, თავისივე მხარდამჭერების რისხვას მოიმკის!“




*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**ვლადიმერ ბოჭაძე**
*პარლამენტარი*

**2009-2013 წლებში** ღია და ფარული ხარჯებით, **ჯამში 30 000 000 ლარზე მეტი გაფლანგვა და პირადი მიზნებისთვის გამოიყენა კორუმპირებულმა სააკაშვილმა.** აი, ასეთი ბელადი და ლიდერი ჰყავს რადიკალურ ოპოზიციას.

„აიპრესი“



**ლევან მახაშვილი**
*პარლამენტარი*

**სააკაშვილმა,** რომელიც თავის დროზე **ხელისუფლებაში კორუფციის დამარცხების ეგიდით მოვიდა,** საქმე **ხალხის ფულის ჭამით დაასრულა.**

„აიპრესი“



**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**სააკაშვილის** მიერ ჩადენილ **არაერთ უკანონო ქმედებას** კანონი პასუხობს სამართლიანად, **9 წლით თავისუფლების აღკვეთის პირობებში,** მას რჩება დრო, გააანალიზოს ჩადენილი უკანონობანი და **ბოდიში მოუხადოს ქართველ ხალხს.**

„იმედინიუსი“



**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*

**მოქალაქეებს ცხრა მილიონს როცა მოჰპარავ,** არავის უნდა გაუკვირდეს, რომ ამას პასუხისმგებლობა მოჰყვება. **სააკაშვილი კრიმინალია,** მის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში ასი ვერდიქტია.

„პირველი არხი“



**ილია ინჯია**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*

**სააკაშვილის** მიმართ გამოტანილი **მორიგი განაჩენი** არის საქართველოს ისტორიაში **სამართლის აღსრულების კიდევ ერთი უპრეცედენტო მაგალითი.**

„იმედინიუსი“

*მიხეილ სააკაშვილის მზეთუნახაობა კიდევ 3 წელი გაგრძელდება, რადგან ე.წ. პიჯაკების საქმეზე 9-წლიანი პატიმრობა შეეფარდა. როგორც მისი რეჟიმის დროს მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა* ***ჯამბულ გამცემლიძე*** *აცხადებს, ეს ზღვაში წვეთია იმ ბოროტებასთან შედარებით, რაც „ვივამედის“ ტუსაღმა მმართველობის დროს ჩაიდინა:*

## „წამომყვეს დედამისი გიული ჩემი შვილის საფლავზე... თვითონ მასაჟებში, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებში და დროსტარებაში ხარჯავდა ფულს, გიორგი კი ცივ სამარეში ჩამიწვინა!“





„8 თვეა, თვალისჩინი დავკარგე, ვერაფერს ვხედავ, სხვისი სატარებელი ვარ, თორემ აუცილებლად გავიდოდი კანცელარიის წინ და ჩემს სათქმელს იქ ვიტყოდი!“

### ჯამბულ გამცემლიძე:

# სააკაშვილო, 9 წელი კი არა, 9 ლახვარი უნდა ჩაგეცეს გულში!

— უპირველეს ყოვლისა, მადლობა „ასავალ-დასავალის“ რედაქციას და პირადად მთავარ რედაქტორს **ლაშა ნადარეიშვილს** მართალი სიტყვისათვის! ყოველთვის იქ დგახართ, სადაც სამშობლოა და არასოდეს გავიწყდებათ სააკაშვილის რეჟიმის მიერ განადგურებული ადამიანები, რომლებიც, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ დაივიწყა.

**— სააკაშვილს 9 წელი მიუსაჯეს... განა არ არის ეს სამართლიანობის აღდგენისკენ გადადგმული ნაბიჯი?**

— რა არის 9 წელი სააკაშვილისთვის, მას სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს! მსგავსი ბოროტმოქმედი, უნამუსო და ქართველთმოძულე მეორე არ მეგულება დედამიწის ზურგზე. თუ გინდა, აუხსნა ხალხს, როგორია ნამდვილი ჯალათი, სააკაშვილი უნდა აჩვენო.

**— არადა, საკუთარ თავს მზეთუნახავს უწოდებს...**

— წამომყვეს დედამისი გიული ჩემი შვილის საფლავზე, 2 მეტრი მიწა რომ აყრია. ეგ, თურმე, „ვივამედში“ ვერ ძლებს, წუწუნებს — მზის სხივი არ მხვდებაო. ხმა გაიკმინდოს. ჩემი შვილის, პირტიტველა **ბუტა რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის,** სამშობლოსთვის ზვარაკად შეწირული **ბია ქრიალაშვილის,** უთვალსაჩინოესი მეცნიერის **ზურაბ შარაძის** სიკვდილი მის კისერზეა და მზეს კი არა, ქვესკნელს უნდა ხედავდეს! თვითონ მასაჟებში, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებში და დროსტარებაში ხარჯავდა ფულს, გიორგი კი ცივ სამარეში ჩამიწვინა!

ასე რომ, **საკუთარ თავზე გეწვნიოს ყველაფერი, რაც ჩვენ დაგვმართე, სააკაშვილო! 9 წელი კი არა, 9 ლახვარი უნდა ჩაგეცეს გულში!** იმედი მაქვს, ხელისუფლებას შემთხვევით არ აღუდგენია სამშობლოს ღალატის მუხლი, რომლითაც, პირველ რიგში, შენ უნდა გასამართლდე!

8 თვეა, თვალისჩინი დავკარგე, ვერაფერს ვხედავ, სხვისი სატარებელი ვარ, თორემ აუცილებლად გავიდოდი კანცელარიის წინ და ჩემს სათქმელს იქ ვიტყოდი.

**— შეგიძლიათ, ჩვენი გაზეთიდანაც მიმართოთ ხელისუფლებას...**

— რას ელოდებით ან რატომ არის ეს გარეწარი დღემდე კლინიკაში წამოკოტრიალებული?! სასწრაფოდ გადაათრიეთ ციხეში! რითია სხვაზე მეტი, რომ სასჯელს ამ ფორმით იხდის? მისი მმართველობის დროს ხალხს ნორმალური ციხეც კი სანატრელი ჰქონდა, ეს ვაჟბატონი კი „ვივამედიდან“ დაგვცინის!

## „საკუთარ თავზე გეწვნიოს ყველაფერი, რაც ჩვენ დაგვმართე, სააკაშვილო! იმედი მაქვს, ხელისუფლებას შემთხვევით არ აღუდგენია სამშობლოს ღალატის მუხლი, რომლითაც, პირველ რიგში, შენ უნდა გასამართლდე!“



მსჯავრდებული სააკაშვილი კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში

ვინც დღეს ამ უნამუსოს იცავს, მისნაირი სისხლის სამართლის დამნაშავეა. სწორედ ამ ევროპარლამენტარებმა, დღემდე რომ იწერებიან უსტარებს ნაძირალა სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით, შექმნეს ეს ბოროტება და თუ არა ტრამპის გაპრეზიდენტება, ძნელი წარმოსადგენია, მათი გარყვნილი აზროვნება და ქმედება სადამდე მივიდოდა. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ დღესაც ფარული დასის დაკვეთით დაძრწიან ქუჩებში **ბოკუჩავები, ხოშტარიები, სამადაშვილები** და სხვა ხორცმეტები. მეცოდება ყველა ის ადამიანი, ვინც ნაძირალა სააკაშვილის ხროვის გვერდით დგას.

**— სამაგიეროდ, ისინი ასე არ ფიქრობენ. მიიჩნევენ, რომ სიმართლის მხარეს არიან და თავისუფლებას იცავენ!**

— რომელ სიმართლეზე ვლაპარაკობთ? **შოთა უტიაშვილის** მითითებით შემოალაგეს მაღაზიის თავზე გვამები და დღეს მისი ცოლი მხართეძოზე ენაგადმოგდებული რაღაცებს აპროტესტებს. რა ნამუსით იღებენ ხმას მკვლელი სააკაშვილის ფეხსაცმლის თასმები?! თუ ამ ხელისუფლებას გასაკრიტიკებელი ექნება, ჩვენ გავაკრიტიკებთ, სააკაშვილის უბეში გამოზრდილ გველის წიწილებს ამის უფლება არა აქვთ!

და, საერთოდ, რატომ არ შეიძლება ჩემი შვილის საქმე გაიხედოს და სამართალმა პური ჭამოს? 2010 წელს გიორგის მკვლელი უკვე გარეთ იყო. მას რეჟიმმა მხოლოდ 2 წლით აღუკვეთა თავისუფლება. ნორმალურია, კაცის მკვლელი 2 წლით იჯდეს ციხეში და ალუმინის ქვაბის მოპარვისთვის 15 წელი მიესაჯოს 12 წლის ბიჭს? ამ სამართალით რატომ უნდა ვიცხოვროთ დღესაც, რატომ არ შეიძლება ჩემი შვილის მკვლელი **ვახტანგ აბუაშვილი** სათანადოდ დაისაჯოს?

სულმოუთქმელად ველოდები „ქართული ნიურნბერგის“ პროცესს. კიდევ ერთხელ ვამბობ, ერთ-ერთი მოწმე ვიქნები და ვიტყვი, 7 ნოემბერს როგორ დამდევდა პოლიცია და ქაშუეთის ეკლესიასთან როგორ ჩამიმტვრიეს კბილები.

### მართლაც კმარა ამ გარეწრის ბოგინი „ვივამედში“. თუ ნამდვილად გინდათ სამართლის აღდგენა და ამ ქვეყნის ფეხზე დაყენება, დროულად გადააბრძანეთ ციხეში, იქ, სადაც მისი ადგილია!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



**9 მილიონ ლარზე მეტი გაფლანგა** (ეს, რაც ვიცით) ამ **მაგნებელმა კაცმა** ბიუჯეტიდან **თავისი პირადი კომფორტისათვის** და სექტა ამას **„პიჯაკების საქმეს“** ეძახის.

„იმედინიუსი“

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



**კრებსითი ნაცმოძრაობა ქვეყნის ინტერესების ღალატის ტოლია!**

„აიპრესი“

**სოსო შატბერაშვილი**
*„მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე*



**2012 წელსვე უნდა გასამართლებულიყო მთელი ნაცმოძრაობა,** რითაც სამართლიანობა აღდგებოდა. ასევე, **ხალხს უკანონოდ წართმეული ქონება უნდა დაბრუნებოდა.** იმედია, ამჯერად დანაპირები შესრულდება და კვლავ პიარკამპანიად არ დარჩება.

„საერთო გაზეთი“

**გია ბარამიძე**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მდივანი*



ბიბლიოთეკის ასაშენებლად **მიხეილ სააკაშვილმა ღვიძლ ბებიას სახლი დაუნგრია.** თვითონ თბილისში სახლი არა აქვს, ერთი აქვს ყვარელში. ეს ნაძირალები, კრიმინალები **ცდილობდნენ, პრეზიდენტ სააკაშვილის სახელი გაესვარათ.**

„TV პირველი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიცია დღეს **საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია,** თუმცა, იხტიბარს არ იტეხს.

„რეზონანსი“

*საქართველოს პარლამენტში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2004-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულები უნდა გამოიძიოს, მუშაობა საკმაოდ აქტიურად დაიწყო და ორი საჯარო სხდომაც გამართა. როგორც ბოლო სხდომაზე ითქვა, საგამოძიებო კომისია გამოსაკითხად დაიბარებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს ზურაბ ჭიაბერაშვილსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ერთ-ერთ ყოფილ ხელმძღვანელს ნათია მოგელაძეს, თუმცა, მას შემდეგ თითქმის ერთი თვე გავიდა და საგამოძიებო კომისიის საჯარო სხდომა აღარ გამართულა. ხომ არ შენელდა ან შეჩერდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულთა საპარლამენტო გამოძიების პროცესი? საერთოდ, რა არის ამ კომისიის ფუნქცია და რა უნდა იყოს მისი მუშაობის საბოლოო შედეგი? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე საგამოძიებო კომისიის წევრს, პარტია „ხალხის ძალის“ ლიდერსა და საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს სოზარ სუბარს ვესაუბრებით:*



# სოზარ სუბარი: სააკაშვილი თავისივე კანონებით რომ გაგვესამართლებინა, მარტო 9 მილიონის გაფლანგვის საქმეზე 40-წლიანი პატიმრობა ჰქონდა გარანტირებული!

## „სააკაშვილი რაც შეიძლება მალე უნდა იქნას გადაყვანილი ციხეში!“

— საგამოძიებო კომისიის მუშაობა მხოლოდ საჯარო სხდომების გამართვას არ მოიცავს. სანამ ამა თუ იმ ადამიანს გამოკითხვაზე დავიბარებთ, საკმაოდ მოცულობითი სამუშაოებია ჩასატარებელი და ეს პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. უახლოეს ხანში გამოკითხვაზე დავიბარებთ სააკაშვილის რეჟიმის ორ ყოფილ თანამდებობის პირს — **ზურაბ ჭიაბერაშვილსა და ნათია მოგელაძეს,** თუმცა, მათთვის ოფიციალური უწყება ჯერ არ გაგვიგზავნია.

**— ჭიაბერაშვილმაც და მოგელაძემაც საჯაროდ განაცხადეს, რომ თქვენს კომისიასთან არ ითანამშრომლებენ!**

— **პარლამენტის საგამოძიებო კომისიასთან თანამშრომლობაზე უარის თქმა სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელიც ჯარიმას, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების აკრძალვას ან ერთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.** ამდენად, ნებისმიერი პირი, ვისაც საგამოძიებო კომისიაზე გამოსაკითხად დავიბარებთ და არ გამოცხადდება, სისხლის სამართლის წესით აგებს პასუხს.

**— რამდენად სრულყოფილი და ნაყოფიერი იქნება საგამოძიებო კომისიის მუშაობა, თუ სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლები მასობრივად აარიდებენ თავს მასთან თანამშრომლობას?**

— სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ არაერთ დანაშაულზე უკვე დამდგარია სასამართლოს განაჩენი, არსებობს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები და არიან კონკრეტული დაზარალებულები და მოწმეები, რომლებიც კომისიასთან ითანამშრომლებენ. ამდენად, **რეჟიმის ყოფილ წარმომადგენელთა გამოკითხვაზე არგამოცხადება ვერანაირად ვერ შეუშლის ხელს საგამოძიებო კომისიის მუშაობას, უბრალოდ, ისინი, ვინც ჩვენთან თანამშრომლობაზე უარს იტყვიან, ისევ საკუთარ თავს დააზარალებენ, რადგან კანონის წინაშე პასუხისგება მოუწევთ.**

**— საზოგადოების ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის პარლამენტში შექმნილი საგამოძიებო კომისიის ზუსტი ფუნქცია და რა კონკრეტული შედეგი მოჰყვება მის მუშაობას?**

— საგამოძიებო კომისიის ფუნქცია მკაფიოდ არის განსაზღვრული — უნდა დავდოთ დოკუმენტი, რომელშიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულები სამართლებრივად და პოლიტიკურად იქნება შეფასებული. ამასთან, კონკრეტულ საქმეებს, რომლებშიც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება, გამოსაძიებლად პროკურატურას გადავცემთ. სავარაუდოდ, ასეთი საქმეები ძალიან ბევრი იქნება, რის გამოც ახლა პარლამენტის რეგლამენტში ცვლილება შეგვაქვს და უფლება მოგვეცემა, ესა თუ ისე საქმე პროკურატურაში ჯერ კიდევ მანამდე გადავგზავნოთ, სანამ კომისია მუშაობას დაასრულებს და საბოლოო დასკვნას დადებს.

პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მიერ დადებული დოკუმენტი ისტორიას დარჩება, როგორც მტკიცებულება, თუ როგორი არაადამიანური, მწამებელი და მკვლელი რეჟიმი მართავდა საქართველოს 2004-2012 წლებში. გარდა ამისა, საგამოძიებო კომისიის მიერ შექმნილი დოკუმენტი საკონსტიტუციო სასამართლოში გადაიგზავნება მოთხოვნით —

**აიკრძალოს ნაციონალური მოძრაობა და ყველა მისი ანასხლეტი, რომელსაც ახლა სხვადასხვა სახელი ჰქვია, მაგრამ 2004-2012 წლებში დანაშაულებრივი რეჟიმის ნაწილი იყო!**

**— პირდაპირ გკითხავთ — ნაციონალური მოძრაობისათვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა რამდენად რეალისტურია?**

— მიგვაჩნია, რომ ამისათვის საკმარისზე მეტი სამართლებრივი საფუძველი არსებობს, თუმცა, საბოლოო სიტყვა მაინც საკონსტიტუციო სასამართლოს ეკუთვნის. ბოლო 30 წლის განმავლობაში, ევროპის ქვეყნებში 150-მდე პოლიტიკური პარტია აკრძალეს, ოღონდ, საკუთარი ქვეყნისა და კაცობრიობის წინაშე ყველას ერთად არ ჩაუდენია ისეთი და იმდენი დანაშაული, ნაციონალურ მოძრაობას რომ აქვს ჩადენილი.

**— ცნობილია, რომ თქვენი კომისიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება იქნება... რა არის მთავარი კითხვები, რომლებზე პასუხის მიღებასაც სააკაშვილის რეჟიმის თანამდებობის პირებისაგან შეეცდებით?**

— ძალიან რბილად თუ ვიტყვით, სააკაშვილის რეჟიმმა არაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ქვეყნისათვის ომი აეცილებინა, რაც დანაშაულებრივ უმოქმედობად შეიძლება, შეფასდეს. რეალურად, არსებობს სააკაშვილის რეჟიმის თანამდებობის პირთა არაერთი საჯარო განცხადება, რომელშიც ისინი პირდაპირ აღიარებენ, რომ 2008 წლის აგვისტოში სრულიად შეგნებულად და გამიზნულად მოქმედებდნენ, არადა, მათ მოქმედებებს საქართველოს ასეულობით მოქალაქის სიკვდილი და ტერიტორიების 20 პროცენტის დაკარგვა მოჰყვა.

პირდაპირ რომ ვთქვათ, **2008 წლის აგვისტოს ომის დროს და ომამდე ცოტა ხნით ადრე სააკაშვილის რეჟიმის ქმედებებს სამშობლოს ღალატის მეტს ვერაფერს დავარქმევთ!**

**— კონკრეტულად?**

— 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის რეჟიმმა არათუ არ იზრუნა საქართველოს მშვიდობიანი მოქალაქეების გამოყვანაზე იმ ტერიტორიებიდან, რომლებსაც ოკუპაცია ემუქრებო-



## „საგამოძიებო კომისიასთან თანამშრომლობაზე უარის თქმა სისხლის სამართლის დანაშაულია!“

## კვირგვინოსნები

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**ლორა თორნტონის** განცხადებით: **„ბოლო ბასტიონი საქართველოში ახლა მედია და სამოქალაქო საზოგადოებაა!“ პორნოლიბერალები** აღარც მალავენ, რომ მათი **ბოლო ბასტიონი სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად ხაზარაძე-წერეთლის ტელესაროსკიპოები და NGO აგენტურაა!** პოლიტმეძავებმა ნდობა დაკარგეს!

„იმედინიუსი“

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ლორა თორნტონი** არის **დიფ სთეითის იდეოლოგიის გამავრცელებელი,** აქტიურად მუშაობს ამჟამად საქართველოზე. **მას აქამდე არაფერი გამოუვიდა და არც ამ ახალი დირექტივებით გამოუვა რამე.**

„იმედინიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**საქართველომ თავის დროზე უკრაინული შეცდომების დიდი ნაწილი გაიმეორა,** მაგრამ საბოლოო კატასტროფამდე ორ ნაბიჯში, ეყო ძალა და ეროვნული თვითშეგნება, **„გლობალური ომის პარტიისთვის“ ნამდვილი „დიდგორი“ გაემართა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



არათუ მოვლენების რევოლუციურად განვითარების შესაძლებლობა, არამედ **ხელისუფლების შეცვლის განწყობაც არ არის, რადგან ამომრჩეველი რეალურ ალტერნატივას ვერ ხედავს,** ეს არის ოპოზიციის ყველაზე დიდი პრობლემა.

„ახალი თაობა“

და, არამედ არც კი გააფრთხილა ისინი მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, რის გამოც ჩვენი 80-მდე თანამემამულე დაიღუპა და ეს მსხვერპლი პირდაპირ ნაციონალური მოძრაობის კისერზეა.

სააკაშვილის რეჟიმმა **ზვიად გამსახურდიას** ხელისუფლების მიერ გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დე ფაქტო აღადგინა იმ საზღვრებში, რომელშიც ის საბჭოთა დროს არსებობდა. მათ შორის, ახალგორის რაიონი მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაციული საზღვრებიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში გადაიტანა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა — ხომ არ იყო ეს სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან ოკუპანტის ერთგვარი წაქეზება, რათა შემოსულიყო და სწორედ ის საზღვრები შემოეხაზა, რომელშიც სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქი საბჭოთა პერიოდში არსებობდა?



# „2008 წლის აგვისტოს ომის დროს და ომამდე ცოტა ხნით ადრე სააკაშვილის რეჟიმის ქმედებებს სამშობლოს ღალატის მეტს ვერაფერს დავარქმევთ!“

## „სააკაშვილმა დედამისს ათეულობით მილიონის სახელმწიფო ქონება აჩუქა!“

**— კოდორის ხეობისათვის ზემო აფხაზეთის დარქმევამაც ხომ რუსეთის წისქვილზე დაასხა წყალი?**

— გარდა იმისა, რომ სააკაშვილის რეჟიმმა კოდორს ზემო აფხაზეთი დაარქვა, იქ ჯარის შეყვანითა და იარაღის შეტანით დაარღვია 1994 წლის მოსკოვის შეთანხმება, რითიც რუსეთს პირდაპირ მისცა საბაბი, ხეობაში სამხედრო ძალით შემოჭრილიყო. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ **ოქრუაშვილმა და მერაბიშვილმა** კოდორის გმირი დამცველები განაიარაღეს, ზოგი მათგანი ციხეში ჩასვეს, ზოგიც ქვეყნიდან გააქციეს და ოკუპანტს ხეობის დასაკავებლად ხელ-ფეხი გაუხსნეს.

ეს ყველაფერი სამშობლოს ღალატის ნიშნებს შეიცავს, რასაც გამოძიება და შესაბამისი სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება სჭირდება.

**— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაუქმებული სამშობლოს ღალატის მუხლის აღდგენაც ამიტომ გადაწყვიტეთ?**

— ნაციონალური მოძრაობის მიერ სამშობლოს ღალატის მუხლის გაუქმებასა და 2008 წლის ომს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს — **როგორც ჩანს, სააკაშვილის რეჟიმს სამშობლოს ღალატის ჩადენა წინასწარ ჰქონდა განზრახული და სისხლის სამართლის კოდექსიდან სამშობლოს ღალატის დეფინიციაც ამის გამო გააქრო!**

ზოგადად, უსამშობლო ნაცები, მათთან აფილირებულ ენჯეო და მედია აგენტურასთან ერთად, სამშობლოს ცნებას გაშმაგებით ებრძოდნენ და სიტყვა სამშობლო თავიანთი ლექსიკონიდან საერთოდ ამოგდებული ჰქონდათ. სისხლის სამართლის კოდექსში **სამშობლოს ღალატის მუხლის** აღდგენა თუნდაც იმის გამო არის აუცილებელი, რომ სამშობლო, როგორც მთავარი ღირებულება და სამშობლოს მსახურება, როგორც ყველაზე საპატიო საქმე, თითოეული ჩვენგანის ცნობიერებაში მყარად იყოს გამჯდარი.

ამასთანვე, სამშობლოს მოღალატეს უნდა დაერქვას სამშობლოს მოღალატე, რათა მომავალში მსგავსი დანაშაულის ჩადენა ვერავინ გაბედოს არამხოლოდ ციხის შიშით, არამედ იმის გამოც, რომ სამშობლოს მოღალატის საბედისწერო და სამარცხვინო იარლიყი სამუდამოდ მიეკერება.

**— ამასობაში, მსჯავრდებულ სააკაშვილს, რომელსაც სამშობლოს ღალატის მუხლი ჯერ არა აქვს წაყენებული, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარის გაფლანგვის საქმეზე 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა! როგორ ფიქრობთ, მთელი ეს დრო კვლავ კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში უნდა გაატაროს?**

— მიმაჩნია, რომ სააკაშვილი რაც შეიძლება მალე უნდა იქნას გადაყვანილი ციხეში! რაც შეეხება ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარის გაფლანგვას, სააკაშვილს ბევრად მეტი ფული აქვს მოპარული და მარტო დედამისს ათეულობით მილიონის ღირებულების სახელმწიფო ქონება აჩუქა. თუმცა, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე, რაც 9 მილიონი ლარის გაფლანგვას ეხება, ყველაზე კარგად წარმოაჩენს, თუ როგორ ცინიკურად მართავდა **სააკაშვილი** ქვეყანას და როგორ მიაჩნდა საკუთარ ჯიბედ სახელმწიფო ბიუჯეტი. შვილის სწავლაში გადახდილი 40 000 დოლარი, ბოტოქსებში გადახდილი თითქმის ნახევარი მილიონი ლარი, **გიგი უგულავასთან** ერთად უცხოეთში ჩატარებული გასახდომი პროცედურები, ახლობლებისა და მეგობრებისათვის ძვირფასი საჩუქრების ყიდვა და მათი საზღვარგარეთული ვოიაჟების დაფინანსება... ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებებისა, რასაც 9 მილიონის გაფლანგვის საქმე მოიცავს, თუმცა, მხოლოდ ერთი ეპიზოდიც კი საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ნებისმიერი უმაღლესი თანამდებობის პირი გაესამართლებინათ.







ისე, სასჯელთა შეკრების პრინციპი რომ არ გაგვეუქმებინა და სააკაშვილი თავისივე კანონებით გაგვესამართლებინა, მარტო ამ ერთ — 9 მილიონის გაფლანგვის საქმეზე 40-წლიანი პატიმრობა ჰქონდა გარანტირებული.

**— გაზაფხულის დადგომასთან ერთად, ნაცოპოზიცია ხალხმრავალი აქციებით იმუქრება, საზოგადოების უდიდეს ნაწილს კი ერთი კითხვა აწვალებს — როდემდე უნდა გრძელდებოდეს ის ბაქანალია, რაც ყოველ საღამოს რუსთაველის გამზირზე იმართება?**

— რადიკალურმა ოპოზიციამ, ანუ **აგენტოკრატიამ** საკუთარ პოლიტიკურ მომავალს თავადვე გამოუტანა განაჩენი, როცა ამომრჩევლის მიერ მიცემულ მანდატებზე უარი თქვა და პარლამენტში არ შემოვიდა. ახლა დაკა-დაკა აქვთ შიგნით და კვირა ისე არ გავა, აგენტურული ოპოზიციის რომელიმე წარმომადგენელმა პოლიტიკიდან წასვლის შესახებ არ განაცხადოს.

რაც შეეხება ე.წ. პროტესტს, რომელიც რუსთაველის გამზირზე სახალხო სეირნობაში გადაიზარდა, ამას არავითარი ძალა არა აქვს. **ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ვერ მიაღწიეს** და ახლა ისღა დარჩენიათ, ქვეყანა ეკონომიკურად დააზარალონ. არც კი მალავენ, რომ ქართული ეკონომიკის ჩამოშლა უნდათ, რათა ხალხი გაბრაზდეს და ქუჩაში გამოვიდეს, მაგრამ ვერც ამას მიაღწევენ.

საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოა, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება ყველას გარანტირებული აქვს და თუ კანონს არ დაარღვევენ, იბოდიალონ ქუჩაში, რამდენ ხანსაც უნდათ, ხოლო, თუ კანონს დაარღვევენ, პასუხისგება არ ასცდებათ.

**— ესე იგი, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანას ე.წ. ნაცმაიდნისა და სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე აღარ ემუქრება?**

— ასეთი საფრთხე არც არასდროს არსებობდა, უბრალოდ, ადგილობრივ აგენტებსა და მათ უცხოელ პატრონებს ილუზია ჰქონდათ, რომ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას შეძლებდნენ. ქართველებმა ჩვენი დამოუკიდებლობის 30 წლის განმავლობაში ბევრი შეცდომა დავუშვით და ეს გამოცდილება მუდმივად გვაფხიზლებს, რათა ქვეყანაში ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზით ცვლილება აღარ დავუშვათ.

რაც მთავარია, **ახლა 2025 წელია და არა — 2003, როცა საქართველოში „ვარდების რევოლუციად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალება მოხდა.** დღეს ქართული სახელმწიფო, თავისი ყველა ინსტიტუციით, გაცილებით უფრო ძლიერია და არ დაუშვებს, რომ ძალაუფლება კვლავ ანტიქართული აგენტოკრატიის ხელში აღმოჩნდეს!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**სანდრო რაქვიაშვილი**
*პარტია „გირჩის“ ლიდერი*



**ოპოზიციის დიდი შეცდომა იყო პარლამენტში არშესვლა.** ეს იმაზე მიუთითებს, რომ მათ **პარტიულ სიაში ხალხი არ ჰყავდათ, რომლებიც პარლამენტში შეძლებდნენ „ქართული ოცნებისთვის“ რეალური წინააღმდეგობის გაწევას.** თუ შენ არ შედიხარ პარლამენტში და ხელისუფლებას არ აღიარებ, ცხადია, რომ არჩევნებშიც არ უნდა მიიღო მონაწილეობა. **როცა არჩევნებში არ აპირებ მონაწილეობის მიღებას, გამოდის, რომ რევოლუციისთვის ემზადები.**

„ახალი თაობა“

**გელა ხმალაძე**
*პოლიტიკოსი*



წელს **ვადამდელი არჩევნები აბსოლუტურად გამორიცხულად მიმაჩნია.** ვადამდელი არჩევნები შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, **თუ გახარიას პარტია საბოლოოდ არ შევა პარლამენტში.** თვითმმართველობის არჩევნებს რაც შეეხება, **დარწმუნებული ვარ, ყველა მიიღებს მონაწილეობას.** აგერ ნახავთ, **„ლელოც“ მიიღებს მონაწილეობას** და დარწმუნებული ვარ, **ხაზარაძე თავის კანდიდატურას დააყენებს ქალაქის მერად.**

„ახალი თაობა“

**გელა ვასაძე**
*ექსპერტი*



შევხედოთ, როგორი **საშინელი ფსიქოლოგიური ფონია ქვეყანაში, ადამიანებს ერთმანეთი უკიდურესად ეზიზღებათ.** როცა საზოგადოებაში ასეთი ნაპრალია, **ეს კატასტროფაა.** ასეთი ვითარება ძალიან ხშირად ხელოვნურად იქმნებოდა საქართველოში და მერე ბრძოლის ველზე მყოფ **საზოგადოების ერთ ნაწილს მეორე ნაწილი ზურგში დანას ჩასცემდა ხოლმე.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი თავდგირიძე**
*სამხედრო ექსპერტი*



**ეს ოპოზიცია ხელისუფლების გაგრძელებაა.** ის ხელისუფლებასთან კოლაბორაციაშია და თავისი არასწორი მანევრებით **ხელს უწყობს მმართველ გუნდს, რომ არ ჩამოიშალოს.**

„ახალი თაობა“

***ხანდაზმული თაღლითი მამუკა ხაზარაძე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს 1,5 მილიარდი დოლარის წაგლეჯას უპირებდა, თავად გახდა იძულებული, ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ 650 000 დოლარი გადაეხადა.***

# ხაზარაძეს 5 ათასი 650 ათასი დაუჯდა!

## „ასავალ-დასავალისათვის“ 5 000 ლარის წამგლეჯ ხანდაზმულ თაღლითს 650 000 დოლარი დააყაჭვინეს!



კერძოდ, **ხანდაზმულმა თაღლითმა** აღასრულა პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც შპს **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“** 650 000 დოლარით იქნა დაჯარიმებული იმის გამო, რომ საინვესტიციო ვალდებულებები ვერ შეასრულა და ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტი ვერ ააშენა.

არადა, **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“,** ანუ **ხანდაზმულმა თაღლითმა ხაზარაძემ** საქართველოს მთავრობას პარიზის არბიტრაჟში თვითონვე უჩივლა და კომპენსაციის სახით **1,5 მილიარდი დოლარი** მოითხოვა, აქაოდა — ქართულმა სახელმწიფომ საინვესტიციო ხელშეკრულება უკანონოდ გამიწყვიტა და ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტი არ ამაშენებინაო!

პარიზის არბიტრაჟმა **ხანდაზმული თაღლითის** საჩივარი განიხილა, საქმის ვითარება ობიექტურად გამოიკვლია და დაადგინა ის, რაც სინამდვილეში მოხდა: **საქართველოს მთავრობას ანაკლიის პორტის მშენებლობაში ხაზარაძისათვის არათუ ხელი არ შეუშლია, პირიქით, ყველანაირად უწყობდა ხელს, რომ საინვესტიციო ვალდებულებები შეესრულებინა და პროექტი სისრულეში მოეყვანა.** მაგალითად, საქართველოს მთავრობამ **ხაზარაძესა და მის კონსორციუმს** პორტის მშენებლობისათვის საჭირო ფინანსების მოძიების ვადა არაერთხელ გაუგრძელა, მაგრამ **ხანდაზმულმა თაღლითმა** ინვესტიცია მაინც ვერაფრით მოიზიდა.

საბოლოო ჯამში, როგორც პარიზის საარბიტრაჟო სასამართლომ დაასკვნა, ანაკლიის პორტთან დაკავშირებული საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობა თავიდან ბოლომდე **ხაზარაძის კონსორციუმის** ბრალი იყო და საქართველოს მთავრობამ მასთან ხელშეკრულება სრულიად კანონიერად გაწყვიტა.

შესაბამისად, **ხანდაზმული თაღლითის** სასარჩელო მოთხოვნა — **საქართველოს მთავრობამ 1,5 მილიარდი დოლარის კომპენსაცია გადამიხადოსო, პარიზის არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ იქით დააკისრა საქართველოს მთავრობისათვის 650 000 დოლარის გადახდა.**

ასე და ამრიგად, პარიზის საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი **მამუკა ხაზარაძისა** და მისი პოლიტიკური სამწყსოს უბადრუკ სპეკულაციას იმის შესახებ, რომ **თითქოს საქართველოს ხელისუფლებამ ანაკლიის პორტის მშენებლობას რუსეთის დავალებით შეუშალა ხელი.**

პარიზის საარბიტრაჟო სასამართლომ დაადასტურა, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ჩაფლავებაში ერთადერთი დამნაშავე **მამუკა ხაზარაძეა!**

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ჩაფლავებაში ერთადერთი დამნაშავე თვითონ რომ არის, ეს დაადასტურა **ხანდაზმულმა თაღლითმა ხაზარაძემაც,** როცა პარიზის არბიტრაჟის გადაწყვეტილება აღასრულა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში **650 000 დოლარი** გადაიხადა.

თუმცა, **მამუკა ხაზარაძე,** როგორც ნამდვილ თაღლითს შეეფერება, კვლავ ცდილობს, საზოგადოებას თვალში ნაცარი შეაყაროს — **650 000 დოლარი,** რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში შევიტანე, ანაკლიის პორტის მშენებლობის ჩაფლავებისათვის დაკისრებული ჯარიმა კი არა, საერთაშორისო არბიტრაჟის მომსახურების საკომისიო არისო!

უფრო მეტიც, **ხანდაზმული თაღლითი** აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ **650 000 დოლარი** მან კი არა, **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“** გადაიხადა!

ვითომ **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“** სხვა იყოს და **ხაზარაძე** — სხვა!

არადა, იგივე ეგ, ასინეთა, იგივე!

მართალია, **ხაზარაძე** სასამართლოს მიერ ოფიციალურად სახელდებული თაღლითი გახლავთ, მაგრამ მთლად ისეთი შულერიც ვერ არის, რომ საზოგადოება დააჯეროს, თითქოს, **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“** კავშირი არა აქვს და პარიზის არბიტრაჟმა 650 000 დოლარით კი არ დააჯარიმა, არამედ, უბრალოდ, მომსახურების ბაჟი გადაახდევინა!

**ხანდაზმულმა თაღლითმა ხაზარაძემ** ეგ ზღაპრები თავის **გეგელნერატს — ბრიბოლ გეგელიას** მოუყვეს!

ისე კი, ნათქვამია — კოკა წყალზე ტყდებაო და **ხაზარაძესაც** სწორედ ეგ მოუვიდა — მთელი ცხოვრება სხვების ცოცხლად გატყავებას იყო დაჩვეული, სულ იმას მეცადინეობდა, ვისთვის რა წაეგლიჯა და ბოლოს თვითონ მოუწია **650 000 დოლარის,** ანუ თითქმის ორი მილიონი ლარის დაყაჭვა!

თუნდაც ის გავიხსენოთ, **სასამართლოში „ასავალ-დასავალისათვის“ 160 000 ლარის წაგლეჯას რომ ლამობდა** — ცალკე ჩემი პატივისა და ღირსების შელახვისათვის **80 000 გადამიხადეთ,** ცალკე „თიბისი ბანკის“ საქმიანი რეპუტაციის დაზიანებისათვის კი მეორე **80 000 ზემოდან დაამატეთო!**

თუმცა, სასამართლომ, რომელსაც, ჩვენს ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციით, **ქვირიკაშვილის მთავრობისაგან** მკაცრი დირექტივა ჰქონდა მიღებული — **„ასავალ-დასავალთან“ დავა აუცილებლად მამუკა ხაზარაძის სასარგებლოდ უნდა გადაწყდესო,** მისი პატივი და ღირსება ოდენ **5000 ლარად** შეაფასა!

კი, **მამუკა ხაზარაძე** თვლიდა, რომ მისი პატივი და ღირსება **80 000 ლარის** ეკვივალენტური იყო, მაგრამ სასამართლომ უთხრა — **ნამეტანიც ნუ მოგივა, შენი პატივი და ღირსება 5 000 ლარზე მეტს ვერ ქაჩავსო!**

ჰოდა, ჩვენც მივაშაველთ ის **5 000 ლარი! მივაშაველთ და გავაფრთხილეთ,**

**რომ „ასავალ-დასავალისათვის“ წაგლეჯილი 5 000 ლარი 5 000-ჯერ ძვირი დაუჯდებოდა!** ძვირში, ცხადია, თანხას არ ვგულისხმობდით! ვგულისხმობდით იმას, რომ **მოვიდოდა დრო, როცა მამუკა ხაზარაძეს მთელი საქართველო დაუძახებდა იმას, რასაც მაშინ, 10 წლის წინათ, მხოლოდ ჩვენ ვეძახდით — თაღლითს, ყაჩაღ-ბანკირს, მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევ ზონდერ-კომკავშირელს,** ყოველივე ქართულთან მებრძოლი, ეკლესიისა და პატრიარქის მაგინებელი ტუალეტის მჯღაბნელების დამფინანსებელს და ა.შ. და მართლაც ასე მოხდა!

დღეს ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი **ხაზარაძეს** სწორედ ასე იცნობს და ასე მოიხსენიებს!

თუმცა, მას **„ასავალ-დასავალისათვის“ 5 000 ლარის წაგლეჯა, ყველაფერთან ერთად, 650 000 დოლარიც დაუჯდა!**

ამას კი, ცოდვა გამხელილი სჯობს, ვერც ჩვენ წარმოვიდგენდით!

დარწმუნებული ვართ, ვერც **ხაზარაძე** წარმოიდგენდა, რომ **ჩვენგან მიშავებული 5 000 ლარი** 650 000 დოლარი დაუჯდებოდა! ვინ იცის, **ხაზარაძეს** წინ კიდევ რამდენი რამ ელოდება ისეთი, ვერც თვითონ რომ წარმოიდგენს და ვერც ჩვენ წარმოგვიდგენია!

ერთი რამ, რაც ზუსტად ვიცით, ის არის, რომ, ვინც **„ასავალ-დასავალს“** ემტერებოდა, ყველამ ცუდად ან ძალიან ცუდად დაამთავრა!

მაგალითად, **ერთ ეგეთს, „ვივამედის“ ლუქს-პალატაში რომ წამოგორებულა, გასულ კვირას 9 წელი მიუსაჯეს!**

***ჯაბა ხუბუა***

## ვინც „ასავალ-დასავალს“ ემტერებოდა, ყველამ ცუდად ან ძალიან ცუდად დაამთავრა!



**ეს იყო:**
**მამუკა ხაზარაძე „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ ფონზე თვითკმაყოფილი პოზირებს!**

გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:

# გენერალისიმუსი

№11 (307) ★ 2025 წლის 17 მარტი ★ გამოდის 2003 წლიდან

**სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!**

იოსებ სტალინი




# რუსეთის ამერიკა

## როგორ იქცა რუსეთის იმპერიის უმაღლესი მწვერვალი ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს წერტილად

***2025 წლის 5 მარტს ამერიკის 47-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კონგრესში სიტყვით გამოსვლისას და მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე განაცხადა: „მე კვლავ გადავარქვი სახელი მაკ-კინლის მწვერვალს ამერიკის დიადი პრეზიდენტის უილიამ მაკ-კინლის პატივსაცემად. მშვენიერი ალიასკა, რაოდენ ძლიერად გვიყვარს იგი. ჩვენ ვაღმერთებთ ალიასკას!“***

**უილიამ მაკ-კინლი** 1897-1901 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების 25-ე რესპუბლიკელი პრეზიდენტი იყო, რომელიც პოლონური წარმოშობის ანარქისტმა, ვინმე **ლეონ ჩოლგოშმა** 1901 წლის 6 სექტემბერს მძიმედ დაჭრა. რვადღიანი ტანჯვა-წვალების შემდეგ, 14 სექტემბერს, პრეზიდენტი გარდაიცვალა. **მაკ-კინლი** წარმატებული მმართველი იყო, რომელმაც ესპანელებს პუერტო-რიკო, ფილიპინები და გუამი წაართვა. მაგრამ მის ყველაზე დიდ გამარჯვებად შეერთებული შტატების მიერ ჰავაის კუნძულების შემოერთება უნდა მივიჩნიოთ, რომელიც წყნარ ოკეანეში ამერიკის უდიდეს საზღვაო ფორპოსტად არის ქცეული.

რაც შეეხება ალიასკის უმაღლეს მწვერვალ **მაკ-კინლის,** რომლის სიმაღლეც 6190 მეტრია, 2015 წელს დემოკრატმა პრეზიდენტმა **ბარაკ ჰუსეინ ობამამ** მას სახელი შეუცვალა და **დენალი** უწოდა, რაც ადგილობრივ ინდიელთა ენაზე „დიადს“ ნიშნავს...

**მაკ-კინლი,** რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის კორდილიერების მთათა სისტემას მიეკუთვნება, არამარტო შეერთებული შტატების შემადგენლობაში მყოფი **ალიასკის,** არამედ საერთოდ, მთელი **ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის** უმაღლესი მწვერვალია. მთას ეს სახელი 1896 წელს ამერიკელმა ოქროსმაძიებელმა **უილიამ დიკიმ** შეარქვა მომავალი პრეზიდენტის **უილიამ მაკ-კინლის** პატივსაცემად. ყველაზე უფრო საინტერესო ის არის, რომ **1799 წლიდან 1867 წლამდე მაკ-კინლი რუსეთის იმპერიის უმაღლეს მწვერვალად იყო მიჩნეული და რუსები უბრალოდ „დიდ მთას“ ეძახდნენ.** 1867 წლის მდგომარეობით, რუსეთის იმპერიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული შუა აზიის იმ ნაწილის, კერძოდ, დღევანდელი ტაჯიკეთის ოკუპაცია, სადაც საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალი **სტალინის პიკი** (1962 წლიდან — **კომუნიზმის პიკი**) მდებარეობდა. დღეს **კომუნიზმის პიკი ისმოილ სომონის** სახელს ატარებს და მისი სიმაღლე 7495 მეტრია, მაგრამ ისევე, როგორც **მაკ-კინლის პიკი,** რუსეთს აღარ ეკუთვნის.

პამირის ის ნაწილი, სადაც **მაკ-კინლის პიკზე** ბევრად მაღალი **ყოფილი კომუნიზმის პიკი** მდებარეობს, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა ალიასკის გაყიდვიდან 9 წლის შემდეგ, 1876 წელს, როცა ინფანტერიის გენერალმა, ბულგარეთის გამათავისუფლებელმა **მიხეილ სკობელევმა** იქ სამხედრო ექსპედიცია შეიყვანა.




სირცხვილის პიკი ★




**აშშ-ის მიერ ალიასკის სანაცვლოდ გადახდილი 7 მილიონ 200 ათასი დოლარის ჩეკი**

როგორც ცნობილია, 1867 წლის 30 მარტს იმპერატორმა **ალექსანდრე მეორემ** ამერიკის შეერთებულ შტატებს ალიასკა 7 მილიონ 200 ათას ამერიკულ დოლარად დაუთმო, რაც იმხანად 11 მილიონ რუსულ ოქროს მანეთს უდრიდა. ეს ნამდვილად არ იყო ასტრონომიული თანხა, სამაგიეროდ, ასტრონომიული სიდიდისა გახლდათ გაყიდული **ალიასკის ფართობი,** რომელიც 1 მილიონ 717 ათას 854 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. გაყიდვიდან ცოტა ხანში ალიასკის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ოქროს, ბრილიანტის, გაზისა და ნავთობის უდიდესი მარაგები და დაიწყო „ოქროს ციებ-ცხელება“.

ასე რომ, **1867 წლის 30 მარტს ვაშინგტონში გაფორმებული საერთაშორისო კონვენციიის თანახმად, რუსეთის იმპერიამ და იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ალიასკასა და ალეუტის კუნძულებზე ყველა უფლება დათმეს.** ამით რუსეთის იმპერიის უმაღლესი მწვერვალი — **დღევანდელი მაკ-კინლი,** შეერთებული შტატების უმაღლესი მწვერვალი გახდა, ხოლო ალიასკა 1959 წლის 3 იანვარს ამერიკას 49-ე შტატად შეემატა.

მიგვაჩნია, რომ ეს ფაქტი რუსეთის იმპერიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სამარცხვინო და ტრაგიკული ფურცელია. ამოდენა ძლევამოსილ იმპერიას, რომელმაც ნაპოლეონი ბეჭებზე დასცა, ხოლო ყირიმის ომში, ფაქტობრივად, მთელი ევროპის შემოტევას გაუძლო, **წესით, იმპერიის უმაღლესი მწვერვალი ცოცხალი თავით არ უნდა დაეთმო,** მაგრამ **იმპერატორმა ალექსანდრემ** და პეტერბურგის საიმპერატორო კარმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ღირსების დაცვას სარფიანად ვაჭრობა არჩია და რეალპოლიტიკის იმ პრინციპების მიხედვით იხელმძღვანელა, რომელიც რუსეთისთვის უცხო არასოდეს ყოფილა.

ბუნებრივად დაისმის კითხვა — **მაინც რამ აიძულა რუსეთი, ამხელა ალიასკა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, ფაქტობრივად, ჩალის ფასად დაეთმო და ე.წ. „რუსულ**

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე*

გიორგი ბეზირგანი

# კრემლის

***შეთქმულებები და გადატრიალებები უმაღლეს ხელისუფლებასთან ერთად დაიბადა. საკმარისი იყო, ერთი გვარის, ტომის, ერის წარმომადგენელს სახელმწიფოს მართვის სადავეები აეღო ხელში, რომ მყისვე გამოჩნდებოდა მეორე, რომელიც ქვეშ-ქვეშ, ფარულად იწყებდა შეთქმულების ქსელის ხლართვას მოწინააღმდეგის დამხობისა და ძალაუფლების დაპყრობის მიზნით.*** *როგორც წესი, ეს „მეორე“ მმართველის უახლოესი გარემოცვიდან იყო, მის „მოწაფედ“ და „თანამოსაგრედ“, ხშირად კი მეგობრადაც ითვლებოდა. მაგრამ მეგობრობას პოლიტიკაში არაფერი ესაქმება ისევე, როგორც სისხლით ნათესაობას. და მისი მუდმივი მამოძრავებელი — ძალაუფლების დაუოკებელი წყურვილით გამოკვებილი ინტრიგები და პროვოკაციებია.* ***ვფიქრობ, ამ ჭეშმარიტების დასადასტურებლად ორი მაგალითის მოყვანაც იკმარებს. იულიუს კეისარის მკვლელობა რომის დიდგვაროვანთა შეთქმულების შედეგად, რომელსაც მისი უახლოესი მეგობარი და აღზრდილი ბრუტუსი ხელმძღვანელობდა და იმპერატორი პავლეს მკვლელობა, რომლის დროსაც გვარდიის შეთქმულებას სათავეში, ფაქტობრივად, მისი ღვიძლი შვილი ალექსანდრე ედგა.*** *ბოლშევიკთა მმართველობის ეპოქა ამ წესიდან გამონაკლისი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა. და ამის ილუსტრირება კონკრეტული მაგალითებით ვცადეთ ისტორიულ-პუბლიცისტურ სერიალ „წყეულ ტახტებში“.* ***მკითხველისათვის წარმოდგენილი ახალი სერიალი მისი გაგრძელებაა. მხოლოდ ერთი პრინციპული განსხვავებით — თუკი გასული, მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის შეთქმულებები და გადატრიალებები (სულერთია, წარმატებული თუ წარუმატებელი), საბოლოოდ, დიდი სახელმწიფოს გაძლიერებაზე მუშაობდა, ყველა მომდევნო — მის დაღუპვას უწყობდა ხელს. ხოლო პირველი, თანაც ყველაზე მძლავრი დარტყმა, რომლის შემდეგ ქვეყანა წელში ვეღარ გაიმართა, მას 1953 წლის 1 მარტის ღამეს მიაყენეს. ჩვენს თხრობას სწორედ ამ საბედისწერო ღამით დავიწყებთ.***



# გენერალისიმუსის ღამე

ისტორია მეორდება. და ის თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტი, რომ მარტის თვე როგორც რომის იმპერიის, ისე საბჭოების ქვეყნისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, ამ უდავო ჭეშმარიტებას ადასტურებს. უახლოესი გარემოცვის მიერ მოქსოვილ შეთქმულებათა ბადეში სწორედ მარტში დაიღუპა მსოფლიო ისტორიის ორი გიგანტი — გაიუს იულიუს კეისარი და იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. პირველ შემთხვევაში შეთქმულების შედეგი ხანჯალმა განსაზღვრა, მეორეში კი, როგორც ჩანს, „შხამით სავსე ფიალამ“.

შეთქმულები ბრუტუსის მეთაურობით, ასე თუ ისე, დიდი ბელადის „მოწაფეებსა“ და „თანამოსაგრეებზე“ პატიოსნები აღმოჩნდნენ, ისინი შეუნიღბავად, აშკარად გამოვიდნენ.

ძველი რომაელი ისტორიკოსი სვეტონიუსი დაწვრილებით აღწერს მოვლენებს, რომლებიც სენატში მომხდარ მკვლელობას უძღოდა. წინა დღეს, მარკუს ემილიუს ლეპიდუსთან სადილობისას, სიტყვა შემთხვევით ჩამოვარდა იმაზე, როგორი სიკვდილი ჯობს. კეისარმა წამოიძახა: „უცაბედი და სწრაფი“. ღამით, როდესაც მას საკუთარ საწოლში ეძინა, მოულოდნელად ყველა კარი და ფანჯარა გაიღო. ხმაურით და მკვეთრი შუქით გაღვიძებულმა კეისარმა დაინახა, რომ მისი ცოლი კალპურნია ძილში ქვითინებს, რადგან დაესიზმრა, რომ ქმარს მის მკლავებში ხანჯლით კლავენ და ის სისხლისგან იცლება. ქალი მეორე დილიდანვე ემუდარებოდა კეისარს, სენატში სხდომა გადაედო და შინიდან არ გასულიყო.

იოსებ სტალინი უკანასკნელ ამქვეყნიურ დღეებში ტრაგიკულად მარტოსული იყო. გვერდით არ ჰყავდა ცოლი, რომელიც მოსალოდნელ საშიშროებაზე გააფრთხილებდა. არ ყოფილა არავითარი ღვთიური ნიშანი. არც საუბარი თემაზე, როგორი სიკვდილი ჯობს. თუმცა, ვფიქრობ, ეს შეკითხვა რომ დასმულიყო, მე-20 საუკუნის კეისარი მასზე ისევე უპასუხებდა, როგორც მისი უძველესი წინამორბედი — უცაბედი და სწრაფი. ვაგლახ, ყველა დროისა და ხალხის დიდ მმართველს მტანჯველი და ხანგრძლივი სიკვდილი ერგო. და კეისრისაგან განსხვავებით, ის თავის მკვლელებთან შესახვედრად არ წასულა. მკვლელები თვითონ ეწვივნენ.

აი, როგორ მოხდა ეს.

**ხრუშჩოვი წერს:** „ერთხელ შაბათს მისგან (სტალინისგან) დაგვირეკეს, რომ კრემლში მივსულიყავით. მან იქ პირადად მიგვიწვია მე, მალენკოვი, ბერია და ბულგანინი. მივედით. ის გვეუბნება: „მოდით, კინო ვნახოთ“. ვნახეთ. მერე ამბობს: „მახლობელ აგარაკზე სადილად წავიდეთ“.

მაგრამ ხრუშჩოვი ცრუობს, როგორც ყოველთვის. თუმცა ცოტა გაუგებარია, რაში დასჭირდა ტყუილი ნიკიტას ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ბელადთან მიმსვლელთა რეგისტრაციის ჟურნალი ხრუშჩოვის მონათხრობს მთლიანად უარყოფს. ამ ჟურნალში ნებისმიერს აღრიცხავდნენ, ვინც ბელადის კრემლის კაბინეტში შეაბიჯებდა. უკანასკნელი ჩანაწერი 1953 წლის 17 თებერვლით თარიღდება. და ახლა უკვე შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ ამ დღეს, უკანასკნელი სტუმრის გაცილების შემდეგ (ეს სსრკ-ში ინდოეთის ელჩი ბ-ნი მენონი იყო) სტალინი მახლობელ აგარაკზე გაემგზავრა და სიკვდილამდე იქაურობა აღარ დაუტოვებია.

**აგარაკის კომენდანტის ყოფილი თანაშემწე ლოზგაჩოვი:** პირველ მარტს ღამე მე ვმორიგეობდი. იმ ღამით ობიექტზე სტუმრები უნდა ჩამოსულიყვნენ. ასე ეძახდა პატრონი პოლიტბიუროს წევრებს. სტალინმა გამომიძახა და მეუბნება: „სადილი, როგორც ყოველთვის, და ორი ბოთლი წვენიც მოგვართვი, მეტი არა.“ წვენს პატრონი მაჭარს ეძახდა. დაახლოებით საღამოს 10 საათისათვის სტუმრები ჩამოვიდნენ — ბერია, მალენკოვი, ბულგანინი და ხრუშჩოვი. პატრონი, როგორც ყოველთვის, სახლის ზღურბლზე შეხვდა.

**ხრუშჩოვი:** ჩავედით. ვახშამი გაჭიანურდა. სტალინი ასეთ გვიან ვახშმებს სადილს ეძახდა. ალბათ, დილის 5 ან 6 საათზე დავასრულეთ. სტალინი კარგ გუნებაზე იყო, შეზარხოშებული, კონიაკს სვამდა. როდესაც ვიშლებოდით, ჩვეულებისამებრ, ვესტიბიულში გამოგვაცილა. ბევრს ხუმრობდა, თითი მუცელში მატაკა და მიკიტა მიწოდა. როცა კარგ გუნებაზე იყო, ყოველთვის ასე მეძახდა — უკრაინულად. ჩვენც მხიარულები გამოვემგზავრეთ...

ლოზგაჩოვის მონაყოლიდან უკვე ვიცით, რომ კონიაკი სუფრაზე არ ყოფილა. სტალინი, როგორც ცნობილია, ცოტას სვამდა, თანაც ისედაც მსუბუქ ღვინოს წყალს ურევდა. მაშ, რაში დასჭირდა ხრუშჩოვს კიდევ ერთი ტყუილი, რომ სტალინი „შეზარხოშებული“ იყო?

ჩანს, იმის მისაჩქმალად, რაც ძალიან მალე მოხდება მახლობელ აგარაკზე. ამ მიზნითვეა მოგონილი მესამე სიცრუეც — მეგობრული გამოთხოვება ვესტიბიულში და გულთბილი მუჯლუგუნი მიკიტას ღიპში.

ამ იდილიურ სურათს კიდევ ერთი თვითმხილველის — **ბულგანინის** მონათხრობი არღვევს. ისტორიკოს დიმიტრი ვოლკოგონოვს მან შემდეგი მოუთხრო:

სტალინი იმ საღამოს უგუნებოდ იყო, გაღიზიანებას ძლივს ფარავდა. ყველაფრით უკმაყოფილო სათითაოდ მკაცრად გვსაყვედურობდა. საუბარი იყო იმაზე, რომ პოლიტბიუროს წევრები საშინლად მუშაობენ. უამრავი პრობლემაა სახალხო მეურნეობაშიც და საერთაშორისო თვალსაზრისითაც, მაგრამ ისინი არ გვარდება. რა, ყველა ეს საკითხი მარტო მან უნდა გადაწყვიტოს? ან იქნებ პოლიტბიუროს წევრები ფიქრობენ, რომ შეუცვლელები არიან? თუ ისინი ასე ფიქრობენ, მწარედ ცდებიან. შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ. ლენინის გარეშე გავძელით და მათ გარეშე პარტია და ქვეყანა მითუმეტეს გაძლებენ. სადღაც გამთენიისას მან ყველას მძიმე მზერა მოგვავლო, გაჭირვებით წამოდგა, ხელსახოცი მაგიდაზე დააგდო და სასადილოდან გავიდა. როცა წამოვედით, პატრონი გასაცილებლად არ გამოსულა...

მერე რა მოხდა?

**მცველი რიბინის** სიტყვით, სტუმრები დილის 4 საათზე დაიშალნენ. სტალინი, როგორც ჩანს, ჯერაც მუშაობდა, რადგან პატარა სასადილოში სინათლე ენთო. ერთი თუ ორი საათის შემდეგ შუქი ჩაქრა. და ამის შემდეგ მოსამსახურეებს და დაცვას თითქოსდა მისი ნათქვამი სიტყვები გადასცეს: „დასაძინებლად ვწვები და აღარ გამოგიძახებთ. თქვენც დაიძინეთ“...

**ყოფილი მცველი ტუკოვი:** არ მახსოვს არცერთი შემთხვევა, პატრონს ასეთი ბრძანება გაეცეს — ყველამ დაიძინეთ.

**ლოზგაჩოვი:** ასეთი განკარგულება სტალინს არასოდეს გაუცია. არც არის წესი, დაცვას ღამით ეძინოს. პირიქით, ხანდახან დაგინახავდა და გკითხავდა — გეძინება? და თან ისე გაგბურღავდა თვალებით, რაღა ძილზე იყო ლაპარაკი?

ირკვევა, რომ ბრძანება „ყველამ დაიძინოს“ ვითომდა სტალინისგან პერსონალს უშიშროების სამინისტროდან აგარაკზე მიმაგრებულმა ხრუსტალიოვმა გადასცა. თვითონ კი მაშინვე მოსკოვში გაემგზავრა.

ღამე სწრაფად მიილია. გათენდა. პატრონს მთელი ამ ხნის განმავლობაში მართლაც არავინ შეუწუხებია. მაგრამ დღის თორმეტ საათზეც, როცა, ჩვეულებრივ, დგებოდა ხოლმე, მისგან გამოძახება არ მიუღიათ.

ტაატით მიიზლაზნებოდა საათები, სტალინის აპარტამენტებიდან კი უწინდებურად ჩამიჩუმიც არ ისმოდა. რას აკეთებდა იგი ამ უკანასკნელ საათებში? ამას, ალბათ, ვეღარასოდეს შევიტყობთ. შემორჩენილია ერთადერთი მოწმობა. საქართველოს კპ ცკ-ის მაშინდელი პირველი მდივანი აკაკი მგელაძე მოგონებებში წერს, რომ ნაშუადღევს მის კაბინეტში ВЧ-ს ზარი გაისმა. სტალინი რეკავდა. ის თბილად მიესალმა და დაინტერესდა, როგორ მიდის საქმეები საქართველოში. ჰკითხა, რაში სჭირდება დახმარება და შეშფოთება გამოთქვა საქართველო-თურქეთის საზღვარზე მდგომარეობის გამო. მგელაძემ დაარწმუნა ბელადი, რომ მდგომარეობას აკონტროლებენ, საზღვარი ახალი განაწესებით გაძლიერდა, სახალხო მეურნეობაში საქმე კარგად მიდის და ერთადერთი თხოვნა სოფლის მეურნეობისთვის დამატებითი ტექნიკის გამოყოფაა. სტალინი შეჰპირდა, რომ თხოვნას შეუსრულებდა, თქვა, რომ უახლოეს ხანებში მგელაძეს მოსკოვში ჩამოსვლას სთხოვს, დაემშვიდობა და ყურმილი დაკიდა.

ეს, როგორც ჩანს, მისი ბოლო სატელეფონო საუბარი იყო. და, ალბათ, სიმბოლურია, რომ ბელადის უკანასკნელი სიტყვები, მისი უკანასკნელი მზერა მშობლიური საქართველოსკენ იყო მოპყრობილი.

შემდეგ კი — დუმილი.

მოსაღამოვდა. და ამ დუმილმა სერიოზულად შეაშფოთა მახლობელი აგარაკის დაცვა და მომსახურე პერსონალი.

**ლოზგაჩოვი:** საღამოს რვა საათი — მისი ოთახებიდან ჩამიჩუმი არ ისმის. ცხრა საათი — იგივე. ათი საათი — კვლავ სიჩუმე. სტაროსტინს ვეუბნები, დაცვის უფროსი ხარ, მიდი, ნახე, რა ხდება-მეთქი. სტაროსტინი კი მეუბნება, არა, აჯობებს, შენ წახვიდე, აგერ, ფოსტა მოიტანეს, ეს კი შენი მოვალეობაა. ცკ-დან შემოსული წერილების პატრონთან შეტანა მართლაც მე მევალებოდა. ასე რომ, ფოსტა ავიღე და წავედი. ოთახი, სადაც წერილებს ვალაგებდით, პატარა სასადილოს გვერდით იყო, პატრონი პრაქტიკულად მთელ დღეს აქ ატარებდა, მუშაობდა და აქვე ეძინა დივანზე. შევედი და ღია კარიდან ვხედავ, პატრონი სასადილოში იატაკზე წევს. გავშეშდი. მას კი, როგორც ჩანს, გონება ჯერ არ დაეკარგა, მაგრამ ლაპარაკი აღარ შეეძლო. ალბათ, ჩემი ფეხის ხმა გაიგონა ან დამინახა და ხელით მიმიხმო საშველად. მივვარდი: „ამხანაგო სტალინ, რა მოგივიდათ?“ ის კი პასუხად ლუღლუღებს: „ძ... ძ...“

იქვე ჯიბის საათი და გაზეთი „პრავდა“ ეყარა. ორ ნაბიჯში პატარა მაგიდაზე „ნარზანის“ ბოთლი იდგა. ჩანს, მისკენ მიდიოდა, როცა დაეცა. სასწრაფოდ რამე უნდა გვეღონა, ექიმები გამოგვეძახა. მთლად აკანკალებულმა დომოფონით სტაროსტინს დავურეკე: „სასწრაფოდ მოდი“, პატრონს უბედურება შეემთხვა“. სტაროსტინმა მყისვე მოირბინა და ისიც დამბლადაცემულივით გაშეშდა. მას ეკონომი ბუტუსოვა შემოჰყვა. „ექიმები გამოიძახეთ!“ — ყვირის. „არა, — ამბობს სტაროსტინი, — ასე არ ივარგებს. ჯერ იმათ უნდა შევატყობინოთ“. და მთავრობის ტელეფონით დასარეკად წავიდა.

**სტაროსტინი:** თავდაპირველად რატომღაც უშიშროების სამინისტროში დავრეკე, ჩვენს უშუალო უფროსთან მინისტრ იგნატიევთან. მაგრამ იმას შეეშინდა და მალენკოვთან ან ბერიასთან გამაგზავნა. ბერიას ტელეფონი არ პასუხობდა. მალენკოვს ძლივს დავუკავშირდი. მან მომისმინა და მითხრა, რომ ბერიას მოძებნის და მასთან ერთად ახლავე ჩამოვა აგარაკზე. დაახლოებით ნახევარი საათი გავიდა. ამასობაში პატრონი დივანზე დავაწვინეთ, ერთიანად ცახცახებდა — ალბათ, სციოდა — და ხრიალებდა. ბუტუსოვამ თბილი პლედი დააფარა. ბოლოს და ბოლოს, მალენკოვმა დარეკა: „ბერიას ვერ მივაგენი. ჯერჯერობით არაფერი იღონოთ“. გავიდა კიდევ ნახევარი საათი და ბერია რეკავს: „რაც მოხდა, იმაზე კრინტი არავისთან დაძრათ. ჩვენ მალე ჩამოვალთ.

# ამბლაბუდა ★

***წარმოვიდგინოთ, რომ ესა თუ ის უბრალო მოკვდავი — მუშა, მოსამსახურე, პენსიონერი სერიოზულად გახდა ავად. მას, ვთქვათ, გულის შეტევა აქვს და გრძნობა დაკარგა. რას აკეთებენ ასეთ შემთხვევაში გარშემომყოფნი — ახლობლები, ნათესავები, ოჯახის წევრები? ბუნებრივია, მაშინვე სასწრაფო დახმარების ექიმებს იძახებენ.*** *ანუ საგანგებო ზომებს იღებენ. და ავადმყოფის მდგომარეობის მიხედვით ის ან იქვე მოჰყავთ გრძნობაზე, ან საავადმყოფოში მიაქანებენ, ან... რა გაეწყობა, ზოგჯერ ლეტალური შედეგი გარდაუვალია.*

***თითქოს, როდესაც საქმე უზარმაზარი სახელმწიფოს ხელმძღვანელს ეხება, მყისვე უნდა ამოქმედებულიყო სამედიცინო ჩარევის მთელი მექანიზმი, ფეხზე დამდგარიყვნენ საუკეთესო ექიმები, პროფესორები, აკადემიკოსები, დასახმარებლად მოეხმოთ თანამედროვე მედიცინის ყველა უახლესი მიღწევა.*** *და ასე ხდებოდა თითქმის ყოველთვის, თითქმის ყველა მსხვილ პოლიტიკურ მოღვაწესთან დაკავშირებით. გამონაკლისი, რა უცნაურიც უნდა იყოს, იოსებ სტალინი აღმოჩნდა.* ***მასთან, მეტყველებადაკარგულთან, მაგრამ ჯერ კიდევ გონებაზე მყოფთან, ექიმები არ გამოიძახეს. და ახლა უკვე ძნელი სათქმელია, განიკურნებოდა მისი დამბლა თუ სიკვდილი გარდაუვალი იყო. ჩნდება სხვა შეკითხვაც — ეს მართლა დამბლა იყო თუ მარტის პირველ ღამეს მახლობელ აგარაკზე დეტალურად დაგეგმილი მკვლელობა განხორციელდა? ვეცდებით, ამ კითხვებს ვუპასუხოთ.***

## «ამხანაგ სტალინს სძინავს...»



ერთი მხრივ, ბელადი იმ დროს უკვე მხცოვანი იყო, ქანცის გაცლამდე მუშაობით ბევრი ძალა და ენერგია დაკარგა. მარტო ომი ან დაქცეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად ომის შემდეგ გაწეული ტიტანური შრომა რად ღირდა. გულის შეტევები ხომ ახალგაზრდებსაც არ ზოგავს, მოხუცები რაღა სალაპარაკოა? ბელადის ბუნებრივი სიკვდილის ვერსიის მომხრენი დაჟინებით ამტკიცებენ, რომ მას არათუ წლითიწლობით, არამედ ყოველთვიურად „ეძალებოდა სიბერე". მათი გამოანგარიშების თანახმად, 40-იანი წლების დასასრულს სტალინს შრომისუნარიანობა მკვეთრად დაუქვეითდა. აი, როგორ გამოიყურება მათი სტატისტიკა: 1947 წელს სტალინს კრემლის კაბინეტში 136 სამუშაო დღე ჰქონდა, 1948-ში — 122, 1949-ში — 113, 1950-ში — 73. 1951 წლიდან „სამუშაო დღეების" რაოდენობა კიდევ უფრო მცირდება. თვეების მიხედვით სურათი ასეთია: იანვარი — 10, თებერვალი — 6, მარტი — 7, აპრილი — 8, მაისი — 5, ივნისი — 3, ივლისი — 5, აგვისტო — 4. 10 აგვისტოდან — 1937 წლის შემდეგ პირველი ხანგრძლივი შვებულება, რომელსაც ბელადი თავის სამშობლოში — საქართველოში ატარებს. სხვათაშორის ეს მისი ბოლო შვებულება და მოსკოვიდან უკანასკნელი გასვლა იყო.

ზემოთ მოტანილი ციფრები, ერთი შეხედვით, დამაჯერებელია. შრომისუნარიანობის დაქვეითების ფაქტი თითქოს აშკარაა. მაგრამ ეს ბატონები ციფრებით მანიპულირებისას ან ივიწყებენ, ან შეგნებულად უვლიან გვერდს იმ ფაქტს, რომ სტალინი მხოლოდ კრემლის კაბინეტში როდი მუშაობდა. მეტსაც გეტყვით, ომის შემდეგ მისი სამუშაო ადგილი უფრო და უფრო ინაცვლებდა მახლობელი აგარაკისკენ. კრემლის კაბინეტში ბელადი იშვიათადღა ჩნდებოდა. აგარაკზე კი მუშაობა ისევე ინტენსიურად გრძელდებოდა, როგორც ადრე, ანუ დღეღამეში 18-20 საათი. სტალინი იქვე ხვდებოდა თანამოსაგრეებს, სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების, საწარმოების ხელმძღვანელებს. და სამუშაო წესით წყვეტდა როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტიულ საკითხებს. და განა შვებულებაში ყოფნისას ბელადი ასევე ინტენსიურად არ შრომობდა?

მაშასადამე, **შრომისუნარიანობის დაკარგვა ხრუშჩოვისა და მისი დამქაშების მიერ შეთხზული მორიგი ლეგენდაა,** რომელიც შემდეგ სტალინის სხვა მაძაგებლებმა გაავრცელეს. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებითაც ბურუსია, ბუნებრივია, ყველა ჯურის ანტისტალინისტების წყალობით — მათი მტკიცებით, ბელადი „თვალსა და ხელს შუა ძაბუნდებოდა". მაგრამ სტალინის უახლოესი გარემოცვა — მოლოტოვი, კაგანოვიჩი, სვეტლანა ალილუევა — ამ მტკიცებას უარყოფს. ბოლო უცხოელი, რომელმაც სტალინი მის გარდაცვალებამდე ორიოდე კვირით ადრე ნახა, სსრკ-ში ინდოეთის ელჩი დოქტორი მენონი გახლდათ (სხვათაშორის, პროფესიით ექიმი). მისი თქმით, სტალინი მხნედ გამოიყურებოდა და აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო.

რა თქმა უნდა, **73 წელი ცოტა არ არის, მაგრამ განა ეს ასეთი ღრმა მოხუცებულობაა?**

ერთი კითხვაღა დარჩა — **რატომ არ გამოიძახეს ავადმყოფთან ექიმები?**

პასუხი აშკარაა. უახლოესმა თანამოსაგრეებმა — მალენკოვმა და ბერიამ, რომლებსაც დაცვა დაუკავშირდა, აგარაკზე მათ ჩამოსვლამდე თითის განძრევაც აუკრძალეს. მაგრამ გარბიან წუთები, მიიზლაზნებიან საათები, მალენკოვი და ბერია კი აგარაკზე არ ჩადიან. ხოლო დაცვა საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას და ექიმების გამოძახებას ვერ ბედავს...

რა ხდებოდა იმ ღამეს აგარაკზე?

**კომენდანტის თანაშემწე ლოზგაჩოვი:** მხოლოდ ღამის 3 საათზე (*2 მარტის — რედ.*) გავიგონე მანქანის ხმა. ბერია და მალენკოვი ჩამოვიდნენ. მახსოვს, მალენკოვის ფეხსაცმელი ჭრაჭუნობდა. ამიტომ გაიხადა და იღლიაში ამოიდო. შემოვიდნენ. „რა დაემართა პატრონს?" ის კი ამ დროს წევს და ხროტინებს. უფრო სწორად, ხრიალებს. და უცებ ბერიამ პენსნედან მრისხანე მზერა მტყორცნა: „რა პანიკას ტეხავ? ხომ ხედავ, **ამხანაგ სტალინს სძინავს.** არ შეაწუხო და ჩვენც ტყუილუბრალოდ ნუღარ აგვაფორიაქებ". მალენკოვმაც წაიბურტყუნა, აცალეთ ადამიანს გამოძინებაო. ამ სიტყვებით გაემგზავრნენ.

●

2 მარტის სისხამ დილის შემდგომი მოვლენები კომენდანტის თანაშემწის მეხსიერებაში ასე აღიბეჭდა: ავადმყოფის სარეცელთან კვლავ მარტო დავრჩი. პატრონი ისევ ხრიალებდა. რამე უნდა გვეღონა. მაგრამ ბერიას და მალენკოვის ნება-სურვილის წინააღმდეგ წასვლა არ იქნებოდა — შეიძლება თავი წაგვეგო. ჰოდა, ვეუბნები სტაროსტინს: „უნდა დავრეკოთ, ისევ გამოვიძახოთ. და პოლიტბიუროს ყველა წევრს დაურეკე, დანარჩენებიც ჩამოვიდნენ. თორემ, თვითონაც ხვდები, პატრონს რამე უბედურება რომ შეემთხვას, პასუხს მე და შენ ვაგებთ". სტაროსტინს ეს ჩემზე უკეთ ესმოდა — მაშინვე წავიდა დასარეკად. მაგრამ უბედურება, როგორც ჩანს, უკვე მომხდარი იყო.

●

**ხრუშჩოვი:** დილით აგარაკიდან ბიჭებმა დარეკეს — ჩეკისტებმა. თქვეს, რომ პატრონი მძიმედ გახდა ავად. მაშინვე შევატყობინე ბულგანინს და მანქანა გამოვიძახე. ჩავედით. მე და ბულგანინი შევთანხმდით, რომ სტალინთან კი არა, დაცვასთან შევიდოდით. რისთვის შეგვეწუხებინა ავადმყოფი ადამიანი? მცველებმა გვიამბეს, როგორ მოხდა ყველაფერი. მერე მიმტან მატრიონა ბუტუსოვას გავესაუბრეთ, გაუნათლებელ, მაგრამ პატიოსან და სტალინისთვის თავდადებულ ქალს, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა მასთან. ბუტუსოვამ გვითხრა, რომ სტალინი დივანზე წევს და **თითქოს სძინავს.** მე და ბულგანინმა ჩავთვალეთ, რომ ახლა პატრონთან ჩვენი გამოჩენა უხერხული იყო და შინ დავბრუნდით.

●

**აგარაკის კომენდანტი სტაროსტინი:** ასე გადიოდა ძვირფასი დრო. პატრონი კვდებოდა, დახმარება კი არსაიდან ჩანდა. ბოლოს გავბედე და ჩემი პასუხისმგებლობით მოლოტოვს დავურეკე, თუმცა ის ბოლო ხანებში შერისხულივით იყო. მოლოტოვი დაუყოვნებლივ ჩამოვიდა და პირველი ის იკითხა, ექიმები თუ გამოვიძახეთ. ვერ გავბედე მეთქვა, რომ ამის გაკეთება ბერიამ აგვიკრძალა. მოლოტოვმა მაშინვე სცადა ჯანმრთელობის მინისტრ ტრეტიაკოვთან დაკავშირება, მაგრამ ის ადგილზე არ აღმოჩნდა. მალე მოლოტოვი გაემგზავრა და დაგვიბარა, რომ ექიმებს ჩამოიყვანდა.

●

**ხრუშჩოვი:** ცოტა ხანში ისევ ტელეფონი რეკავს. მალენკოვია. მეუბნება: სტალინის დაცვის ბიჭებმა ისევ დარეკეს, ეტყობა, მისი საქმე მართლაც ვერ არის კარგად. მართალია, მატრიონა პეტროვნამ თქვა, რომ პატრონს მშვიდად სძინავს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს უჩვეულო ძილია. შევთანხმდით, რომ მალენკოვი ბიუროს დანარჩენ წევრებს დაურეკავდა, ვოროშილოვის და კაგანოვიჩის ჩათვლით. გადავწყვიტეთ, ყველანი მახლობელ აგარაკზე შევკრებილიყავით და ექიმებიც გამოგვეძახა.

●

**სერგეი ხრუშჩოვი, ნ. ხრუშჩოვის ვაჟი:** მამა მეორედ როგორ წავიდა, არ გამიგონია, ალბათ, მეძინა. ნაშუადღევს დაბრუნდა. თქვა, რომ სტალინი ავად გახდა და ისევ აგარაკზე უნდა წავიდეს, რადგან პოლიტბიუროს წევრებმა ავადმყოფის სარეცელთან მორიგეობა დააწესეს. ჩემს შეკითხვებზე მკაფიო პასუხებს არ მაძლევდა და ერთი და იგივე ფრაზით მიშორებდა თავიდან: „მკურნალობენ, რაც შესაძლებელია, ყველაფერს აკეთებენ".

●

**ხრუშჩოვი:** სამორიგეოში შევიკრიბეთ, ჩამოვიდნენ კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ექიმები... ცნობილი კარდიოლოგი, პროფესორი ლუკომსკი ვიცანი. მასთან ერთად სხვა მედიკოსებიც იყვნენ, მაგრამ ვინ — აღარ მახსოვს. ოთახში შევედით. სტალინი ტახტზე იწვა. ექიმებს ვუთხარით, თავიანთ საქმეს შესდგომოდნენ და ამხანაგი სტალინის მდგომარეობა გამოეკვლიათ. პირველი ლუკომსკი მიუახლოვდა, ძალიან ფრთხილად (მესმის მისი). ამხანაგი სტალინის ხელს ისე ეხებოდა, თითქოს გავარვარებული რკინა იყო, თან კრთოდა. ამან ბერია მოთმინებიდან გამოიყვანა და უხეშად უთხრა: „თქვენ ექიმი ხართ და ხელი ისე მოჰკიდეთ, როგორც საჭიროა".

●

მაშ ასე, ბოლოს და ბოლოს, თითქმის მთელი დღე-ღამის შემდეგ, სტალინთან ექიმები გამოჩნდნენ. დაიწყო თუ არა ავადმყოფის მკურნალობა? ამ კითხვას მახლობელ აგარაკზე მედიკოსებთან ერთად გამოძახებული **სვეტლანა ალილუევა** უპასუხებს:

ოთახში, სადაც მამა იწვა, მილეთის ხალხი შეკრებილიყო. უცნობი ექიმები, რომლებმაც პირველად ნახეს ავადმყოფი, საშინლად ფაციფუცობდნენ და ერთმანეთს ხელს უშლიდნენ. იქვე მედიცინის აკადემიის საგანგებო სესია მსჯელობდა, რა ეღონათ. გვერდით ოთახში კიდევ რაღაც სამედიცინო საბჭო თათბირობდა. რომელიღაც კვლევითი ინსტიტუტიდან ხელოვნური სუნთქვის დანადგარი ჩამოიტანეს ახალგაზრდა სპეციალისტების თანხლებით. ეს უშველებელი აგრეგატი ბოლომდე უქმად იდგა...

●

გაივლის კიდევ ცოტა ხანი და აგარაკზე ორი ახალგაზრდა ექიმი გამოჩნდება — ვლადიმერ ნეგოვსკი და გალინა ჩესნოკოვა.

**ჩესნოკოვა:** საავადმყოფოდან წამომიყვანეს, სადაც მორიგე ვიყავი. არ ვიცოდი, სად მივყავდი და მეგონა, რომ დამაპატიმრეს. ვეკითხები — სად მივდივართ? არ მპასუხობენ. ქალაქგარეთ რომელიღაც აგარაკზე ჩავედით. ვხედავ — მთავრობის წევრები შეკრებილან. თავად ბერიაც იქ არის. ასე მოულოდნელად აღმოვჩნდი მომაკვდავი სტალინის სარეცელთან. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ჩემი გამოძახება ნეგოვსკის ურჩევია, თვითონ ის კი სტალინის ქალიშვილმა სვეტლანამ გამოაძახებინა, რადგან კარგად იცნობდა.

●

**ნეგოვსკი:** აგარაკზე ავადმყოფ მამასთან სვეტლანა სტალინამ მიმიწვია. მაშინ ორგანიზმის გაცოცხლების ექსპერიმენტულ ლაბორატორიას ვხელმძღვანელობდი. მე და ჩესნოკოვამ რა აღარ ვიღონეთ, მაგრამ ვეღარაფრის გაკეთება შევძელით. პროცესი უკვე შეუქცევადი გახდა...

●

**ჩესნოკოვა:** დახმარება არაფრით შემეძლო. სტალინი კვდებოდა. ის ხომ თითქმის მთელი დღე-ღამე უგონოდ იწვა, ტვინში სისხლი ჩაექცა, მაგრამ მაშინ არავინ მიეშველა. ჩვენ რომ ჩავედით, ის უკვე კვდებოდა და მისი გადარჩენა მხოლოდ სასწაულს შეეძლო...

●

მაშ ასე, ორი ექიმი, რომლებიც მომაკვდავისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას ცდილობენ, მეტისმეტად გვიან მიიწვიეს. დანარჩენები მანამდე, ფაქტობრივად, უმოქმედოდ იყვნენ. ანუ **სტალინს მართლა ინსულტი რომც ჰქონოდა (როგორც შემდეგ ოფიციალურად გამოცხადდა), ფაქტია, რომ მას დროული სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს. ეს კი თავისთავად დანაშაულია და მხოლოდ მკვლელობის კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს.** თუმცა, მოწამვლის პირველი ბრალდება ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა...

●

**სვეტლანა ალილუევა:** ჩემი ძმა ვასილიც 3 მარტს გამოიძახეს მახლობელ აგარაკზე. რამდენიმე საათი იჯდა ხალხით გაჭედილ დიდ ოთახში, სადაც მამა იწვა. მერე პერსონალისთვის განკუთვნილ ოთახებში დიდხანს ხმაურობდა, ექიმებს თათხავდა, გაჰყვიროდა, რომ მამა „მოწამლეს", „კლავენ". თავზარდაცემული ჩანდა, დარწმუნებული იყო, რომ მამას საწამლავი შეაპარეს...

***გაგრძელება იქნება***

# რუსეთის ამერიკა



ალიასკის გაყიდვა. ემანუელ გოტლიბ ლეუტის ნახატის ფრაგმენტი

**რუსულმა ორთავიანმა არწივმა დაიპყრო კავკასია და იალბუზი, მაგრამ რუსებმა სირცხვილი ჭამეს, როცა გაყიდეს ალიასკა და თავიანთი უმაღლესი მწვერვალი, რომელზეც დღეს ამერიკის დროშა ფრიალებს!**

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

**ამერიკაზე“ უარი ეთქვა?** გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ 1867 წელს, როცა რუსთხელმწიფემ ალიასკა და ალეუტის კუნძულები გაასხვისა, შეერთებული შტატები საერთოდ არ იყო ძლიერი სახელმწიფო და საერთაშორისო პოლიტიკაში ვერავითარ ამინდს ვერ ქმნიდა **(ცნობისათვის, ამერიკა საერთაშორისო პოლიტიკასა და ევროპული ომის ქარცეცხლში შემოვიდა პირველი მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპზე, როცა 1917 წლის გაზაფხულზე თავისი ჯარები ოკეანის გადმოღმა გადმოსხა).**

ალიასკის გაყიდვის მთავარ მიზეზად, ალბათ, მაინც 1853-1856 წლების **ყირიმის ომი** უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც რუსეთი დამარცხდა. 1854 წელს ინგლისმა და საფრანგეთმა, რომლებმაც ერთმანეთს მისცეს მხარი, გარემოიცვეს სევასტოპოლი, რითაც რუსებს ძლიერი ალიყური აგემეს. იმპერატორმა **ნიკოლოზ პირველმა** სევასტოპოლის ალყაში მოქცევა ვერ გადაიტანა და მწუხარებისგან გული გაუსკდა... **1855 წლის 8 სექტემბერს მიწასთან გასწორებული სევასტოპოლი დაეცა, რაც რუსეთის იმპერიისთვის დიდი დარტყმა იყო. სამაგიეროდ, ნიჭიერმა და მამაცმა ქართველებმა ყირიმის ომის კავკასიის ფრონტზე ერთმანეთის მიყოლებით უზრუნველყვეს რუსეთის არმიის გამარჯვებები ოსმალეთის იმპერიაზე.** გენერალ **ივანე ანდრონიკაშვილის** მიერ მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებამ ახალციხესთან და გენერალ **ნიკოლოზ მურავიოვის** მიერ 1855 წლის 15 ნოემბერს ყარსის აღებამ თურქები პანიკაში ჩააგდო. საბოლოო ჯამში პარიზში ხელმოწერილი ზავის თანახმად, რუსეთს აეკრძალა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა, დაკარგა ბესარაბია და დუნაის შესართავთან მდებარე მიწები, დაანგრია შავ ზღვაზე მდებარე ყველა ციხე-სიმაგრე, მაგრამ თურქეთის იმპერიაზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით მოახდინა უშუალოდ ყირიმის ფრონტზე განცდილი მარცხის კომპენსირება და, ფაქტობრივად, იმპერიის ერთიანობა შეინარჩუნა.

**ყირიმის ომმა აჩვენა, რომ დიდი ბრიტანეთის ფლოტს რუსული ფლოტი კონკურენციას, ფაქტობრივად, ვერ უწევდა, რაც ლონდონს უქმნიდა იმის ცდუნებას, რომ სევასტოპოლის მსგავსად, რუსეთის იმპერიის სუსტად დაცული სხვა რეგიონებიც ამოეღო მიზანში და მათზე იერიში მიეტანა.** ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო მოწყვლადი ტერიტორია გახლდათ რუსეთის უკიდურესი აღმოსავლეთი მიწა — **ალიასკა, ანუ ე.წ. „რუსული ამერიკა“,** სადაც არაერთი რუსული დასახლება იყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არსებობდა დიდი და რეალური საფრთხე, რომ დიდი ბრიტანეთის ფლოტს ალიასკის ოკუპაცია მოეხდინა. ამ საშიშროებას ამძაფრებდა ბრიტანულ და ფრანგულ პრესაში გახშირებული კრიტიკა იმის შესახებ, რომ უზარმაზარი ფინანსური რესურსების გაფლანგვისა და ათასობით ფრანგი და ბრიტანელი ჯარისკაცის დაღუპვის მიუხედავად, ყირიმის ომით ინგლისმა და საფრანგეთმა, ფაქტობრივად, ვერაფერი მოიგეს, რაც სამარცხვინო და აღმაშფოთებელი იყო.

რუსეთმა, რომელსაც **ე.წ. რუსული ამერიკის** დაცვის რესურსი არ გააჩნდა, გადაწყვიტა, სანამ ინგლისის ფლოტი ალიასკაზე შეიჭრებოდა და ტერიტორიის ოკუპაციას მოახდენდა, დაესწრო და ალიასკის გაყიდვით რაღაც ხეირი მაინც ენახა. სწორედ ამ მიზნით, 1866 წლის დასაწყისში ვაშინგტონში საიდუმლო მისიით სასწრაფოდ მიავლინეს რუსეთის ელჩი **ედუარდ სტეკლი.** მას საქმე ისე უნდა მოეწყო, რომ ალიასკის ყიდვის სურვილი ამერიკის შეერთებულ შტატებს გაეჟღერებინა. სტეკლიმ დავალებას თავი ჩინებულად გაართვა და 1866 წლის 28 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა **ალექსანდრე მეორემ** ხელი მოაწერა ალიასკის გაყიდვის განკარგულებას. **ეს საქმე იმდენად გასაიდუმლებული იყო, რომ რუსეთის იმპერიის მინისტრებმაც კი არაფერი იცოდნენ და ალიასკის გაყიდვიდან რამდენიმე თვის შემდეგ გაზეთებიდან შეიტყვეს მომხდარის შესახებ.**

საბჭოთა ეპოქაში გაჩნდა მითები, თითქოს რუსეთის იმპერატორს ალიასკა და ალეუტის კუნძულები ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არ მიუყიდია და პრეზიდენტ **ენდრიუ ჯონსონს** ეს უზარმაზარი ტერიტორია მხოლოდ 99 წლით გადასცეს მფლობელობაში. ამის გამო შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის კინაღამ დიპლომატიური სკანდალიც ატყდა, მაგრამ 1957 წელს **ნიკიტა ხრუშჩოვმა** საქვეყნოდ განაცხადა, რომ ალიასკის მიმართ, რომელიც შეერთებული შტატების ტერიტორია იყო, საბჭოთა კავშირს არავითარი პრეტენზიები არ გააჩნდა.

უხერხულობისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, 1977 წელს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების შესაბამისმა დიპლომატიურმა სამსახურებმა კიდევ ერთხელ დოკუმენტურად დაადასტურეს, რომ **ალიასკა, რომელიც 1867 წლის 30 მარტს ამერიკამ 7,3 მილიონ დოლარად (დღეს დაახლოებით 157 მილიონი დოლარი) რუსეთის იმპერიისგან იყიდა, სამუდამოდ ამერიკის შემადგენლობაშია და ეს საკითხი არავითარ განხილვასა და რევიზიას არ ექვემდებარება!**

მოკლედ, რუსეთის იმპერიას არ შერცხვა და გაყიდა თავისი უმაღლესი მწვერვალი, რათა კიდევ უფრო დიდი სირცხვილი — ბრიტანეთთან გარდაუვალი მარცხი და ალიასკის ოკუპაცია თავიდან აეცილებინა!

**პუტინს,** რომელსაც ისტორიაში **ანდრანიკ მიგრანიანი და კონსტანტინე ზატულინი** „ამეცადინებენ“, ამ ორიოდე წლის წინათ არ შერცხვა და განაცხადა — სამხრეთ ოსეთი რუსეთს 1774 წელს თავისი ნებით შეუერთდაო!

სხვათაშორის, **მიგრანიანმაც და ზატულინმაც ძალიან კარგად იციან ქართული, გამართულად წერენ, კითხულობენ და მეტყველებენ ქართულად და ჯერ კიდევ 1997 წელს გამოქვეყნებულ „ნაშრომში“ უსირცხვილოდ ამტკიცებენ, რომ „რუსეთმა აუცილებლად უნდა მოახდინოს აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილის ანექსია, რათა ძალით გაჭრას სომხეთთან დამაკავშირებელი დერეფანი!“**

ამ ყველაფრის შემოქმედ **ანდრანიკ მიგრანიანს,** რომელიც რუსეთის დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრის **სერგეი ლავროვის,** ანუ სინამდვილეში **სერგეი კალანტაროვის** თანაკურსელია, არ რცხვენია, ხალხმრავალ შეხვედრებზე ხელები გაასავსაოს და დაიფიცოს, რომ საქართველოს წინააღმდეგ არასოდეს კრინტი არ დაუძრავს!

**დიდ იმპერიებს არასოდეს შერცხვენიათ, ერთმანეთს მცირე ერების ხარჯზე გარიგებოდნენ!** ვიეტნამის, ჩეჩნეთის, საქართველოსა და უკრაინის მიწასთან გასწორების გამო დღემდე არავის რცხვენია!

რუსულმა ორთავიანმა არწივმა დაიპყრო კავკასია და იალბუზი, მაგრამ რუსებმა სირცხვილი ჭამეს, როცა გაყიდეს **ალიასკა** და **თავიანთი უმაღლესი მწვერვალი,** რომელზეც დღეს ამერიკის დროშა ფრიალებს!

**ამერიკელები, როგორც წესი, გამარჯვებებს ყიდულობენ!**

**რუსები ომებში იმარჯვებენ, მაგრამ ისტორია არასოდეს დაივიწყებს იმ ფაქტს, რომ 1867 წლის 30 მარტს მათ ღირსება გაყიდეს!**

*დიტო ჩუბინიძე*




**ეს ფაქტი რუსეთის იმპერიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სამარცხვინო და ტრაგიკული ფურცელია!**

**სირცხვილის პიკი ★**

გენერალისიმუსი
2025 წლის 17 მარტი, №11 (307)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**



# „ევროკავშირი არის პოლიტიკური არარაობა, ჰაერში გამოკიდებული უპერსპექტივო წარმონაქმნი!“



## დემურ გიორხელიძე:

# თუ ასე გაგრძელდა, 7-8 წელიწადში ქართველები ეროვნულ უმცირესობაში აღმოვჩნდებით!

*— ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა უნდა იცოდეს, რა ხდება საქართველოში, ევროპაში და, ზოგადად, მსოფლიოში!* **— აცხადებს ეკონომისტი, ანალიტიკოსი ДЕМУР** **დემურ გიორხელიძე და არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას აფასებს:**

— ხდება ის, რაზეც დიდი ხანია ვსაუბრობ — სამყარო იცვლება! ჩამოყალიბებული საერთაშორისო წესრიგი, სადაც ერთი სახელმწიფო იყო დომინანტი, სრულდება. კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომთან საკმაოდ ახლოსაა.

**— მსგავსი განცხადება ცოტა ხნის წინათ დონალდ ტრამპმაც გააკეთა. თქვენ რის საფუძველზე ამბობთ ამას?**

— ჯერჯერობით იმ წინადადებებში, რომლებიც დასავლეთიდან მშვიდობის დასამყარებლად ისმის, რეალური ნაბიჯები არ ჩანს. ცეცხლის 30-დღიან შეჩერებაზე და ამავდროულად შეიარაღების განახლებაზე საუბარი წარმოუდგენელია.

ევროპა საომრად არის მომართული, თუმცა, კარგად ვიცნობ მათ ეკონომიკას და ყოველგვარი ემოციის გარეშე გეტყვით — **დღეს ევროპას არაფრის თავი არა აქვს. არც სამხედრო ძალა გააჩნია და არც ჯარის გამოყვანა შეუძლია. ამერიკელების გარეშე არც ატომური საფარის გაკეთება შესწევთ.** მათი წყალქვეშა ნავების და გემების დიდი უმრავლესობა უვარგისია სანაოსნო მიზნებისთვის, მითუმეტეს, ომისთვის. უკრაინაში გაწეული სამხედრო დახმარების შემდეგ ნატოს წევრი ქვეყნების საცავები იარაღისგან დაცარიელდა.

**— აბა, რისთვის ირჯებიან?**

— კიდევ ერთხელ, ხაზგასმით ვამბობ მათთვის, ვისაც ჰგონია, რომ საქართველო შიგ ევროპაში უნდა შევიდეს — ევროკავშირი არის პოლიტიკური არარაობა, ჰაერში გამოკიდებული უპერსპექტივო წარმონაქმნი. მისი მარიონეტული ხელისუფლება კლასიკური ევროპული ცივილიზაციის დამსამარებელია, რომელსაც ერთი მიზანი აქვს — როგორმე ნატო და ევროპა რუსეთს დააჯახოს. რა თქმა უნდა, ამერიკელები ამაში მონაწილეობას არ მიიღებენ და ამიტომაც ახდენენ მათგან დისტანცირებას.

დღეს ყველანაირ აზრს კარგავს ევროკავშირისა და ნატოს არსებობა, მითუმეტეს, ტრამპის მმართველობის პირობებში, როდესაც გლობალური სამყარო შეიცვალა და შეერთებულ შტატებს სხვა პრიორიტეტები გაუჩნდა. ურჩევნია, ორ მთავარ თანამოთამაშესთან შეათანხმოს ყველაფერი, ვიდრე უზარმაზარი ხარჯები გაიღოს და ევროპა კისერზე ჰყავდეს ჩამოკიდებული.

შეერთებული შტატების ახლად არჩეული ხელმძღვანელობა, პირველ რიგში, ამერიკის მომავალზე ფიქრობს. იმის გამოსწორებას ცდილობს, რამაც 34 წელია, შტატები დააკნინა.

ტრამპი თავისით არ მოსულა ხელისუფლებაში, მის უკან უძლიერესი ელიტა დგას, რომელიც იმ გლობალურ ელიტებს ეწინააღმდეგება, რომლებსაც შეერთებული შტატები მხოლოდ გავლენისთვის სჭირდებოდათ და რეალურად ამერიკას ანგრევდნენ. ეს არის მულტიმილიარდერებისგან შემდგარი უზარმაზარი პოტენციალის მქონე ელიტა, როტშილდებსა და როკფელერებზე გაცილებით პროგრესული. ამიტომაც ხდება მათი მხრიდან თავდასხმა **დიფ სთეითის** მთავარ საყრდენებზე.



ილონ მასკი და დონალდ ტრამპი

**— ამ დროს სად არის და რას აკეთებს საქართველო?**

— საქართველო, რომელიც 32 წელიწადია, ანგრევს და ანადგურებს საკუთარ სახელმწიფოებრიობას, აქვს მომენტი, სერიოზული ფუნქცია შეიძინოს ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ არენაზე, როგორიც არის სამხრეთ კავკასია. ჩვენ ცხვირწინ გვიდევს უკრაინის მაგალითი, რომელიც გლობალურ დაპირისპირებაში იქნა გამოყენებული და დღეს მისი სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშაა.

სამწუხაროდ, იდეოლოგიურად გახრწნილი ადამიანები, რომლებმაც უზარმაზარი ზიანი მოუტანეს ქართულ სახელმწიფოს, კვლავ სულელური არჩევანის წინაშე აყენებენ ქვეყანას. კარგად დაფინანსებული მეხუთე კოლონა, რომელიც ხელისუფლების წაყრუების წყალობით, დღესაც დათარეშობს საქართველოში, სერიოზულ პრობლემებს უქმნის ქვეყანას. მართლაც არანორმალურია, რომ სამი თვეა, გრძელდება გლობალისტური ელიტის მიერ მართული პროცესები. და თუმცა, წამხდარი ოპოზიციის პირობებში ადვილია მართვის სადავეების შენარჩუნება, მაგრამ ეს ყველაფერი დამღუპველია ქვეყნისათვის. თუ ასე გაგრძელდა, 7-8 წელიწადში ქართველები ეროვნულ უმცირესობაში აღმოვჩნდებით და დიდ კრიზისამდე მივალთ!

**— გამოსავალი რაში მდგომარეობს?**

— ქართველთა დიდ გაერთიანებაში, რომელიც 30 მარტს შედგება. ეს არ იქნება საჯარო რეესტრში გატარებული პარტიული ორგანიზაცია და არც არავის მოვუწოდებთ მასში გაერთიანებისკენ. უბრალოდ, ვისთვისაც ძვირფასია ეს ქვეყანა და მისი მომავალი, თავისით მოდიან ჩვენთან და მომავალშიც მოვლენ.

გაერთიანებული ქართველები ხელისუფლებას ულტიმატუმის სახით დაუყენებენ საკითხებს — რა არის გასაკეთებელი. თუ ხელისუფლება გაიგებს და სათანადო ნაბიჯებს გადადგმას, ძალიან კარგი, თუ არადა, ყოველგვარი მიტინგებისა და ემოციების გარეშე ჩვენ თვითონ გავაკეთებთ იმას, რაც გასაკეთებელია!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**თემურ გოცაძე**
*პროფესორი*



**ლექტორები,** ნაცვლად იმისა, რომ სტუდენტებს მიტინგებში მონაწილეობას კი არა, უნივერსიტეტის კედლებში დაბრუნებასა და ცოდნის მიღებისკენ მოუწოდებდნენ, **მათთან ერთად მონაწილეობენ მიტინგებში; მშობლები,** რომლებიც თავიანთ შვილებს სკოლასა და უნივერსიტეტში სიარულისა და ცოდნის მიღებისკენ უნდა მოუწოდებდნენ, **მათთან ერთად მონაწილეობენ მიტინგებში; ბებია-ბაბუებიც** გამოჩნდნენ **სამიტინგო არენაზე,** რომლებიც ცოტა დარცხვენილნი, მაგრამ მაინც რიხიანად აცხადებენ: **„ხელისუფლება, არჩევნებთან ერთად, ევროპასაც გვართმევსო“.** მალე, ალბათ, თავიანთ **მიცვალებულ წინაპრებსაც** წამოაყენებენ საფლავებიდან, მათ მსვლელობას **„მიცვალებულთა მარში“** დაარქმევენ და **მათთან ერთად გააპროტესტებენ** „მოპარულ ხმებს“ და „გაყალბებულ არჩევნებს“.

„საერთო გაზეთი“

**გიგა მაქარაშვილი**
*სამოქალაქო აქტივისტი*



ვერ გამოიცნობ **ბიძინა ივანიშვილმა, ამ ახალ თაობას ვერ აუღო ალღო,** ვერ იგებს, **როგორ შეიძლება ადამიანი ვერ იყიდოს, ან ვერ მოისყიდოს.** ის ფიქრობს, რომ **ყველაფერი ფულზე იყიდება,** მაგრამ ასე არ არის.

„ახალი თაობა“

**ირაკლი კუპრაძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წევრი*



**ახალი საპარლამენტო არჩევნები,** რომელიც ამ ქვეყანაში დააბრუნებს დემოკრატიულ მმართველობას და აღადგენს სამართალს — **მხოლოდ და მხოლოდ ესაა გამოსავალი.**

„რეზონანსი“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



**ადგილობრივ არჩევნებში** გამოჩნდება თეთრი და შავი, **ოპოზიცია მონაწილეობას თუ არ მიიღებს, ეს იქნება მათი მარცხი.**

„რეზონანსი“

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-53, 2025 წლის №1-2, 3-11*



*უფლებადამცველ* ***ლაზარე ჯორბენაძის*** ***განცხადებით, დადგა დრო, სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისთვის გასამართლდეს, რადგან მაშინ, როცა საერთაშორისო ომის დანაშაული ჩაიდინა, ფარულ დასს იგი ისეთ ზენიტში ჰყავდა აყვანილი, რომ ამ ბრალდების წაყენება ვერავინ გაბედა:***

# ლაზარე ჯორბენაძე: კონდოლიზა რაისი, ჰილარი კლინტონი და ჯეიმს აპატურაი, სააკაშვილთან ერთად, 2008 წლის აგვისტოს ომის დამნაშავეები არიან!

— ამერიკის სახელმწიფო მდივანმა **მარკო რუბიომ** ამ რამდენიმე დღის წინათ ოფიციალურად განაცხადა, რომ უკრაინაში მიმდინარე ომი სინამდვილეში არის ომი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის, რომელიც **ფარულმა დასმა** მოამზადა და გააჩაღა. ეს ომი მიზნად ისახავს არამარტო რუსეთისა და ევროპის დასუსტებას, არამედ ამერიკის დაუძლურებას და ამ ყველაფრის ხარჯზე იმ ბნელი ძალების გავლენათა გაძლიერებას, რომლებიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებს, ბანკებს, ოქროს მარაგებს, ნავთობსა და, ზოგადად, ენერგომატარებლებს აკონტროლებენ! ამ კონტექსტში 2008 წელს საქართველოში დაწყებული ომი იყო ერთგვარი ტესტი და საცდელი ნაბიჯი, თუ როგორ მოიქცეოდა კრიტიკულ სიტუაციაში რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ელიტა და სინამდვილეში რაზე იყო წამსვლელი **პუტინი.**

**— თქვენ ამბობთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომით ე.წ. დიფ სთეიითმა, ანუ ფარულმა დასმა ჩვენზე ცდა ჩაატარა?**

— დიახ, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს **ფარულმა დასმა** ჩვენ გამოგვიყენა, როგორც საცდელი არსება და შეამოწმა პუტინის თავზეხელაღებულობის ხარისხი. გარდა ამისა, ამ ომით **ფარულმა დასმა** რუსეთი წარმოაჩინა, როგორც აგრესორი ქვეყანა. **ფარული დასისთვის** საქართველო ქვეყანა არასოდეს ყოფილა და ჩვენ მოგვიხსენიებდნენ, როგორც „რეგიონს“, ანუ ე.წ. „პრახადნოი დვორს“, საიდანაც რუსეთისთვის მხოლოდ პრობლემები უნდა შეექმნათ. ჩვენ მათ არც ერად ვჭირდებოდით და არც — სახელმწიფოდ... მართალია, **პრეზიდენტ ტრამპის** გამარჯვებით ამერიკაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ **ფარული დასი** სადმე გაქრა. სინამდვილეში იგი გახლავთ ობობას ქსელი, დიდი რვაფეხა, რომელსაც თავისი საცეცები ყველგან, ყველა სფეროში აქვს და ანადგურებს ყველაფერს, რაც მსოფლიოში მისი ნების წინააღმდეგ ხდება!

ისე ნუ გავიგებთ, თითქოს **ფარული დასი** მხოლოდ რუსეთს ებრძვის. რუსეთის მიმართ მას თავისი კონკრეტული მიზნები აქვს და ციმბირის სიმდიდრის ხელში ჩაგდება სურს, რომლის პოტენციალიც ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მეორე მხრივ, **პრეზიდენტ ტრამპის** მიზნებიც მომხმარებლურია — იგი საქვეყნოდ აცხადებს, რომ უკრაინაში მშვიდობა დამყარდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეერთებულ შტატებს წვდომა ექნება უკრაინის იშვიათ მინერალებზე. **ეს სახელმწიფოს ძარცვის ყველაზე ამაზრზენი ფორმაა!** უბედურება ის არის, რომ უკრაინაში გაჭიანურებული ომის ფონზე ეს ყველაფერი მშვიდობის სახელით იგეგმება...

**— მაინც როგორ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი?**

— დავიწყოთ იმით, რომ სააკაშვილმა 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალში ომი უცბად დაიწყო. ეს გადაწყვეტილება მან იმდენად ექსცენტრულად მიიღო, რომ მაშინდელი თავდაცვის მინისტრი, ნარკომანი და ყაჩაღი **კეზერაშვილი** საქმის კურსში არ გახლდათ და კანარის კუნძულებზე ბრძანდებოდა „საგულაოდ“... 2008 წლის 8 აგვისტოს კეზერაშვილი კანარის კუნძულებიდან თბილისში სპეცთვითმფრინავით რომ ჩამოაფრინეს და აეროპორტიდან პირდაპირ მიშასთან მივიდა, საპრეზიდენტო სასახლეში სააკაშვილმა კეზერაშვილი წიხლებით სცემა — სად ეგდეო?! ამ ინციდენტის დროს სააკაშვილი „კაიფში“ იყო და **კეზერაშვილი** მოსაკლავად გაიმეტა. უახლოესი გარემოცვის წევრებმა იმარჯვეს და ხელიდან გამოგლიჯეს, თორემ ეს ავადმყოფი ისე იყო ჭკუიდან გადასული, კეზერაშვილს ნამდვილად მოკლავდა! საერთოდ, **სააკაშვილი,** როცა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო, დაუნდობელი ხდებოდა და რაც ხელში მოხვდებოდა, ყველას ყველაფერს ისროდა. **ზურაბ ჟვანია** სწორედ ამას შეეწირა...

**— საიდან ეს ინფორმაცია?**

— 2008 წლის აგვისტოს ომამდე, ჩემი მაშინდელი სტატუსიდან გამომდინარე, ნაცმოძრაობის არაერთი მაღალი თანამდებობის პირი, განსაკუთრებით საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, ჩემი ახლო მეგობრები იყვნენ. არც ის ფაქტია დასამალი, რომ ნაცმოძრაობის დროს, თითოეული საკანონმდებლო ინიციატივის უკან, ფაქტობრივად, ჩემი პატივცემული ძმა, **ბატონი ომარ ჯორბენაძე** იდგა. მართალია, ის კანონები პარლამენტში ნაცმოძრაობის სახელით შედიოდა, მაგრამ კანონებს იგი წერდა. გარდა ამისა, პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში ყოველკვირა მიბარებდნენ და გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე რჩევებს ვიძლეოდი. აქედან გამომდინარე, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩემს ხელში ბევრი ინფორმაცია იყრიდა თავს. 2008 წლის აგვისტოს ომის სამზადისმა და იმ საშინელმა ბაკქანალიამ, რაც იმ ომს ხელისუფლებაში მოჰყვა, ფაქტობრივად, ჩემ თვალწინ ჩაიარა. არაერთხელ მაქვს თქვენთვის ნათქვამი, რომ **2008 წლის მაისში, აგვისტოს ომის დაწყებამდე სამი თვით ადრე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 15 ათასი ერთეული საველე ჩასასვენებელი იყიდა,** რომელსაც ომში დაღუპული ჯარისკაცების დასამარხად იყენებენ. ფაქტია, რომ სააკაშვილს ომი დაგეგმილი ჰქონდა, მაგრამ ელოდებოდა **ფარული დასის** ბრძანებას...

**— მაინც რას ელოდებოდნენ?**

— ომის დაწყების შესახებ ამერიკიდან ბრძანება უნდა გაცემულიყო მაშინ, როცა ეს **ფარული დასისთვის** ყველაზე უფრო მომგებიანი იქნებოდა. კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომით უნდა ეხეირა **მაკკეინს,** რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრიდა; ამ ომით რუსეთი უნდა გამოცხადებულიყო აგრესორად და მესამე — ამერიკას მსოფლიოს წინაშე კიდევ ერთხელ გაემყარებინა თავისი ძლევამოსილება. ამერიკელი მაღალჩინოსნები — **კონდოლიზა რაისი, ჰილარი კლინტონი და ჯეიმს აპატურაი,** სააკაშვილთან ერთად, 2008 წლის აგვისტოს ომის დამნაშავეები არიან! აგვისტოს ომის დაწყებამდე ორი კვირით ადრე **აპატურაი** საქართველოში იყო ჩამოსული და **სააკაშვილს** შეხვდა. ომამდე ცოტა ხნით ადრე **სააკაშვილი** ასევე შეხვდა ევროპაში ჩამოსულ **ჰილარი კლინტონსა და კონდოლიზა რაისს.** სააკაშვილს ამერიკელები არწმუნებდნენ, რომ, თუ ცხინვალში ომს დაიწყებდა, რუსეთი ამაში არ ჩაერეოდა!





*კონდოლიზა რაისი და მიხეილ სააკაშვილი*



## „სააკაშვილი, როცა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო, დაუნდობელი ხდებოდა და რაც ხელში მოხვდებოდა, ყველას ყველაფერს ესროდა. ჟვანია სწორედ ამას შეეწირა!“

**— ამას რის საფუძველზე აცხადებდნენ?**

— ჯერ იმაზე გიპასუხებთ, **სააკაშვილს** რატომ უნდოდა ომი! 2008 წლის აგვისტოს ომით იგი მილიარდებს ელოდებოდა, რადგან ამერიკელები ომისგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად ნაცხროვას ფულებს ჰპირდებოდნენ. გარდა ამისა, ამ ომით **სააკაშვილი** რუსეთის თვალში გაზრდიდა **თემურ ალასანიას,** როგორც კრემლის მორჩილი ვირთხის სტატუსს და შექმნიდა წინაპირობას, რათა რუსეთს ეცნო აფხაზეთისა და ცხინვალის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამისათვის **სააკაშვილი** საფუძვლიანად ემზადებოდა... 2007 წელს მან აღადგინა ე.წ. **„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“,** რომელიც **ზვიად გამსახურდიას** დროს გაუქმდა. გარდა ამისა, სააკაშვილმა კოდორის ხეობას უწოდა **„ზემო აფხაზეთი“** და ყველაზე მნიშვნელოვანი — ქსნის ხეობა, ანუ ახალგორის რაიონი, მიუერთა ე.წ. **„სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს“...** ამ უკანასკნელს თავისი მიზეზი ჰქონდა. საქმე ის გახლავთ, რომ ახალგორის რაიონის ჩაბარებით და დამატებით ათასობით ქართველი დევნილის გაჩენით სააკაშვილი და მისი ბანდა ჩაიჯიბავდნენ ფულს, რაც მოხდა კიდეც... რაც შეეხება ომის დაწყებას, სააკაშვილს ომის დაწყება 2008 წლის 5 აგვისტოს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ **ფარულმა დასმა** ურჩია, ომი 7 აგვისტოს ღამით დაეწყო, რადგან 8 აგვისტოს ჩინეთში ოლიმპიადა იხსნებოდა, რომელსაც **ვლადიმერ პუტინიც** დაესწრებოდა!

**ფარულ დასსა და სააკაშვილს** იმედი ჰქონდათ, რომ პეკინის ოლიმპიადაზე მყოფი პუტინი ცხინვალს ფეხებზე დაიკიდებდა და საქართველოს წინააღმდეგ არ იომებდა. **ფარული დასის** გეგმით, სააკაშვილს უნდა მოესწრო როკის გვირაბის დაკეტვა... ამას უნდა მოჰყოლოდა ფოთის აკვატორიაში სამი დიდი ამერიკული სამხედრო ხომალდის შემოსვლა, რომელიც მთლიანად ჩაკეტავდა საქართველოს საჰაერო სივრცეს და რუსეთის არცერთ თვითმფრინავს აქ არ შემოუშვებდა. 2008 წლის 6 აგვისტოს საღამოს პარლამენტში შეიკრიბა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“, რათა საქართველოს პარლამენტს ქვეყნის უმაღლესი სარდლისთვის ომის წარმოების უფლება მიეცა. შეხვედრას ესწრებოდნენ: **გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, პეტრე ცისკარიშვილი, ნუგზარ წიკლაური...** მოკლედ, მთელი სამგლეთი იქ იყო... სხდომა ტარდებოდა პატარა დარბაზში. მეორე დღეს, 2008 წლის 7 აგვისტოს, უკვე პარლამენტის სხდომა უნდა გამართულიყო და სააკაშვილისთვის ომის დაწყებაში დაეჭირათ მხარი...

**— მაინც რაზე მსჯელობდნენ ამ შეკრებაზე?**

— მსჯელობდნენ იმაზე, რამდენად შესაძლებელი იყო, რომ მოსალოდნელ ომში რუსეთი არ ჩარეულიყო. ერთ ჩემს მეგობარს, რომელიც იმ სხდომას ესწრებოდა და ნაცმოძრაობაში ძალიან მაღალი თანამდებობის პირი იყო, ვუთხარი — სულელები ხართ, ომი არ დაიწყოთ, თორემ რუსეთი დაგვადუღებს-მეთქი! იმ კაცმა, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის და, ფაქტობრივად, არაფერში ერეოდა, რადგან ჭკვიანია, ასეთი პასუხი გამცა — **მეც ვიცი, რომ დავიღუპებით, მაგრამ სააკაშვილთან ლაპარაკს აზრი არა აქვს, ხომ იცი, როგორი თავისნათქვამა გიჟია, ვინ გაუბედავს, მხარი არ დაუჭიროსო!** ნაცები ამის თქმას პირდაპირ ვერ ბედავდნენ, მაგრამ ზურგს უკან სააკაშვილს მართლაც გიჟს ეძახდნენ... ფაქ-



„2008 წლის 8 აგვისტოს კეზერაშვილი კანარის კუნძულებიდან თბილისში სპეც-თვითმფრინავით რომ ჩამოაფრინეს და აეროპორტიდან პირდაპირ მიშასთან მივიდა, საპრეზიდენტო სასახლეში სააკაშვილმა კეზერაშვილი წიხლებით სცემა — სად ეგდეო?!“



„თუ ტრამპი დიფ სთეითს ეთამაშება, ამას ამერიკელი ხალხი არ აპატიებს!“

## მერაბ შათირიშვილი:

# სააკაშვილი სწორედ აგვისტოს ომის გამო უნდა გასამართლდეს!

## „2008 წლის აგვისტოს ომით, რომელიც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ გააჩაღეს, საქართველომ რამდენიმე დღეში დაკარგა 12 600 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია!“

***მწერალ მერაბ შათირიშვილის განცხადებით, ქმარი ცოლს შეურაცხყოფას რომ მიაყენებს, იჭერენ, ხოლო სააკაშვილმა ამდენი ტერიტორიები დაკარგა და ამის გამო დღემდე გასამართლებულიც კი არ არის:***

— თავიდანვე უნდა მოგახსენოთ, რომ არცერთი ქართველის ციხეში გამომწყვდევას არ მივესალმები, მაგრამ სააკაშვილი არის სამშობლოს მოღალატე და სამუდამო პატიმრობას იმსახურებს! სააკაშვილი სწორედ აგვისტოს ომის გამო უნდა გასამართლდეს! და, საერთოდ, ხელისუფლება, რომელიც ტერიტორიებს დაკარგავს, ყველა შემთხვევაში უნდა დაისაჯოს!

ჰიტლერმა ომი რომ წააგო, იმიტომაც გასამართლდა, თორემ რომ გაემარჯვა, სხვებს გაასამართლებდა. სააკაშვილმა გაუგონარი რამ ჩაიდინა — წაგებული ომი მოგებულად გამოაცხადა და ხალხი აზეიმა, არადა, საქართველომ, აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ სახით, რამდენიმე დღეში დაკარგა **12 600 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია.** ამდენი მიწა საქართველოს ასე უმცირეს დროში არასოდეს დაუკარგავს. 2007 წელს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ აღდგენით, რომელსაც ახალგორის რაიონიც მიუერთა, **სააკაშვილმა,** ფაქტობრივად, საფუძველი შეუმზადა 2008 წლის აგვისტოს კატასტროფას! 2008 წლის აგვისტოში ჩადენილი საშინელი დანაშაულის გამო არამარტო **სააკაშვილი,** არამედ მთელი მისი მთავრობა პასუხისგებაში უნდა მიეცეს!

**— ფაქტია, რომ შევარდნაძისთვის აფხაზეთის ტრაგედიის გამო არავის არაფერი მოუკითხავს! სწორედ ამან ხომ არ განაპირობა ის ფაქტი, რომ 2008 წლის აგვისტოში ჩადენილი სამხედრო ავანტიურისთვის სააკაშვილი დღემდე არავის გაუსამართლებია?**

— ქართველმა საზოგადოებამ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როცა **შევარდნაძეს** აფხაზეთში ჩადენილი ღალატი აპატია! უფრო მეტიც, მას შერჩა ის საშინელი დანაშაულიც, რაც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მომზადებას უკავშირდება. ეროვნული ხელისუფლების დამხობა და პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** მკვლელობა პირდაპირ დაკავშირებულია შევარდნაძის სახელთან და **აფხაზეთში ჩადენილი ღალატის გამო რომ დაგვესაჯა, სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოს ავანტიურის მოწყობას ვერ გაბედავდა!**

დაუსჯელობის სინდრომის პირდაპირი შედეგი იყო ე.წ. ვარდების რევოლუცია, როცა ეროვნული ხელისუფლების დამხობის გამო არავინ დაისაჯა. ვიღაცებმა ჩათვალეს, რომ, რაკი ხელისუფლება ერთხელ ამ გზით შეიცვალა, ახლაც ასე უნდა მომხდარიყო...

**— იმედი გაქვთ, რომ ის საპარლამენტო კომისია, რომელმაც 2003-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულები უნდა გამოიძიოს, 2008 წლის აგვისტოს ომსაც შეაფასებს?**

— მინდა, მჯეროდეს, რომ საპარლამენტო კომისია ხელისუფლებას ტყუილად არ შეუქმნია და საქმე ბოლომდე მივა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი ისეა შემართული, ტყუილის თქმას არავის აპატიებს! ამდენი ადამიანი გააუბედურეს, დევნილებს გეტოები აუშენეს, ახალგორის ჩაბარების გამო მილიარდები აიღეს და კაციშვილს პასუხი არ უგია... ამ ყველაფრის გამო კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს!

**— ფაქტია, რომ ე.წ. ტრამპის ეფექტი საქართველოსთვის ჯერჯერობით აგვიანებს და ის უსამართლო სანქციები, რომელიც ბაიდენის ადმინისტრაციამ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების კონკრეტული წევრების წინააღმდეგ დააწესა, ჯერ კიდევ ძალაშია!**

— თუ გვინდა, რომ **ტრამპის ეფექტმა** საქართველომდეც მოაღწიოს, ამ ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ბაიდენის ადმინისტრაციის კუდებს ჩვენს ქვეყანაში! ეს ტრამპის მხარდაჭერაც იქნება და ჩვენი ქვეყნის ხსნაც...

ის აგენტურა, რომელიც ბაიდენის ადმინისტრაციამ საქართველოში დატოვა, ჯერჯერობით საქართველოს საფუძვლებს არყევს. „ქართულმა ოცნებამ“ სწრაფად უნდა იმოქმედოს და მოამზადოს მძლავრი საკანონმდებლო ბაზა, რათა ეს ჩანერგილები გაანეიტრალოს!

**— კი მაგრამ, არ შეიძლება დონალდ ტრამპმა საქართველოზე სიმართლე თქვას და ქვეყნის მხარდასაჭერად რაღაც განცხადება მაინც გააკეთოს? დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგად იცის, ვინ გეგმავდა საქართველოში გადატრიალებას და ვინ აჯღავლებს ყოველ საღამოს სამას კაცს რუსთაველზე!**

— ცხადია, ამერიკის სპეცსამსახურებმა და, მათ შორის, პრეზიდენტმაც საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ ყველაფერი ძალიან კარგად იციან, მაგრამ მსგავსი განცხადება რომ გაჟღერდეს, ამისთვის საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იმუშაოს! **თუ საქართველოს ხელისუფლება არ გააქტიურდა, ტრამპი ჩვენი ქვეყნის მხარდასაჭერ განცხადებებს არ გააკეთებს!** დარწმუნებული ვარ, ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში დიდი და სასიამოვნო სიურპრიზები გველოდება.ვერ დავიჯერებ, რომ ის ახალგაზრდები, რომლებიც რუსთაველზე ჯღავიან, იგინებიან და ბილწსიტყვაობენ, ჩვენი მომავალია!

**— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ტრამპი დიფ სთეითს მართლა უპირისპირდება და მათ შორის ნამდვილი ომია?**

— დარწმუნებული ვარ, ტრამპი **ფარულ დასს** ნამდვილად ებრძვის! თუ **დონალდ ტრამპი დიფ სთეითს** ეთამაშება, ამას ამერიკელი ხალხი არ აპატიებს!

***ესაუბრა***
***დიტო ჩუბინიძე***

ტობრივად, 2008 წლის 6 აგვისტოს ფრაქციის სხდომზე გადაწყდა, რომ **სააკაშვილი** 7 აგვისტოს ცხინვალში ომს იწყებდა. 2008 წლის 7 აგვისტოს ღამეს მოხდა საშინელი შეცდომა, ან მიზანმიმართულად ჩადენილ იქნა დანაშაული...

**— რას გულისხმობთ?**

— მოგეხსენებათ, ცხინვალში რუსი „სამშვიდობოები“ გაეროს მანდატით იმყოფებოდნენ, რაზეც შევარდნაძეს 1992 წლის 24 ივნისს კიტოვანთან ერთად დაგომისში ჰქონდა ხელი მოწერილი. 2008 წლის 7 აგვისტოს, 20:00 საათზე, მიხეილ სააკაშვილმა ჩვენს შეიარაღებულ ძალებს უბრძანა, რომ დაეწყოთ ცხინვალის მასირებული დაბომბვა. დაახლოებით 21:30 საათი იყო, რომ ცხინვალის მასირებული დაბომბვა დაიწყო... 2008 წლის 8 აგვისტოს, დაახლოებით 01:00 საათზე, ჩვენი ჯარის დიდი ნაწილი უკვე ცხინვალის მისადგომებთან იყო. **სააკაშვილმა** გაეროს მანდატით, ცხინვალში მყოფ რუს „მშვიდობისმყოფელებს“ ცეცხლი გაუხსნა, რაც სამხედრო დანაშაულია. გასაგებია, რომ ისინი სინამდვილეში „მშვიდობისმყოფელები“ კი არა, რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ, სანამ მათთან კონფლიქტში შევიდოდა, მანამდე **სააკაშვილს** მათთვის „მშვიდობისმყოფელების“ სტატუსი უნდა გაეუქმებინა, რაც არ გააკეთა და ქვეყანა უდიდესი დარტყმის ქვეშ დააყენა. აი, ამის გამო **სააკაშვილი** სამუდამო პატიმრობას იმსახურებს! ყველაზე ამაზრზენი ის იყო, ჩვენი ჯარი ცხინვალში რომ შევარდა, ფაქტობრივად, ზურგი არ არსებობდა და სამხედრო ბრძანებებს სამოქალაქო პირები იძლეოდნენ!

**— მაგალითად, ვინ?**

— მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომში სამხედრო ბრძანებებს იძლეოდნენ ისეთი არაპროფესიონალი სულელები, როგორებიც არიან: **გიგა ბოკერია, გიგი თარგამაძე, გიგი უგულავა, ბათუ ქუთელია** და სხვები... 2008 წლის 8 აგვისტოს **გიგი უგულავამ** თბილისში შეაგროვა 15 ერთეული ყვითელი ავტობუსი, ჩასვა შიგ ხალხი და ცხინვალში დაუპირა გაგზავნა. უფრო მეტიც, ერთ-ერთ სატვირთო მანქანაზე სკამები და ტრიბუნაც იყო ხუთჯვრიან დროშებთან ერთად. ამ სულელებისა და მოღალატეების გეგმით, 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალში სააკაშვილი უნდა ჩასულიყო და გამარჯვების მიტინგი ჩაეტარებინა! ამიტომაც განაცხადა წინა დღეს — ცხინვალში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა დავიწყეთო.

**— გამოდის, ამ ყველაფრით სააკაშვილის ბიძამ თემურ ალასანიამ შეასრულა რუსეთის დაზვერვის დავალება და რუსეთს მისცა საშუალება, ეღიარებინა ცხინვალისა და აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“!**

— სხვათაშორის, 2008 წლის აგვისტოს ომზე რუსეთის უშიშროების გენერლის **თემურ ალასანიას** გამოკითხვა დღემდე აზრად არავის მოსვლია. არადა, პროკურორ **ჰაიდი ტალიავინის** დასკვნაში, ფაქტობრივად, წერია, რომ სააკაშვილმა საერთაშორისო ომის დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მაშინ **ფარულ დასს** სააკაშვილი ისეთ ზენიტში ჰყავდა აყვანილი, მისთვის ამ ბრალდების წაყენება ვერავინ გაბედა. **ახლა დადგა დრო, ამ ყველაფრით გამოძიება დაინტერესდეს, რათა საქართველოში სხვა სულელებსაც არ გაუჩნდეთ ასეთი პროვოკაციისა და საშინელი ღალატის ჩადენის სურვილი.** აშკარაა, რომ **ფარულ დასთან** და მის აგენტურასთან ბრძოლა მარტივი არ იქნება! თუ პრეზიდენტმა ტრამპმა მთავარი კრაზანების ბუდე ამერიკაში დაამარცხა, მათ საშიშროება ემუქრებათ ევროპაშიც. ეს საშიშროება **ფარულმა დასმა** ევროპაში უკვე იგრძნო. ამიტომაც უტევენ გაალმასებით საქართველოს... სავარაუდოდ, ეს შემოტევები კიდევ უფრო გაძლიერდება!

***ესაუბრა***
***დიტო ჩუბინიძე***

## „შევარდნაძე აფხაზეთში ჩადენილი ღალატის გამო რომ დაგვესაჯა, სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოს ავანტიურის მოწყობას ვერ გაბედავდა!“

# ლეგენდარული ალპინისტების



დასაწყისი იხ. „ა-დ". 2025 წლის №3-4, 6-8, 10-11



ლევან გოთუა და ალექსანდრა ჯაფარიძე

## ივანე ჯაფარიძე:

# დღესაც აღმაფრთოვანებს ლევან გოთუას სიტყვები – «ღმერთი ჩემო, რა ამოუწურავი სიკეთეა საქართველო!»




***ქართული ალპინიზმის ისტორიის შესახებ თხრობას განაგრძობს ლეგენდარულ მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემკვიდრე ივანე ჯაფარიძე, რომელიც იხსენებს დიდ ქართველ მწერალსა და ალპინისტს ლევან გოთუას. გასულ კვირას მას დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდა:***

— ახლაც თვალწინ მიდგას გოლიათური აღნაგობის, ქარში ლომის ფაფარივით აწეწილი თმით, თვალებში სევდა-ნაღველჩაგუბებული, სათნო და კეთილღიმილიანი **ლევან გოთუა.** მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების მესამედი გადასახლებებსა და შორეული ციმბირის გულაგებში გაატარა, ქართული ალპინიზმის ისტორიაში თავისი გამოკვეთილი სიტყვა თქვა. მრავალი მოთხრობა, ნარკვევი, ესსე თუ ჩანახატი მიუძღვნა მეგობარ მთამსვლელებს, წლების განმავლობაში იყო საქართველოს ალპური კლუბის სწავლული მდივანი. მართლაც დაუვიწყარია ამ ბუმბერაზი კაცის სიტყვები: **„ღმერთო ჩემო, რა ამოუწურავი სიკეთეა საქართველო!"**

**— როდის დაინტერესდა მთამსვლელობით?**

— ბევრისთვის დღესაც უცნობია დიდი მწერლის მიღწევები ამ სფეროში. **ლევან გოთუას** ფიქრის საგანი ყოველთვის მამული იყო და ამიტომაც ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ყველა კუთხე. ენერგიით ალსავსეს, მოგზაურობა შემოქმედებად მიაჩნდა და თვლიდა, რომ **„ადამიანი, რომელიც არ იცნობს თავის მშობლიურ მიწა-წყალს, არც არის ღირსი ამ მიწა-წყლისა".**

**ლევან გოთუა** შესანიშნავი მთამსვლელი იყო. თავის მიღწევებს იგი ყოველთვის უკავშირებდა ქართული ალპინიზმის აღიარებული ლიდერის — **ალიოშა ჯაფარიძის** სახელს, ხოლო ალპინისტური მოღვაწეობის დასაწყისად 1937 წელს მიიჩნევდა. იმ ავადსახსენებელ დროს, როცა ხალხს საკუთარი ლანდისაც კი ეშინოდა, ხოლო **ლევან გოთუას** უკვე საკმაო ხანი ჰქონდა გატარებული გადასახლებებსა და ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებში, მისთვის საქართველოს მთა-ბარში სიარული და მწვერვალებისაკენ ლტოლვა ერთგვარი პროტესტი იყო არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. იგი ვერ ეგუებოდა ქალაქში გამეფებულ შურს, გაუტანლობას, ბეზღობას, ღალატს, შიშს, სულმოკლეობას და კავკასიონის მწვერვალებს მიაშურებდა ხოლმე, რადგან მხოლოდ აქ აღიქვამდა სრულად პირველყოფილ მშვენიერებას და ჭეშმარიტი მეგობრობის განცდას. აკი, წერდა კიდეც:

*„მანამდე, მე, ერთი გზაგაუკითხავი, მარტოხელა მოხეტიალე მოგზაური ვიყავი. ხევში მოგზაურობისას, **ალიოშა ჯაფარიძის** სახელოვან ხმას ავყევი და მეტეოსადგურში ავედი. ნამდვილი მთამსვლელობა, ყველა წესებითა და სიძნელეებით ხდეს ხეობაში, შავანაზე ვნახე და აღვწერე კიდევაც. ასე დაიწყო ჩემი და ალიოშას დამეგობრება... ჩვენში მთამსვლელობა მარტო მთაზე მსვლელობა არასოდეს ყოფილა, იგი ჩვენი ეროვნული ყოფით, ისტორიითა და გეოგრაფიით ნაკარნახევი ვაჟკაცური მოღვაწეობა იყო და არის! ალიოშას მეშვეობით ჩემს ანგარიშზეც მომრავლდა მწვერვალები, გადასავლები, მიუვალი გამოქვაბულები. მე თავის დროზევე ვეცადე, ეს დაუვიწყარი გზები და დღეები კალმითა და წერაყინით აღმებეჭდა ჩემს ნარკვევებში. ასე იშვა „ხდედალეულნი", „თეთრი სავალი", „ვაჟას სამყაროში", „ხვამლის ციხექვაბული", „კაცხის სვეტის საიდუმლო" და სხვა. ამ ნარკვევების კალამი თუ მე მეკუთვნის, წერაყინი და სული უსათუოდ ალიოშასია!"*

ალიოშასთან ერთად **ლევან გოთუამ** მრავალი მიუვალი მღვიმე-გამოქვაბული გამოიკვლია და კავკასიონის ურთულესი მწვერვალებიც დალაშქრა. სწორედ მისი დამსახურებაცაა, რომ დღეს კავკასიონზე არის ილიას, აკაკის, ვაჟას, სულხან-საბა ორბელიანის, ნინოშვილისა და მარჯანიშვილის მწვერვალები.

1944 წელს **ლევან გოთუამ, ალიოშა ჯაფარიძესთან** და არქიტექტორ **ვახტანგ ცინცაძესთან** ერთად, ალპინისტური ტექნიკის გამოყენებით, **კაცხის მიუვალი სვეტი** დალაშქრა. პირველებმა სწორედ მათ გამოიკვლიეს ბუნების ეს საოცარი ძეგლი, რომლის წვერზეც ეკლესიის ნანგრევები იყო შემორჩენილი. **ლევან გოთუამ** ამ ასვლას მიუძღვნა მშვენიერი ნარკვევი **„კაცხის სვეტის საიდუმლო".** შემდეგ ხვამლით დაინტერესდა და ისევ თავის მეგობარს — **ალიოშა ჯაფარიძეს** შეეხმიანა, რომელიც 1939 წელს უკვე ნამყოფი იყო ხვამლის ციხე-ქვაბულში. ამ

## კვირგვინოსნები

**ნიკა ლეჟავანიძე**
*მთამსვლელი*



დედამიწაზე **ველური ბუნება** იშვიათი სანახავი გახდა. მაგალითად, ალპებში რომ ადიხარ, სასტუმრო ყოველ ნაბიჯზეა, ანუ **იქ ველურ ბუნებასთან** კონტაქტის დრო ნაკლებად გრჩება. ადამიანი მთებში იმიტომ მიდის, რომ განმარტოვდეს და **ბუნებასთან სიახლოვით** სიამოვნება მიიღოს. მადლობა ღმერთს, საქართველოში ამის საშუალება ჯერ კიდევ გვაქვს — ეს არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც ტურისტები ჩვენთან ჩამოდიან. **ხევის მხარე, თუშეთი, სამხრეთი საქართველო, აჭარა, სვანეთი — ეს ადგილები ველური ბუნებისა და მთების მოყვარულთათვის ნამდვილი სამოთხეა.**

„კვირის პალიტრა"

**თემურ ქორიძე**
*ჟურნალისტი*



საქართველოში **„ივანიშვილის რეჟიმი" მძვინვარებსო** და ამ დროს, უკვე თითქმის 13 წელიწადია, ყოველდღე ოპოზიციური ტელეეკრანებიდან და გაზეთების ფურცლებიდან, ქუჩის, საპარლამენტო და ოპოპარტიული ტრიბუნებიდან **განწყვეტლივ ისმის პირადად ბიძინა ივანიშვილის, მისი ოჯახის, მმართველი პარტიისა და მისი ლიდერების თავზეხელაღებული ლანძღვა-გინება და ცილისწამება.** რაც ყველაზე საოცარია, ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ ის ადამიანები, რომლებიც პირადად **არიან დავალებული ივანიშვილისგან,** ზოგი — საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლითაც კი! **ეს ნამუსგარეცხილობა ზოგჯერ ანეკდოტურობამდეც კი მიდის.**

„საქართველოს რესპუბლიკა"

**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — ერთობის" წევრი*



მჯერა და დარწმუნებულიც ვარ, რომ **ახალი საპარლამენტო არჩევნები** დაინიშნება!

„ახალი თაობა"

# მემკვიდრე მოგვითხრობს

ახალ ექსპედიციაში **ლევან გოთუა** გახდა ერთ-ერთი დასაყრდენი ფიგურა და ხვამლის ციხე-ქვაბულიც ყოველმხრივ გამოიკვლიეს.

**— ამ ლაშქრობიდან დაბრუნებული ლევან გოთუა დააპატიმრეს...**

— დააპატიმრეს და საქართველოდან შორს — ციმბირში გადაასახლეს. ეს მოხდა 1946 წელს. მანამდე იგი ორჯერ იყო დაპატიმრებული — ჯერ 1924 წლის აჯანყების მომზადებაში დასდეს ბრალი, 7 თვით ჩასვეს საპყრობილეში, თუმცა, გათავისუფლების შემდეგ, 1925 წელს ისევ დააკავეს და 1936 წლამდე საკონცენტრაციო ბანაკებში ამყოფეს. ცხოვრობდა ჩეკა-ს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

**— რატომ აპატიმრებდნენ?**

— მაშინდელი ხელისუფლებისათვის **ლევან გოთუასავით** სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანები საშიშნი იყვნენ. თვითონ ამბობდა — **ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორსა ვარ თუ იმიტომ ვარ ასე შორს, რომ ასე ძლიერად მიყვარს სამშობლო?!** გადასახლებიდან იგი თავისიანებს წერდა:

*„წერილს როცა ვწერ, თავი საქართველოში მგონია, არაერთგზის შემშურვებია **ჩემი ალიოშას (ჯაფარიძის)** ბედი, რომელსაც უშბის უბეში ვალმოხდილს სძინავს. მე ვერც ვალი მოვიხადე, ხოლო ძილისა კი სრულიადაც არა ვიცი რა. თუ ვინმე ამ სტრიქონებს წაიკითხავს, იცოდეს, რომ თუ მოვიკოჭლე, ეს იმიტომ, რომ ხელ-ფეხზე იმდენი მავთული მეხვია, მთელ დედამიწას შემოერტყმოდა“.*

**— როდის დაბრუნდა გადასახლებიდან?**

— 1955 წლის აგვისტოში. თავის მოგზაურულ ჩანაწერებსა და ნარკვევებს მწვერვალებზე ასვლის შესახებ თავი მოუყარა და „მგზავრული კრიალოსანის“ სახით აკინძული ცალკე წიგნად გამოსცა. აღტაცებით ამბობდა:

*„ძველი მთამსვლელი ვარ და ვიცი, რომ მაღალ მწვერვალებს უფრო ხშირად ყველაზე დიდი ბურუსი ადგიათ, დავდივარ კალმითა და ხელნაწერებით სპერის ზღვიანეთში, სარფიდან დიოსკურიამდე... ჰოი, რა დიდი, ანტიკური სამყარო გვქონია! **ჰოი, ჯერ კიდევ რამდენი საქართველო გვქონია „აღმოსაჩენი!“***

**— გადასახლებიდან დაბრუნებული ლევან გოთუა ისევ აწყობდა ექსპედიციებს?**

— 1957 წელს, ილია ჭავჭავაძის დაბადების — 120 და მისი ვერაგული მკვლელობის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, **ლევან გოთუა** სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ქართველ მწერალთა ჯგუფს, მიიწვია ბეთლემის გამოქვაბულის აღმომჩენი **ალექსანდრა ჯაფარიძე** და ახალგაზრდები „ილიას გზით“ წაიყვანა. მათ გარდა, ლაშქრობაში მონაწილეობდნენ მწერლები: **ზაქარია შერაზადაშვილი, გიორგი ქავთარაძე, ედიშერ ყიფიანი, აკაკი გეწაძე, ალეკო სანადირაძე, რევაზ ინანიშვილი, ზურაბ ლორთქიფანიძე, შოთა არაბული, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ნოდარ შამანაძე, ემელიან ქურდიანი, ოთარ კუპრავა, ჯანსუღ ჩარკვიანი.** მთამსვლელობის ინსტრუქტორები იყვნენ **გურამ თიკანაძე, გივი ყალაბეგიშვილი, ლევან სუჯაშვილი.** კინოოპერატორი **არტურ პოლოსოვი** და რადიოკომიტეტის თანამშრომელი **მოსე ქარჩავა.** გურამ თიკანაძეს ის „კაი ყმას“ უწოდებდა.

მყინვარწვერის დალაშქვრა და ბეთლემის გამოქვაბულში შესვლა ახალგაზრდა მწერლებისათვის ალპინისტური ნათლობაც იყო, შთაგონების წყაროც და წარუშლელი შთაბეჭდილებაც. ეს გახლდათ გზა მთაწმინდიდან მყინვარწვერამდე. **გურამ თიკანაძემ** ფოტოსურათებზე დაატყვევა და ისე შემოუნახა შთამომავლობას ამ დაუვიწყარი ლაშქრობის შეჩერებული წამები. სამწუხაროდ, ამ ლაშქრობის ფოტონეგატივები დაიკარგა, მაგრამ ჩვენი ოჯახის არქივში აღმოჩნდა გურამის მიერ **ალექსანდრა ჯაფარიძისადმი** ნაჩუქარი ოცამდე ფოტო, რომლებიც გავამრავლე და არაერთხელ გამოვაქვეყნე.

**— ამბობენ, ლევან გოთუა მთამსვლელობის გარდა, მიუვალ მღვიმე-გამოქვაბულებს აც იკვლევდა ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად...**

— **ლევან გოთუა** დიდად აფასებდა თავის მეგობრებთან: **რეზო ინანიშვილთან, გურამ თიკანაძესთან, სარგის ცაიშვილთან, დავით მუსხელიშვილთან, ნოდარ ებრალიძესთან, გივი გაფრინდაშვილთან, მანანა კობერიძესთან, ნოდარ ჯობაძესთან, გურამ ხეცურიანთან, ატე ნემსიწვერიძესთან და კოტე ჯავრიშვილთან** ერთად, ქობთავისა და თრეხვის მღვიმეებში ჩატარებულ კვლევებს და დაბეჯითებით მოუწოდებდა ახალგაზრდობას:

*„აქ — მიუვალ ქვაბებში უნდა ვეძებოთ „ქართლის ცხოვრების“ დაფანტული ფურცლები, „ვეფხისტყაოსნის“ დაკარგული დედნები და დედნისპირები... მამა-პაპათა სისხლით დაპკურებული ხატ-სალოცავები და საბრძოლო დროშები. განახლებულ საქართველოში რამდენი მიუვალი ციხე-ქვაბული, ქვა-ქალაქი თუ თავისუფლების ქვასახიზარი ჯერ კიდევ დარჩენილა ორბის ამარა! რამდენ ქვაფურცელს ჯერ კიდევ კითხვის ნიშანი უზის! რამდენი დიდებული ნაშთი ჯერ კიდევ ელის თავის „მეოცნებეთ“, გაბედულ მკვლევართ! დრო კი მიდის, მიიხარჯება და ბევრი რამ იშლება, იკარგება დაუბრუნებლივ“.*

გარდაიცვალა 67 წლის და აქედან სიცოცხლის მესამედი ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებსა და ჯურღმულებში გაატარა, დანაშაული არ მიუძღვოდა, გარდა სამშობლოს უანგარო სიყვარულისა. თავდაპირველად არმაზში დაიკრძალა, თავის ეზოში, შემდეგ კი მისი დაბადების 100 წლისთავზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გადაწყვეტილებითა და ლოცვა-კურთხევით, მისი ნეშტი არმაზიდან მცხეთაში, სამთავროს ტაძრის ეზოში, გადმოვასვენეთ. ოჯახმა სამგლოვიარო ცერემონიალის წარმართვა მე დამავალა და ასე მივმართე იქ შეკრებილ საზოგადოებას:

*„სწორედ დღეს, არმაზიდან მცხეთის უწმინდეს სავანეში გადმობრძანებით ბატონი ლევანი ნიშანს გვაძლევს, რომ იგი ჩვენთანაა და გვაფრთხილებს: **„გამოფხიზლდით ქართველებო! უღმერთოთა, ბნელეთის მოციქულთა და რჯულგაყიდულთა თარეშსა და ოროմტრიალში, სამშობლოს მიხედეთ, ხელიდან არ გაგისხლტეთო“.** ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ამ მიწაზე გადმოსახლებით, იგი დავით აღმაშენებლის შეგონებას მიჰყვება და ყველას მოგვიწოდებს: **„გულზე დამადგით, ფეხი დამადგით გულზე ყოველმან...“***

*ჩვენ, ბატონი ლევანის მომდევნო თაობა, ვალში ვართ დიდებული მწერლის წინაშე. **საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მწამს, დადგება დრო, როცა იგი გაბრწყინდება და ახალი თაობა შესაფერ პატივს მიაგებს ყველა იმ ჭეშმარიტ მამულიშვილს, ვისაც სამშობლოს სიყვარულისთვის „ხელ-ფეხზე იმდენი მავთული დაახვიეს, რომ მთელს დედამიწას შემოერტყმოდა“. გემშვიდობებით და გწამდეთ, ვიდრე ვიცოცხლებთ, თქვენც ჩვენს გვერდით იქნებით, ვითარცა მოძღვარი და მაგალითი მოყვასის სიყვარულისა!“***

და აი, ეს ბუმბერაზი მოღვაწე უკვე 120 წლისაა. მის საფლავზე მუხლი უნდა მოიყარო და ჩუმად ილოცო!

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიტაშვილი***


ედიშერ ყიფიანი, აკაკი გეწაძე, რევაზ ინანიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ალექსანდრა ჯაფარიძე, ლევან გოთუა, ლევან სუჯაშვილი, გივი ყალაბეგიშვილი


გიორგი ჩიტაია, ლევან გოთუა, გიორგი ჩუბინაშვილი


მწვერვალისკენ: წინ – ალექსანდრა ჯაფარიძე, მესამე – ლევან გოთუა

## კვირგვინოსნები

**ალეკო ელისაშვილი**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*



სამჯერ გამოჩნდებიან ტელევიზორში და **თავი კიტრები ჰგონიათ, თან შუშა კიტრები.** ოპოზიციის შეხვედრაზე ისეთ სევდიან ხასიათზე ვარ ხოლმე, ჩემთვის ვფიქრობ — **ამხელა ამპარტავნობით როგორ დადიხართ?**

„პალიტრანიუსი“

**დავით ზურაბიშვილი**
*ანალიტიკოსი*



**ამერიკული ჰეგემონიის ქოლგის ქვეშ არსებული მსოფლიო წესრიგი,** ფაქტობრივად, დაინგრა და **იკვეთება ახალი მსოფლიო წესრიგი,** რომელიც სამი დიდი მოთამაშის — **ამერიკის, ჩინეთისა და რუსეთის გარიგების შედეგად უნდა შეიქმნას.**

„თბილისელები“

**დათო კენჭიაშვილი**
*მომღერალი*



რომ წარმოვიდგენ, **500 მილიონ ადამიანზე მეტი მიცნობს,** ფსიქიკასთან პრობლემები მეწყება. ერთ-ერთი ერის წარმომადგენელმა დამიწერა კომენტარი: **ქართველები ისე მღერიან, გვავიწყდება, რომ ჩვენი მტრები არიანო.**

„თბილისელები“

**ხატია ბუნიათიშვილი**
*პიანისტი*



**გაათავისუფლეთ სინდისის პატიმრები!** სრულიად უდანაშაულო, უვნებელი და თავისუფალი ადამიანები. მათი დაკავებით **თავისუფალ აზრს, რომელიც ქართველს სისხლში აქვს, ვერ მოკლავთ.**

„ახალი თაობა“

**_ცნობილი მეცნიერი და ჰომეოპათი კახა საბახტარიშვილი ბანაობის სიკეთის შესახებ გვესაუბრება და შეგვახსენებს, როცა ევროპაში არათუ ქვედაფენები, არამედ არისტოკრატიაც კი არ იბანდა, საქართველოში სიბინძურე და დაუბანლობა დიდ სირცხვილად ითვლებოდა:_**



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ _(პროფკავშირების სახლი)_. 593 31 70 34; ფეისბუქი: _„კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“_**

## _კახა საბახტარიშვილი:_

# უძველესი დროიდან საქართველოში სიბინძურე და დაუბანლობა უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა!

— ანტიკურ რომსა და საბერძნეთში აბანოს კულტურა უმაღლეს დონეზე იყო აყვანილი. ისტორიულად ცნობილია, რომ მხოლოდ ძველ რომში დაახლოებით ათასამდე აბანო არსებობდა. ქრისტეშობამდე პირველ საუკუნეში ცნობილმა რომაელმა ქველმოქმედმა და ხელოვნების მფარველმა **გაიუს მეცენატუსმა** რომს პირველი საზოგადოებრივი აბანო აჩუქა, სადაც დაბანა მოსახლეობის უღატაკეს ფენებსაც კი სრულიად უსასყიდლოდ შეეძლოთ.

როგორც კი დასავლეთ ევროპაში ქრისტიანობა გავრცელდა, ეკლესიის მსახურებმა მოსახლეობის ფართო ფენებს მოუწოდეს, თითქოს სხეულის მოვლა და განსაკუთრებით წყლით ბანაობა დიდი ცოდვა იყო, რადგან ამ შემთხვევაში ადამიანი არადანიშნულებისამებრ იყენებდა წყალს, რომლითაც იოანე ნათლისმცემელმა მაცხოვარი მონათლა! **უწიგნური და ფანატიკურად განწყობილი სასულიერო პირები ხალხს უმტკიცებდნენ, რომ ბანაობით სხეულს მოშორდებოდა ის მადლი და სიკეთე, რომელსაც ნაკურთხი წყლის პკურებისა და მითუფრო წმინდა მირონცხების შემდეგ ადამიანი შეიძენდა.**

ამ ცრუმოძღვრებას არამარტო დაბალი ფენები, არამედ მთელი ევროპული სამყაროს უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური და რელიგიური ელიტებიც ეთაყვანებოდნენ. სწორედ ამიტომ ევროპული არისტოკრატია მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში სიბინძურისა და დაუბანლობისგან ყარდა, რაც სრულიადაც არ ითვლებოდა სირცხვილად. პირიქით, ესპანეთის გამაერთიანებელი დედოფალი **იზაბელა კასტილიელი** (1441-1504 წ.წ.) მთელი ცხოვრება იმით ამაყობდა, რომ მხოლოდ ორჯერ იბანავა — ნათლობისა და ქორწინების დროს! საფრანგეთის დიდი ხელმწიფე და ევროპის ლიდერი **ლუდოვიკო მეთოთხმეტე** (1643-1715 წ.წ.), ფაქტობრივად, სიბინძურისგან ყარდა, რადგან მთელი სიცოცხლის განმავლობაში აბაზანა მასაც მხოლოდ ორჯერ ჰქონდა მიღებული. რაც შეეხება რომის **პაპ კლიმენტი მეხუთეს** (1262-1314 წ.წ.) ის დაუბანლობით გამოწვეული სიბინძურისგან — დიზენტერიისგან გარდაიცვალა!

**„ზედმეტმა ბანაობამ შესაძლოა, კანი გამოაშროს, მისი დამცავი ფენა დაარღვიოს და D ვიტამინის ნაკლებობა გამოიწვიოს!“**



გაგიკვირდებათ, მაგრამ ჩინეთის ლიდერი **მაო ძედუნიც** არ იბანდა და ამ ყველაფერს ასე ხსნიდა — „ვეფხვი ცხოვრებაში არასოდეს იბანს და არც კბილებს იხეხავს!“ **მაო ძედუნს** მსახურები მხოლოდ სველი პირსახოცებით წმენდდნენ, ხოლო პირის ღრუს ჰიგიენის დაცვის მიზნით იგი მწვანე ჩაის ფოთლებს ღეჭავდა.

იმისთვის, რომ საფრანგეთის სამეფო კარზე დაუბანლობით გამოწვეული ყროლის სუნი რაღაცით მაინც შეემცირებინათ, ფრანგებმა გამოიგონეს და შექმნეს პარფიუმერია. დაუბანელი და, ფაქტობრივად, აქოთებული ფრანგი მეფეები და დიდებულები სხეულზე უხვად იპკურებდნენ არომატულ და ძვირფას სითხეებს! უარესი მდგომარეობა იყო რუსეთში, სადაც **პეტრე პირველამდე** საერთოდ არავინ იბანდა. **პეტრე დიდმა** რუსები საგანგებო ბრძანებით დაავალდებულა, ებანავათ, ხოლო რუს ცოლებს უბრძანა, თავიანთი ქმრებისთვის საცვლები კვირაში ერთხელ მაინც გაერეცხათ!

**— საქართველოში ჰიგიენის დაცის მხრივ რა მდგომარეობა იყო?**

— უძველესი დროიდან მოყოლებული, საქართველოში ამ მხრივ სიტუაცია ევროპისგან რადიკალურად იყო განსხვავებული და სიბინძურე და დაუბანლობა დიდ სირცხვილად ითვლებოდა! შორს რომ არ წავიდეთ, ნოქალაქევში, ანუ უძველეს არქეოპოლისში, **პარმენ ზაქარაიას** მიერ ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში აღმოაჩინეს უძველესი აბანოების მთელი კომპლექსი. საყურადღებოა ის, რომ ნოქალაქევის აბანოებს ურთულესი გათბობის სისტემა ჰქონდა... აბანოები აღმოჩენილია მცხეთაში, არმაზში, კახეთში, ვანში... აღარაფერს ვამბობთ თბილისსა და მის უძველეს გოგირდის აბანოებზე, რომელთა ცხოველმყოფელ ძალაზე შუა საუკუნეების არაერთი ევროპელი, არაბი, სპარსი თუ თურქი მოგზაური და სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე საგანგებოდ წერს.



**„ესპანეთის დედოფალი იზაბელა კასტილიელი მთელი ცხოვრება იმით ამაყობდა, რომ მხოლოდ ორჯერ იბანავა — ნათლობისა და ქორწინების დროს!“**

ყურანში **მუჰამედი** პირდაპირ მოუწოდებს მუსლიმებს, რომ ხშირად დაიბანონ, რადგან ეს მეტად ღვთიური საქმეა. ამიტომაა, რომ აბანოების კულტურა მუსლიმურ ქვეყნებში ოდითგანვე განვითარებული იყო და თურქული, არაბული თუ სპარსული აბანო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. საქართველოში არამარტო სხეულის მოვლასა და სისუფთავეს ექცეოდა დიდი ყურადღება, არამედ ძველთაგანვე მიიჩნევდნენ, რომ ბანაობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ძალიან უწყობდა ხელს. მე-11 საუკუნის ქართულ სამედიცინო ტრაქტატში — **„წიგნი სააქიმოი“** ვკითხულობთ: _„ტფილითა წყლითა ბანაი ტანსა გაახურვებს და სინედლესა მოუმატებს და ბუნებისათვის კარგი იქნების!“_ საქართველოში წესად იყო მიღებული ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ტანის დაბანა და ტანსაცმლის გამოცვლა. „ვეფხისტყაოსანში“, როცა ფრიდონთან ტარიელი და ავთანდილი მიდიან სტუმრად, **შოთა რუსთველი** ასეთ რამეს წერს: _„გამოისვენეს მას ღამით ფრიდონის მასპინძლობითა; აბანოს ბანნა, აავსნა შესამოსლისა ძღვნობითა!“_ „ვეფხისტყაოსნიდან“ იმასაც ვგებულობთ, რომ ძველ საქართველოში აბაზანა სახლშიც ჰქონდათ მოწყობილი — _„ბაღჩა ვნახე უტურფესი, ყოვლისავე სალხინოსა: ფრინველთაგან ხმა ისმოდა_ უამესი სირონოსა; მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა.“

**— რა სიკეთე მოაქვს ბანაობას და რამდენჯერ უნდა დავიბანოთ?**

— ადამიანის ჯანმრთელობისთვის კანის მდგომარეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი დაფარულია ე.წ. მარკოინინის მანტიით, რომელიც იქმნება ქონისა და საოფლე ჯირკვლების გამონაყოფისგან და ისეთი ორგანული მჟავებისგან, როგორიცაა ლიმონმჟავა, რძემჟავა და ა.შ. ამ დამცავი ფენის შენარჩუნება ორგანიზმისთვის აუცილებელია. დღეში ერთხელ ან, მაქსიმუმ, ორჯერ ბანაობა აბსოლუტურად საკმარისია... თუ

## კვირგვინოსნები

**რევაზ ძოძუაშვილი**
_ვეტერანი ფეხბურთელი_



საკმაოდ ნაადრევად, 31 წლისამ დავასრულე ფეხბურთელის კარიერა, მაგრამ ბოლოს **გული უკვე ისე მქონდა გაწყალებული თამაშების ჩაწყობის შემოთავაზებებით,** ვიფიქრე — ვინმემ მეც არ დამაბრალოს გარიგებაში მონაწილეობა და სჯობს, კარიერა დავასრულო-მეთქი.

„კვირის პალიტრა“

**ანუნა მღივნიშვილი**
_კალათბურთელ დუდა სანაძის მეუღლე_



მხოლოდ სპორტს შეუძლია, **საერთო ეროვნული სიხარული** მოიტანოს და ამიტომაც არის მნიშვნელოვანი. **ამ დროს არც პოლიტიკა გახსოვს და არც არანაირი დაპირისპირება.**

„კვირის პალიტრა“

**ნუგზარ ერგემლიძე**
_მუსიკოსი_



ჩემს სიცოცხლეში **ორ-სამჯერ თუ დავმთვრალვარ.** არაყი ძალიან კარგია მოსატყუებლად. **ჩაამატებ ბორჯომში და სვი, რამდენიც გინდა.** აბა, რა უნდა ქნა, როცა კაცი ცდილობს, აუცილებლად დაგათროს?!

„სარკე“

**თამო ვაშალომიძე**
_კოსმეტიკური ბრენდის „თამოსკინის“ დამფუძნებელი, მოდელი_



**მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც მლანძღავს,** რადგან ეს ყველაფერი **მაძლევს უფრო დიდ მუხტს,** რომ უფრო მეტი გავაკეთო.

„სარკე“

**მედეა ადამია**
_„ჯეობარის“ გამარჯვებული, იურისტი_



ვცდილობ, **ძალიან ფრთხილად ვიოცნებო,** რადგან ყველაფერი მიხდება.

„თბილისელები“

ამ დოზას გადავაჭარბებთ, მაშინ ჩვენ დავაზიანებთ კანის დამცავ ფენას და ჩამოვრეცხავთ იმ სასარგებლო ბაქტერიებსაც, რომლებიც კანის ზედაპირზე უხვად გვხვდებიან. განსაკუთრებით მავნეა დღის განმავლობაში რამდენჯერმე ისეთი საპნით დაბანა, რომლის pH, ანუ მჟავე-ტუტოვანი წონასწორობა ძალიან მაღალია. **ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲐ 72-ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ Ე.Წ. ᲡᲐᲠᲔᲪᲮᲘ ᲡᲐᲞᲝᲜᲘ,** რადგან ის ორგანულ ცხიმოვან მჟავებს შეიცავს. ზომიერება და ე.წ. ოქროს შუალედის დაცვა ყველგან და ყველაფერში აუცილებელია. ზედმეტმა ბანაობამ შესაძლოა, კანი გამოაშროს, მისი დამცავი ფენა დაარღვიოს და D ვიტამინის ნაკლებობა გამოიწვიოს! საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ საკვების მეშვეობით ძალზე მცირე რაოდენობით D ვიტამინს ვღებულობთ. მისი ძირითადი რაოდენობა ორგანიზმში იქმნება მზის ულტრაიისფერი სხივების გავლენით, რომელიც კანის მიერ შთაინთქმება და ქოლეკალციფეროლად გარდაიქმნება, რომელიც D ვიტამინის წინამორბედია.

**— რა მავნე შედეგები მოაქვს იშვიათად ბანაობას?**

— ამ დროს სხეულის ზედაპირზე დაგროვილი ოფლი, სასარგებლო ბაქტერიების ცხოველქმედების პროდუქტები და ქონი ხელს უწყობს მავნე ბაქტერიების გამრავლებას, რამაც შესაძლოა, კანის სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს! ქალბატონებმა ინტიმური ადგილები საპნით არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიბანონ და ამისთვის მხოლოდ წყალი გამოიყენონ, რადგან ამ გზით ინტიმური ზონების ლორწოვანი გარსი ნადგურდება, რაც შესაძლოა, ანთებითი პროცესებისა და უშვილობის მიზეზი გახდეს. სხვათაშორის, სწორედ ლორწოვანი გარსით არის ამოფენილი პირის ღრუ და ენა და არავის არ მოსდის თავში აზრად, რომ პირი საპნით გამოირეცხოს!

**— რას იტყვით ცივი წყლით ბანაობაზე?**

— უძველეს ადამიანს შიმშილთან და სიცივესთან გამკლავება და შეგუება უწევდა, ანუ შიმშილი და სიცივე იყო სტრესი, რომელიც მას გარემოსთან ადაპტაციის უნარს უვითარებდა და უფრო ძლიერს ხდიდა. ამას მეცნიერებაში „ჰერმეტული ეფექტი" ეწოდება. ხანმოკლე სიცივე და სპორტი სწორედ „ჰერმეტული ეფექტის" მატარებელია. ორგანიზმზე მცირე ხნით ცივი წყლის ზემოქმედებას უნიკალური სამკურნალო ეფექტი აქვს.

**— მაინც რა ეფექტი აქვს ცივ წყალს?**

— ცივი წყლის ხანმოკლე გადავლების ეფექტებია:

**1. ᲘᲛᲣᲜᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ.** კერძოდ, მატულობს ლიმფოციტების, მონოციტებისა და ლეიკოციტების რიცხვი;

**2. ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲨᲘ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲜᲝᲠᲐᲓᲠᲔᲜᲐᲚᲘᲜᲘ,** ხოლო იმ ადამიანებს, რომლებსაც უყურადღებობა და დეპრესია აწუხებთ, სწორედ ნორადრენალინის ნაკლებობა აღენიშნებათ! ამიტომ, ვინც დეპრესიულია და ყურადღების დეფიციტს უჩივის, ცივი წყალი ხშირად უნდა გადაივლოს! ნორადრენალინის მატება მოქმედებს მეხსიერებასა და გუნება-განწყობილებაზე;

**3. ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ ᲭᲐᲠᲑᲘ ᲬᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲚᲐᲓ.** საქმე ის გახლავთ, რომ ცივი წყლის გავლენით ორგანიზმში ძალიან სასარგებლო რუხი ცხიმი წარმოიქმნება, რომელიც ორგანიზმს სითბოსა და ენერგიას მატებს და ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს. რაც მთავარია, რუხი ცხიმი წვავს მავნე თეთრ ცხიმს, რომელიც სიმსუქნისა და დიაბეტის მიზეზია. ასე, მაგალითად, 100 გრამი რუხი ცხიმი 400 ათას კილოკალორია თეთრ ცხიმს წვავს. ეს კილოკალორიების ის რაოდენობაა, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში საკვებისგან ვიღებთ;

**4. ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ ᲓᲘᲐᲑᲔᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.** ასეთ დროს ინსულინრეზისტენტობა მცირდება, ინსულინის მიმართ მგრძნობიარობა მატულობს და პანკრეასის ჯირკვალი ნაკლებად იტვირთება;

**5. ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲨᲘ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ ᲐᲜᲢᲘᲝᲥᲡᲘᲓᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ,** რაც კიბოსგან დაცვის შესანიშნავი პროფილაქტიკაა;

**6. ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲪᲐᲕᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲜᲔᲘᲠᲝᲜᲔᲑᲡ.** ამიტომაა, როცა საძინებელ ოთახში გათბობა არ არის და ცივა, უკეთესად გვძინავს. ცნობილი რუსი ფიზიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი **ᲘᲕᲐᲜᲔ ᲞᲐᲕᲚᲝᲕᲘ** სულ ფანჯრებგაღებულ ოთახში იძინებდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ზამთარში მისი საბანი თოვლითაც კი იფარებოდა...

**— მაინც როგორ უნდა მივიღოთ ცივი წყლის აბაზანა?**

— როცა ცხელი წყლით კარგად ვიბანავებთ და კომფორტულად ვიგრძნობთ თავს, უცებ, 30 წამის განმავლობაში გადავივლოთ ცივი წყალი... შემდეგ ისევ ცხელი წყლით დავასრულოთ ბანაობა. მეორე დღეს ეს დრო 40 წამამდე გავზარდოთ, მესამე დღეს — 50 წამამდე... იდეალური იქნება, თუ მივალთ იმ დონემდე, როცა ჩვენი ორგანიზმი 5-10 წუთის განმავლობაში ცივი წყლის დუშის ქვეშ ყოფნას შეეგუება.

**— ცხელი წყლის აბაზანა რამდენად სასარგებლოა?**

— ცხელი წყლის აბაზანა ძალიან სასარგებლოა მაღალი არტერიული წნევისთვის. მცირე ხნით ცივი წყლის გადავლებასაც იგივე ეფექტი აქვს... საქმე ის გახლავთ, რომ ასეთ დროს მოქმედებს ე.წ. უკუკავშირის პრინციპი — როდესაც ხანმოკლე დროის განმავლობაში ორგანიზმს გარედან სიცივე ხვდება, ორგანიზმი შიგნიდან თბება და სისხლის მიმოქცევაც უმჯობესდება, რაც წნევას დაბლა სწევს... **ᲫᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ 40-ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲘᲐᲜᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ 30-ᲬᲣᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲑᲐᲖᲐᲜᲐ ᲦᲠᲛᲐ ᲫᲘᲚᲡ ᲛᲝᲒᲒᲕᲠᲘᲡ.** გარდა ამისა, ცხელი აბაზანა ადუნებს კუნთებს, ზრდის აზოტის მონოქსიდს, რომელიც სისხლძარღვებს აფართოებს და არტერიულ წნევას არეგულირებს.



**„ᲕᲘᲜᲪ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲡ ᲣᲩᲘᲕᲘᲡ, ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲕᲚᲝᲡ!"**



**„ᲛᲐᲝ ᲫᲔᲓᲣᲜᲘᲪ ᲐᲠ ᲘᲑᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲡᲔ ᲮᲡᲜᲘᲓᲐ – „ᲕᲔᲤᲮᲕᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲘᲑᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲡ ᲘᲮᲔᲮᲐᲕᲡ!"**



**„რომის პაპი კლიმენტი მეხუთე დაუბანლობით გამოწვეული სიბინძურისგან — დიზენტერიისგან გარდაიცვალა!"**



**„ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲚᲣᲓᲝᲕᲘᲙᲝ ᲛᲔᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲔ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲡᲘᲑᲘᲜᲫᲣᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲧᲐᲠᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲑᲐᲖᲐᲜᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ!"**

*ესაუბრა*
***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲐᲮᲘᲙᲝ ᲜᲘᲟᲐᲠᲐᲫᲔ**
*მომღერალი*



**დაუფიქრებელ ნაბიჯებს არ ვდგამ,** წლები რომ დავაბრუნო, არაფერს შევცვლიდი. **ჯერ არ მქონია შემთხვევა, მეფიქროს, როგორ გამაცურეს-მეთქი.**

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ"

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲮᲘᲯᲐᲕᲐᲫᲔ-ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ**
*პოეტი, შოთა ნიშნიანიძის მეუღლე*



ლექსს პირველად მე მაკითხებდა. **წაიკითხე და, რაც არ მოგეწონოს, დაუნდობლად წაშალეო** — მეტყოდა ხოლმე. მეც ზედმეტ სტრიქონებს ვყრიდი. **ახლა ვნანობ, რომ დაწუნებული სტრიქონები არ შევაგროვე და წიგნად არ გამოვეცი.**

„ᲡᲐᲠᲙᲔ"

**ᲜᲘᲜᲝ ᲗᲐᲠᲮᲐᲜ-ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ**
*მსახიობი*



სარკეში რომ ვიყურები, **ცუდ ხასიათზე ვდგები, რადგან წლები მემატება.** დანარჩენი არაფერი შეცვლილა, ყველაფერი იგივეა, **ცოტა ჭკუა და ტვინი მომემატა.**

„ᲡᲐᲠᲙᲔ"

**ᲥᲔᲗᲘ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ**
*მომღერალი*



არასდროს მყოლია დამხმარე, **ოთხივე შვილი მე და ჩემმა მეუღლემ გიორგიმ გავზარდეთ.** არც დედაჩემი დამხმარებია და არც დედამთილი. სამაგიეროდ, **არც ჩვენ ვართ არავისთან ანგარიშვალდებულები.**

„ᲡᲐᲠᲙᲔ"

**ᲛᲘᲨᲐ ᲛᲔᲡᲮᲘ**
*მომღერალი, სოფო ბედიას ქმარი*



ყველა **რძალ-დედამთილს** გულით ვუსურვებ, ისეთი ურთიერთობა ჰქონდეთ, **როგორიც სოფოსა და დედაჩემს აქვთ.**

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ"

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2025 წლის №1–2, 3–11*

***პროფესორ სვიმონ მასხარაშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ მეორემ იერუსალიმი გადაბუგა, სოლომონის ტაძარი დაანგრია და ებრაელები გამოდევნა, სვეტიცხოვლის მიდამოებში, ციხედიდსა და ხერკში პირველი ებრაული დასახლებები გაჩნდა:***



## სვიმონ მასხარაშვილი:

## ჩვენმა წინაპრებმა ელინების ქვეყანას „საბრძენეთი“, ანუ „საბერძნეთი“ უწოდეს!

**„მთელი მცირე აზია და ჩრდილოეთ მესოპოტამია სავსეა მესხური ნამოსახლარებითა და სამთავროებით!“**

— ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეს ისტორიის „ღერძულ დროს“ უწოდებენ. სწორედ ამ დროს დასრულდა სამდინარო ცივილიზაციების ეპოქა და დაიწყო საზღვაო ცივილიზაციების ხანა, რომელიც 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემამდე და 1492 წელს კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენამდე გაგრძელდა. სწორედ ძვ.წ-ის მე-6 საუკუნეში ჩამოყალიბდა საბოლოოდ საერთაშორისო-სავაჭრო მაგისტრალი „აბრეშუმის გზა“, რომელიც მხოლოდ კომერციულ ფენომენს არ წარმოადგენდა. მისი მეშვეობით ვრცელდებოდა როგორც კულტურა და რელიგია, ისე ავადმყოფობები და მეცნიერული მიღწევები. **„აბრეშუმის გზა“ პირველი გლობალისტური სისტემა იყო, რომელიც შეიცავდა გარკვეულ საფრთხეს. ამ სისტემაში ჩართული ტომები და ერები შესაძლოა, ერთმანეთში ათქვეფილიყვნენ და „აბრეშუმის გზა“ ახალ ბაბილონის გოდოლად ქცეულიყო.** მაგრამ მოხდა სასწაული — „აბრეშუმის გზის“ თანამონაწილე ყოველ ტომსა და ქვეყანაში სწორედ ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში დაიბადა ისეთი რაღაცები, რამაც, ერთი მხრივ, განსაზღვრა თითოეული ერის თვითმყოფადი სახე, ხოლო, მეორე მხრივ, მაშინდელი მიღწევები კაცობრიობის კულტურის საფუძველთა საფუძვლად იქცა.

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ!**

— სწორედ ამ პერიოდში მოვიდა იაპონიის სათავეში ის მმართველი დინასტია, რომლის წარმომადგენელიც დღემდე იაპონიის იმპერატორია. შესაბამისად, უძველესი იაპონური რელიგია სინტოიზმი სწორედ ამ საგვარეულოს პერსონალური სარწმუნოებაა. ამავე პერიოდის მოღვაწეების **სუნ ძისა და ლაო ძის** მოძღვრებები დღემდე ზოგადსაკაცობრიო საგანძურად ითვლება, ხოლო კონფუციანელობა 1,5-მილიარდიანი ჩინეთის ცხოვრების წესია. ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში დაიბადა **სიდჰართა გაუტამა,** ანუ **ბუდა,** რომლის მოძღვრებაც, ერთი მხრივ, ექვთიმე მთაწმინდელისეული „სიბრძნე ბალაჰვარის“ თანახმად, არის გზა ქრისტიანობისკენ, ხოლო, მეორე მხრივ, ბუდიზმი შორეული აღმოსავლეთის ხალხებისთვის ძირითადი რელიგიაა. ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში სანსკრიტის ენაზე ჩაწერეს „ვედები“, რაზეც დგას ინდუიზმი და მოძღვრება კრიშნას შესახებ. ზუსტად ამ პერიოდში, ანუ ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში ზარატუსტრამ დაწერა „ვესტა“, რომელიც ირანელთა თვითმყოფადობის რელიგიას წარმოადგენდა ახალი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნემდე. ამ რელიგიამ, ანუ ზოროასტრიზმმა უდიდესი გავლენა მოახდინა კავკასიელთა და მცირე აზიელთა რწმენა-წარმოდგენებზე და, რაც მთავარია, ზოროასტრიზმის საშუალებით, კაცობრიობა და, მათ შორის, ევროპული სამყარო, გაეცნო 25 დეკემბერს დაბადებადი მითრას კულტს. სწორედ ამ კულტის რწმენამ ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხებს არნახულად გაუიოლა გაქრისტიანების პროცესი, რადგან ქრისტეც 25 დეკემბერს დაიბადა.

**— ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში ბერძნები უკვე საქართველოში ჩნდებიან...**

— დიახ, ბერძნული კოლონიები, ანუ ახალშენები ერთმანეთის მიყოლებით, ფაქტობრივად, ერთდროულად გაჩნდა რამდენიმე კოლხური ქალაქის ტერიტორიაზე — ფაზისში, დიოსკურიაში, გიენოსში, პიტიუნტში.... როგორც ბერძნული წყაროებიდან ჩანს, ამ ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობას ადგილობრივი კოლხები წარმოადგენდნენ, მაგრამ მათთან თანაცხოვრება დაიწყეს ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან მოსულმა ბერძნებმაც...

**— ამავე პერიოდში საკუთრივ საბერძნეთში უდიდესი ცვლილებები ხდება, ასპარეზზე გამოდიან ძველი ბერძენი მოაზროვნენი, რომლებიც დღემდე განსაზღვრავენ მსოფლიო მეცნიერების ორიენტირს!**

— ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ჩვენმა წინაპრებმა, დანარჩენი კაცობრიობისგან განსხვავებით, ელინების მთავარი ფუნქცია და ხვედრითი წილი მსოფლიო კულტურაში იმთავითვე განსაზღვრეს და მათ ქვეყანას **„საბრძენეთი“,** ანუ **„საბერძნეთი“** უწოდეს... სხვათაშორის, ჩვენი წინაპრები ბიზანტიის იმპერიასაც **„საბერძნეთს“** უწოდებდნენ, რადგან ძველი ბერძნული ენა ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო ენად ბოლომდე დარჩა. შესაბამისად, ელინებს ქართველები „ბრძენებს“, ანუ „ბერძნებს“ ვუწოდებდით. დედამიწაზე ორი საბერძნეთი, ანუ ორი ელადა არსებობდა — **საკუთრივ საბერძნეთი,** რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და მიმდებარე კუნძულებზე მდებარეობდა და **დიდი ელადა,** ანუ დიდი საბერძნეთი, რომელიც მოიცავდა აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილს და კუნძულ სიცილიას. სხვათაშორის, საუკუნეთა განმავლობაში დიდი ელადის ქალაქები — სირაკუზი, კაპუა და ნეაპოლი, როგორც სიდიდით, ისე კულტურულ-ეკონომიკური მნიშვნელობით თვით რომსაც კი აჭარბებდნენ. რომის რესპუბლიკასა და იმპერიაში ორი სახელმწიფო ენა არსებობდა — ძველი ბერძნული და ლათინური! დღემდე არ ვიცით, რუბიკონის გადალახვისას, ძველი წელთაღრიცხვის 49 წლის იანვარში, **იულიუს კეისარმა** რომელ ენაზე დაიძახა ცნობილი სიტყვები — **„წილი ნაყარია!“** ლათინურად ეს სიტყვები ასე ჟღერს — **„ალეა იაქტა ესტ!“,** ხოლო ძველბერძნულად — **„ანერიფთო კიბოს!“** სწორედ ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში დაიბადა ძველი ბერძნული მეცნიერების მამამთავარი **პითაგორა,** რომელმაც საიდუმლო სკოლა ჩამოაყალიბა. ამ სკოლის მიმდევრები იყვნენ: **სოკრატე, პლატონი და არისტოტელე,** რომელიც **ალექსანდრე მაკედონელის** მასწავლებელი და **პლატონის** მოწაფე იყო. რა თქმა უნდა, ბერძნული ფილოსოფია, მათემატიკა და ლიტერატურა მე-5 და მე-4 საუკუნეებში უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, მაგრამ ელინთა ბრძნული ცხოვრების წესის განმსაზღვრელი ფენომენი სწორედ მე-6 საუკუნეში გაჩნდა. ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში, 509 წელს, ქალაქ ათენში კლისთენეს კანონებით დაიბადა დემოკრატია. ზუსტად ამავე 509 წელს რომში დაიბადა რესპუბლიკა!

**— ამ დროს საქართველოში რა ხდება?**

— ამ დროს საქართველოში მცირე აზიიდან მოდიან და საბოლოოდ მკვიდრდებიან მესხები, რომლებიც აარსებენ მესხთა ქალაქ **„მესხთას“,** ანუ **მცხეთას.** მათთან ერთად მოდიან და მცხეთაში, კერძოდ, ხერკის, სვეტიცხოვლისა და ციხედიდის მიდამოებში სახლდებიან ებრაელები, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში, 586 წლის შემდეგ, **ნაბუქოდონოსორ მეორე ბაბილონელის** ტყვეობას გამოექცნენ! სწორედ ამ ებრაელთა შორის, მოსეს ძმის — **აარონისა და ელია წინასწარმეტყველის** შთამომავალთა ოჯახში დაიბადება **ელიოზ მცხეთელი,** რომელიც **ლონგინოზ კარსნელთან** ერთად საქართველოში ქრისტეს კვართს ჩამოაბრძანებს. კვართს მკერდში ჩაიკრავს ელიოზის და — სიდონია და ისე აღესრულება. სიდონიას კვართთან ერთად ებრაელთა სასაფლაოზე, მცხეთაში დაკრძალავენ. დაახლოებით სამასი წლის შემდეგ სწორედ სიდონიას საფლავსა და კვართის შთაფვლის ადგილს დაადგება ზეციდან გარდამოსული სვეტიცხოველი, სადაც აღიმართება სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარი. **ელიოზის** შთამომავალთა ერთ-ერთი შტო იუდაურ სარწმუნოებაზე დარჩება. მე-17 საუკუნის ერთ-ერთი სიგელის თანახმად, ვინმე **ელიოზიძე** მცხეთის მთავარ რაბინად მსახურობდა; ხოლო მეორე შტო გაქრისტიანდება და მათი წარმომადგენლები ჯერ — სვეტიცხოვლის და მერე საქართველოს საკათალიკოსო ჯარის სარდლები გახდებიან. თავდაპირველად ეს შტოც **ელიოზიძედ** იწერება, გვიან შუა საუკუნეებში — **ელიოზიშვილებად,** ხოლო ბოლოს — **ბედევანიშვილებად,** რადგან ისინი **ბედეონ ელიოზიშვილის** შთამომავლები არიან. სხვათაშორის, საქართველოს საპატრიარქოს უკანასკნელი სარდალი, რომელმაც გეორგიევსკის ტრაქტატი არ ცნო, **შიოშ ბედევანიშვილი** იყო.

**— მესხები სხვაგან ცხოვრობდნენ და საქართველოში მოვიდნენ?**

— მესხები სვანებთან და მეგრელებთან ერთად, როგორც გენეტიკურად, ისე ენობრივად ერთ ჯგუფს წარმოადგენენ. საუკუნეების წინ, საუბარია დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის მე-12 საუკუნეზე, ისინი წარმოუდგენლად დიდ სივრცეზე ცხოვრობდნენ. მთელი მცირე აზია და ჩრდილოეთ მესოპოტამია მესხური ნამოსახლარებითა და სამთავროებით არის სავსე. **სტრაბონის** თანახმად, მისი თანამედროვე იბერიაც, ლაზიკაც და არმენიაც დიდი მესხეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე იყო ჩამოყალიბებული!

მესხები, რომლებიც მცირე აზიაში დარჩნენ, **იოსებ ფლავიუსის** თანახმად, კაბადოკიელებად გადაიქცნენ! მესხების ის ნაწილი, რომელიც ქართველურ ტომთა უძველეს სავანეს — კავკასიას დაუბრუნდა, სრულიად კავკასიის ლიდერად იქცა. მცხეთის დაარსების გარდა მათ იკისრეს კავკასიონის უღელტეხილების დაცვა და ამით უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ბერკეტი შეიძინეს კავკასიელთა თვითმყოფადობის გადარჩენის საქმეში.

**„დღემდე არ ვიცით, რუბიკონის გადალახვისას, ძველი წელთაღრიცხვის 49 წლის იანვარში, იულიუს კეისარმა რომელ ენაზე დაიძახა ცნობილი სიტყვები – „წილი ნაყარია!“ ლათინურად ეს სიტყვები ასე ჟღერს – „ალეა იაქტა ესტ!“, ხოლო ძველბერძნულად – „ანერიფთო კიბოს!“**



*გაიუს იულიუს კეისარი. ძვ. წ. 100–44*

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

## ერთი უსაფუძვლო თავდასხმის შესახებ




აკადემიკოსი **სიმონ ყაუხჩიშვილი** ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს წარმოადგენს. მან დააფუძნა კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის ქართული სკოლები. მან გამოავლინა, თარგმნა და კრიტიკულად გამოსცა ბიზანტიელ ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ სერიაში „გეორგიკა“, შექმნა ფუნდამენტალური ნაშრომები ძველი ბერძნული და ბიზანტიური ლიტერატურის სფეროში. მან, რაც მთავარია, აღზარდა ქართველ ჰუმანიტართა მთელი თაობები, რომელთაც განსაზღვრეს ქართული მეცნიერების მაღალი დონე ელინოლოგიაში, ქართველოლოგიასა და ბიზანტინისტიკაში. **სიმონ ყაუხჩიშვილი** მისი მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის **ივანე ჯავახიშვილის დავალებით** უკვე მე-20 საუკუნის 20-იან წლებში შეუდგა მუშაობას **„ქართლის ცხოვრების“** ყველა არსებული ხელნაწერის გათვალისწინებით ტექსტების დადგენაზე. უკვე 1942 წელს მან გამოსცა **„ანასეული ქართლის ცხოვრების“ ტექსტი.** 1955 წელს საზოგადოებამ მიიღო **„ქართლის ცხოვრების“ დაგეგმილი ოთხტომეულის I ტომი,** 1959 წელს გამოიცა **II ტომი, III ტომი** გამომცემლობას გადაეცა 1965 წელს, გარკვეულ გარემოებათა გამო მისი გამოცემა გაჭიანურდა და მკითხველი მას მიიღებს 2025 წელს. **„ქართლის ცხოვრების“ IV ტომი** გამოქვეყნდა 1973 წელს.

აკადემიკოს **სიმონ ყაუხჩიშვილისეულმა** გამოცემამ სამეცნიერო საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა, რადგან ეს არის ყოვლისმომცველი, კრიტიკული გამოცემისათვის აუცილებელი ყველა პრინციპის დაცვით შესრულებული პუბლიკაცია. დღემდე მას ეყრდნობა ყველა, ვინც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტით სარგებლობს: მეცნიერები, ამ ძეგლის უცხო ენებზე მთარგმნელები თუ ფართო მკითხველი.

სრულიად მოულოდნელი და აღმაშფოთებელია ის თავდასხმა, რომელიც ინტერვიუს ფორმით **სვიმონ მასხარაშვილმა და დიტო ჩუბინიძემ** განახორციელეს გაზეთ **„ასავალ-დასავალის“ 2025 წლის 3-9 მარტის №10-ში. სვიმონ მასხარაშვილმა** გამოამჟღავნა უკიდეგანო ფანტაზია და „ქართლის ცხოვრების“ გამოცემის ინიციატივა ნიკიტა ხრუშჩოვს მიაწერა, რომლის დავალებითაც, თურმე, **სიმონ ყაუხჩიშვილმა** ხელი მოჰკიდა ამ ოთხტომეულის გამოცემას. რასაკვირველია, სვიმონ მასხარაშვილის მტკიცებით, ხრუშჩოვის საგანგებო ინტერესი ამ პროექტის განხორციელების მიმართ განუპირობებია მის სურვილს, როგორმე დაეკნინებინა **ქართველთა და ქართული ენის წარმოშობის ქართულ მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული თეორია. სვიმონ მასხარაშვილი** დარწმუნებულია, რომ ქართველთა და ქართულ ენასთან დაკავშირებული პასაჟები, რომლებიც მომდინარეობს სომეხი მხითარისტებისგან, „ქართლის ცხოვრებაში“ **სიმონ ყაუხჩიშვილმა ხრუშჩოვის დავალების** გათვალისწინებით სპეციალურად შეიტანა ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“.

**სვიმონ მასხარაშვილი** იმდენად შორს მიდის, რომ იკვლევს **სიმონ ყაუხჩიშვილის** ფალსიფიკატორობის ფესვებს. მისი აზრით, **კათოლიკე ს. ყაუხჩიშვილი შესაძლოა, სომეხი მხითარისტიც ყოფილიყო. ხრუშჩოვის დავალების წარმატებით შესრულებისათვის 1969 წელს ს. ყაუხჩიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის ნ. ხრუშჩოვი კარგა ხნის გადაყენებული იყო თანამდებობიდან.**

სავსებით გაუგებარია, რამ გამოიწვია **სვიმონ მასხარაშვილის** გააფთრება ცნობილი ქართველი მეცნიერის მიმართ. **ხომ არ არის ეს იმ ტენდენციის ერთგვარი გამოხატულება, რომელიც უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა ზოგიერთი „კრიტიკოსის“ დამოკიდებულებაში უფროსი თაობის ქართველ თვალსაჩინო მოღვაწეთა მიმართ.**

***რისმაგ გორდეზიანი**, აკადემიკოსი;*
***გია გელაშვილი**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*





**22 მარტი - ხსენება 40-თა მოწამეთა, სებასტიას ტბასა შინა წამებულთა**

✝ 17 მარტი. ორშაბათი. **ღირსისა გერასიმე იორდანიელისა; მოწამეთა პავლესი და დისა მისისა ივლიანასი;** გრიგოლისა, კვიპროსის კოსტანცელი ეპისკოპოსისა; კეთილმსახურისა მთავრისა დანიელ მოსკოველისა; ღირსისა გრიგოლისა, ასელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: აკაკისა, კოდრატესი და სტრატონიკესი, ეგვიპტის პტოლემაიდაში წამებულთა.

✝ 18 მარტი. სამშაბათი. მოწამისა კონონ ისავრიელისა; მოწამისა ონისესი; მოწამისა კონონმებაღისა, გალილეის ნაზარეთელისა; მოწამისა ევლოგი პალესტინელისა; მოწამისა ევლამპისა; ღირსისა მარკოზისა; პოვნა წმიდათა ნაწილთა კეთილმსახურთა მთავართა: თეოდორე სმოლენსკელისა და ძეთა მისთა დავითისა და კონსტანტინესი, იაროსლაველ სასწაულმოქმედთა; ღირსისა მარკოზ ათენელისა; მოწამეთა: არქელაოსისა, კირილესი, ფოტისა და მათთანა 150-თა; წმიდისა დიადოხოსი, ეპისკოპოსისა ფოტიკელისა ილირიკეს შინა, რომელმან დაწერა ასი თავი სწავლა სამონაზვნო; მღვდელმოწამისა თეოფილესი, კესარიის ეპისკოპოსისა.

✝ 19 მარტი. ოთხშაბათი. **მღვდელმოწამისა დოსითეოზისა, ქუთათელი მიტროპოლიტისა;** 42-თა ამორეველ მოწამეთა: კონსტანტინესი, აეტისა, თეოფილესი, თეოდორესი, კალისტესი, ბასოსი, პატრიკისა, თეოდორე კრატერისა, მელისენესი და სხვათა მათთანა; პოვნა პატიოსნისა ჯვარისა და პატიოსანთა სამსჭვალთა წმიდისა ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში; ღირსმოწამეთა: კონონისა და ძისა მისისა კონონისა; ღირსისა ევსუქი სასწაულმოქმედისა, გალატიელისა; მოწამისა ევფროსინესი; ღირსმოწამისა მაქსიმესი.

✝ 20 მარტი. ხუთშაბათი. **მღვდელმოწამეთა, ქერსოვნეთელ ეპისკოპოსთა: ბასილისა, ეფრემისა, ევგენისა, აღათოდორესი, ელპიდისა, ესთერისა, კაპიტონისა;** ღირსისა პავლე წრფელისა; მოწამეთა ემილიანესი, იაკობისა და მარიანოსისა, რომში წამებულთა; ეფრემისა, ანტიოქიის პატრიარქისა; მოწამეთა: ევბულესი და ივლიანე მკურნალისა.

✝ 21 მარტი. პარასკევი. **ღირსისა თეოფილაქტე აღმსარებელისა, ნიკომიდიელი მთავარეპისკოპოსისა; მოციქულისა ერმესი, 70-თაგანისა;** ღირსისა დომენტისა; პავლე აღმსარებელისა, პრუსიადელი ეპისკოპოსისა; მოწამისა დიონოსისი; მღვდელმოწამისა კირილესი; მოწამეთა ფელიკიტესი, ერენიასი, როგატოსისა, ფელიქსისა, მეორე როგატოსისა, ბეატოსისა, ურბანოსისა, სილვანოსისა და მამილოსისა, აფრიკაში წამებულთა.

✝ 22 მარტი. შაბათი. **მიცვალებულთა ხსენება.** ორმოცთა მოწამეთა, სებასტიას ტბასა შინა წამებულთა; **წმიდათა მოწამეთა: ბაბუასი, ბებიასი, მამისა და დედის და ორთა შვილთა მათთა.**

✝ 23 მარტი. კვირა. **დიდმარხვის მე-3 კვირა. ჯვრის თაყვანისცემა.** ღირსისა იოანე ხახულელისა, ოქროპირად წოდებულისა; მოწამისა კოდრატე კორინთელისა და მისთანა ხუთთა მოწამეთა: კვიპრიანესი, დიონისესი, ანეკტოსი, პავლესი და კრისკენტოსი; ღირსისა ანასტასია პატრიკიასი.



**თარაზულად:** 1. ხუთი მომღერლისგან შემდგარი ანსამბლი; 6. ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე ადგილი; 7. შორისდებული; 8. პატარა ძაღლი; 11. გერმანულ მითოსში: ადამიანებისადმი კეთილად განწყობილი სული; 12. წონის ერთეული ძველ რომში და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში; 14. ქიმიური ელემენტი — თეთრი კრისტალური ნივთიერება; 15. ქალაქი საქართველოში; 16. დიდი, ფრიალო კლდე; 18. ციხე, სადაც დანტესი იჯდა; 19. ამერიკელი მწერალი ქალი, „ბინდის“ ავტორი; 20. წინათ, უწინ; 22. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 23. საჩოგბურთო პარტიის ნაწილი; 26. აზერბაიჯანის დედაქალაქი; 27. ზღვის პატარა ყურე; 29. კურორტი კალიფორნიაში; 30. პატარა სარწყავი არხი; 31. ინგლისელი მსახიობი ქალი; 32. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი.

**შვეულად:** 2. იტალიელი კომპოზიტორი, „ნაბუქოს“ ავტორი; 3. ლითონის წვრილი ჩხირი, რომელსაც ერთი ბოლო წვეტიანი აქვს, მეორე — გახვრეტილი; 4. უთვისტომო; 5. ყველაფრისადმი გულგრილობა, უხალისობა; 8. მიმართვა შვედი ქალბატონისადმი; 9. წვის შედეგად დარჩენილი მასა; 10. ენის ბორძიკით მოლაპარაკე; 13. მიუნხენის „ბაიერნის“ ესპანელი მწვრთნელი; 14. ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონის“ პერსონაჟი; 17. ელექტრული ტევადობის საზომი ერთეული; 19. ინგლისელი მწერალი; 21. ქრისტეშობისთვე; 24. ჩხირისებრი ბაქტერია; 25. მაგნიტის ორი ბოლოდან ერთ-ერთი; 28. ბრინჯის არაყი.

თარაზულად: 1. კვინტეტი; 6. ტრამალი; 7. ჰა; 8. ფინია; 11. ელფი; 12. უნცია; 14. ბორი; 15. ვანი; 16. ქარაფი; 18. იფი; 19. მეიერი; 20. ადრე; 22. რულადა; 23. გეიმი; 26. ბაქო; 27. უბე; 29. მალიბუ; 30. რუ; 31. ლი; 32. „მერანი“.
შვეულად: 2. ვერდი; 3. ნემსი; 4. ეული; 5. აპათია; 8. ფრუ; 9. ნაცარი; 10. ბლუ; 13. გვარდიოლა; 14. ბულიკა; 17. ფარადა; 19. მერიმე; 21. დეკემბერი; 24. ბაცილა; 25. პოლუსი; 28. საკე.

მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
სამშობიარო სახლი და ჰემატოლოგია
ორსულ ქალთა კონსულტაცია
სამშობიარო სახლი
პედიატრიული კლინიკა
გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
საშობიარო:
032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა:
032 223-85-80

საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკა
GIDMEDI GEORGIA · ISRAEL JOINT CLINIC
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები:**

თარაზულად: 1. ვერნისაჟი; 8. ტორნადო; 12. რაინისი; 13. სანდალოზი; 14. რიტმიკა; 15. ბროკერი; 16. ალიგატორი; 21. ფანდური; 22. მილოსი; 25. ტრაექტორია; 26. პანიკა; 29. კონკა; 30. ტიკჭორა; 31. კილი; 34. სანიკიძე; 37. ტრაგედია; 38. ტანკი; 39. რე; 40. სალამური; 43. კრაკოვიაკი; 48. ონი; 50. ტაუ; 51. ლარნაკი; 53. მანდარინი; 56. ირიბარი; 59. კამიკაძე; 63. იდიში; 66. გულაბი; 68. ვაზნა; 69. სალამანდრა; 70. ფილიპი; 71. ნეო.
შვეულად: 1. ვესტა; 2. რენდი; 3. ითაკა; 4. აპოლო; 5. ირიბი; 6. ნილოსი; 7. ლიბერო; 8. ტირიფი; 9. როტონდა; 10. ალიყური; 11. ოკარინა; 17. ლირიკა; 18. გვერდი; 19. ტატამი; 20. რარიტეტი; 22. მასკანი; 23. ლაკონიკა; 24. სინატრა; 26. პალაცო; 27. ნეკერი; 28. კოლი; 32. იდეა; 33. იაფი; 34. სისინი; 35. ნილოსი; 36. კამილა; 41. ან; 42. რური; 44. რუმბა; 45. კონდე; 46. ვუალი; 47. კენ; 49. ბაზა; 50. ტირი; 52. არწივი; 54. იფი; 55. ილი; 57. რაუტი; 58. ბრასი; 59. კუზი; 60. მეან; 61. კესო; 62. ძალა; 64. დონი; 65. შერი; 67. ომი.

1. ნიკელიანგიომალომისანიკაპიტალინილოსიონიანი
2. დარდიმანდილიმონიავარიანაბადიშივაკისინიორი

# აი, რაზე თქვა სააკაშვილმა – ქვების გროვა დავკარგეთო!



მიხეილ სააკაშვილი, 2008 წლის 8 აგვისტო: — **საქართველოს სამთავრობო შენაერთები აკონტროლებენ ყველა დასახლებულ პუნქტს და ყველა სოფელს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე...**



## არადა, სინამდვილეში:

**2008 წლის აგვისტოში ორდღიანი ომის შედეგად რუსეთთან კაპიტულაციას ხელი მოაწერა ქართული ჯარის მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა და საქართველოს მოსახლეობას დაატოვებინა:**

ქვემო აჟარა
მამისაანთუბანი
თამარაშენი
ახმაჯი
აძგარა
ფრისი
ქვემო აჩაბეთი
მოსაბრუნი
იგოთი
ბუჩუკური
არგვიცი
ზემო აჩაბეთი
კორინთა
ბუძგური
ბერულა
ქურთა
საძეგური
გვანდრა
ერედვი
კეხვი
ლარგვისი
ზემო აჟარა
ვანათი
საცხენეთი
სვერი
ქარჩოხი
ზემო ზიმი
ბელოთი
ხეითი
ძარწემი
ალემი
ქვემო ზიმა
ზონკარი
ქემერტი
ჩიტიანი
ზემო ომარიშარი
ქვაბჩარი
ფრონე
დადიანეთი
ვაშლოვანი
ქსუისი
მარცხენა გენწვიში
ერედა
საკენი
დორეთკარი
მარცხენა პტიში
ოქონა
არცევი
არკნეთი
ავნევი
ყანჩაველი
მარჯვენა გენწვიში
ტვირბრაშერი
დელკანი
ნული
ხეცკვარა
ძეგლევი
ჩხალთა
პტიში
დისევი
ნახარი
ჩირქოლი
შაბათკვარა
ბოლი
მრამბა
ომარიშარი
ჭარები
ხუტია
აწრისხევი
კლიჩი
ჯვარისუბანი
ბალაანი
ელოიანი
თინიკაანი
მიდელაანი
ნავიხევი
ოხორი
პავლიანი
ქარელთკარი
ქენქაანი
ჩიგიოანი
წიფათური
ჭორჭოხი
ხოზუეთი
დაბაკნეთი
ზოდეხი
თოხთა
მანჭიკაანი
მარტიანი
მაჭარაანი
მახიარეთი
მუჯუხი
პაპიაანი
უკანამხარი
უკანუბანი
ყველდაბა
შიუკაანი
ბაზუანი
ახალდაბა
ახალსოფელი
ბეჟანაანთკარი
ბარუბანი
ერედა
მორბედაანი
გდუ
ბოსლეთა
ღრუ
კოდიჯვარი
მამულაანი
მონასტერი
ციხისოფელი
ჭანდარი
გეზევრეთი
გუდაწვერი
ნახიდი
ყოჩაანი
წირქოლი
ხარკელანი
გავაზი
გარუეთი
დოგუზაანი
ველისა
კარა
კუცხოვეთი
მშველიეთი
საბარკლეთი
ჩკუნეთი
ცხავათი
ძაგნათი
ხარბალი
ხრამისწყარო
სალბიერი
ნაგომევი
ჩორჩანი
მუხიერითი...









*მამა და შვილი — ცნობილი მსახიობები* ***არჩილ და მიხეილ გომიაშვილები*** *დაბადებულები იყვნენ ერთ დღეს — 23 მარტს, ვერძის ზოდიაქოს ნიშნით. მამას 99 წელი შეუსრულდებოდა, ხოლო შვილს — 64. ორივე მათგანს ჰქონდა ვერძის ნიშნით დაბადებული ადამიანების ხაზგასმული თვისება — იყვნენ კეთილნი და უბოროტონი. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს — მიხეილ გომიაშვილს იხსენებს მისი ქალიშვილი* ***ნატალია გომიაშვილი,*** *რომელსაც მამასთან განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა.*





# ნატალია გომიაშვილი:

# მამა ვერძის ნიშნით იყო დაბადებული, შეიძლება, ვერძის კულონიც ჰქონდა...

**— მამათქვენი მიხეილ გომიაშვილი ზოდიაქოს ნიშნებსა და ჰოროსკოპს მნიშვნელობას ანიჭებდა?**

— მე და მამა მეგობრები ვიყავით, ყოველთვის გულახდილი საუბრები გვქონდა, საინტერესო მთხრობელი იყო, მასთან საუბარში მე და ჩემს მეუღლეს ხშირად დაგვთენებია კიდეც, არაფერს ვუმალავდით, წუთითაც არ ვუშვებდი, რომ რაღაც საკითხის გამო შეიძლება გავეკიცხე. რაც გვაინტერესებდა, ყველა თემას ვეხებოდით, თუმცა, არასოდეს გვისაუბრია ზოდიაქოს ნიშნებსა და ჰოროსკოპზე. ვერძის ნიშნით იყო დაბადებული და, შეიძლება, ვერძის კულონიც ჰქონდა, მაგრამ ამაზე ყურადღება არასოდეს გაუმახვილებია. მე კი ძალიან მაინტერესებს ჰოროსკოპიც და ზოდიაქოს ნიშნებიც, მშვილდოსანი ვარ, ნოემბერში დაბადებული.

**— ვერძის ნიშნით დაბადებული ადამიანი ბრაზსა და წყენას ადვილად ივიწყებს...**

— წყენას გულში არ იტოვებდა და თუ ბრაზდებოდა, უცებ გადაუვლიდა ხოლმე. იყო თბილი, უბოროტო და კეთილი. ვერც კი ვიხსენებ, ოდესმე თუ გამინაწყენდა, ჩვენ ხომ განსაკუთრებული დამოკიდებულება გვქონდა. ბოლოს, მის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ვიდეოზარით დამირეკა. ზღვაზე ვიყავი დასასვენებლად, სასტუმროს ეზოში ვიჯექი და საათზე მეტი ვისაუბრეთ. ბევრი რამ გაიხსენა, ვიცინეთ. რაღაც ბედად, გადავწყვიტე, მამაჩემის ეს საუბარი ჩამეწერა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ვიდეოგამოსახულება ჩაიწერა, ხოლო ხმა — არა. არადა, ეს იყო ჩვენი ბოლო ხანგრძლივი საუბარი. იმ დღეებში მამასთან დაკავშირებით, თითქოს გული რაღაცას მიგრძნობდა, ზღვიდან ორი დღით ადრე დავბრუნდი.

ბოლოს სასწრაფოს მანქანაში ვნახე, როცა საავადმყოფოში გადაჰყავდათ. მითხრა: ნატუკ, მოხვედიო? — კი, მამა მოვედი, აქ ვარ-მეთქი. მეტი არაფერი, ეს იყო ჩვენი ბოლო საუბარი. მესამე დღეს გარდაიცვალა.

**— ვერძები დამოუკიდებელი, გულუხვი და პოზიტიური ადამიანები არიან...**

— მამა იყო ძალიან გულუხვი და კეთილი, რომ გეთქვა, რაც მასთან მოგეწონა, აიღებდა და მოგცემდა. იყო დამოუკიდებელი, გადაწყვეტილების მისაღებად ბევრს არ ფიქრობდა, იტყოდა და აკეთებდა. საოცარი იუმორი ჰქონდა და თუ კარგ ხასიათზე იყო, ხუმრობდა და ასხივებდა. თავისი განცდებით არავის აწუხებდა, ყველაზე მეტად ოჯახის წევრები ვატყობდით, რას აკეთებდა ხალისით და რა სტკიოდა.

**— გაქებდათ, ჩემს ქალიშვილს ძალიან ლამაზი თმა აქვსო...**

— კომპლიმენტებს არ იშურებდა, მეუბნებოდა — ლამაზი ფერის თმა გაქვს, თავი დაანებე ღებვასო. ძალიან ყურადღებიანი იყო, ახალ რამეს ჩაიცვამდი თუ თმას შეიჭრიდი, აუცილებლად აღნიშნავდა. მოწყენილი რომ ენახე, უცებ ისეთ სიტყვას გეტყოდა, საკუთარი თავის რწმენას ჩაგინერგავდა და ერთბაშად აგანთებდა.

**— მამის განებივრებული შვილი იყავით?**

— ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, რომელიც სიყვარულში ვიზრდებოდი.

**— მამა-შვილი არჩილ და მიხეილ გომიაშვილები ერთ დღეს იყვნენ დაბადებულნი, მამათქვენს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მშობლებთან...**

— მშობლები ძალიან უყვარდა, ენატრებოდა, მათზე ხშირად საუბრობდა, განსაკუთრებით მათი გარდაცვალების შემდეგ. ამბობდა: ვერ მოვასწარი მათთვის იმის გაკეთება, რაც მინდოდა, ვერ ვუთხარი ის, რისი თქმაც მსურდა, დროს არ ვაფასებთო.

**„მიუხედავად იმისა, რომ მამა და ბაბუა ერთ დღეს არიან დაბადებული, გარეგნობით და ხასიათით ერთმანეთს ვერ ვამსგავსებ. ბაბუა ბიზნესის ადამიანი იყო, მამას — პირიქით, ხელოვნება აინტერესებდა, კინოს თეატრი ერჩივნა, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თავისი პროფესიის სიყვარული!“**



**— გაიხსენეთ მამის მშობლები — მსახიობები არჩილ გომიაშვილი და ლია მანჯავიძე...**

— ჯერ კიდევ ბავშვი, ბაბუასთან ჩასული ვიყავი მოსკოვში, ვცხოვრობდი ქალაქთან ახლოს აგარაკზე. საქმიანი კაცი იყო, მივყავდით თავის რესტორანში, გვეფერებოდა, გვკითხავდა, რამე ხომ არ გინდათო და ისევ საქმეს უბრუნდებოდა. თბილი და ყურადღებიანი იყო, მაგრამ ისეთი ბაბუ არა, ბავშვებს რომ ასეირნებენ და ზღაპრებს უყვებიან, ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა. აქ როცა ჩამოდიოდა, ერთჯერადად ვხვდებოდით, გვეფერებოდა. მაგრამ, რადგან საქართველოში არ ცხოვრობდა, კარგად არ ვიცნობდი და რასაც ახლა მის შესახებ ვიხსენებ, ეს არის 9-10 წლის ბავშვის მოგონება.

მიუხედავად იმისა, რომ მამა და ბაბუა ერთ დღეს არიან დაბადებული, გარეგნობით და ხასიათით ერთმანეთს ვერ ვამსგავსებ. ბაბუა ბიზნესის ადამიანი იყო, მამას — პირიქით, ხელოვნება აინტერესებდა, კინოს თეატრი ერჩივნა, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თავისი პროფესიის სიყვარული.

რაც შეეხება ბებიას — **ლია მანჯავიძეს,** ეს იყო ულამაზესი ქალი, მე განსაკუთრებით ვუყვარდი. დედაჩემმა მიამბო, როცა პატარაობაში ღამით არ ვიძინებდი, მამაჩემს მკაცრად უთქვამს ჩემთვის, ახლავე დაიძინეო. ოთახში ბებია შემოსულა, შენ ვის გაუჯავრდიო, ხელი მომკიდა და თავის ოთახში წამიყვანა. მას შემდეგ სულ ბებიასთან მეძინა, ჩემი სამყარო მქონდა. ბებია კარადიდან გამოიღებდა ხოლმე თავისი ბავშვობის თოჯინას, რომელიც ჯერ კიდევ 1921 წელს — მისი დაბადებისას ჩამოუტანეს საფრანგეთიდან, შუაში ჩავიწვენდით ხოლმე და ასე ვიძინებდით. ამასწინათ მე და ჩემმა ბიძაშვილმა — უმცროსმა **არჩილ გომიაშვილმა** გავიხსენეთ — როცა ბებია აძინებდა, ეს თოჯინა, თურმე, მათაც შუაში ეწვათ.

**— რა ერქვა ამ თოჯინას?**

— მექანიზმებზე იყო, იქოქებოდა და ფრანგულად ლაპარაკობდა — მამა-პაპას იძახდა. ასეც ერქვა — მამა-პაპა. ახლა ის ჩემთან ინახება, უკვე 120 წელზე მეტი ხნისაა, სარესტავრაციოა, დაზიანებულია მექანიზმი, აღარც თმა აქვს. ვეძებ ხელოსანს, რომელიც გააახლებს. ეს თოჯინა მთელი ჩემი ბავშვობაა, დიდი პომპეზურობით მაჩუქა ბებიამ.

**— მამის გარდაცვალების შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში დადიხართ?**

— არა, ბოლოს იქ ვიყავი მამის გასვენების დღეს, შემდეგ მისდამი მიძღვნილ საღამოზე. ერთხელაც მაშინ, როცა ჩემი ბიძაშვილი — მსახიობი **ბესო მეგრელიშვილი** გარდაიცვალა. მამის შემდეგ იქ სპექტაკლს არ დავსწრებივარ. ალბათ, გამივლის ეს განცდები. მისი სპექტაკლების მერე აუცილებლად შევდიოდი კულისებში, ხანდახან კულისებიდან ვუყურებდი თამაშს, ხან მეგობრებთან ერთად პარტერში ვიჯექი.

**— მიხეილ გომიაშვილი როგორ აღნიშნავდა დაბადების დღეებს?**

— აღნიშნავდა ვიწრო წრეში, ოჯახის წევრებთან. თავის დაბადების დღეზე ხშირად სპექტაკლი ჰქონდა.

**— რას ეტყოდით მამას?**

— არ ვფიქრობ ამაზე, ყოველდღიურობაზე დაველაპარაკებოდი, თუ სხვა საინტერესო თემაზე... **მამას ჯერ არ დავმშვიდობებივარ!**

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიცაშვილი***

# თევზები: 19 თებერვალი – 20 მარტი

***მიმდინარე კვირა ზოდიაქოს ნიშნებისთვის გარდამავალია — 21 მარტიდან თევზების ნიშანს ჩაანაცვლებს ვერძის ნიშანი, რომელიც 19 აპრილამდე გაგრძელდება. ზოდიაქოს ნიშნებს შორის გადასვლა ხასიათდება უნიკალური ენერგიით, რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ამ გარდამავალ პერიოდში დაბადებულ ადამიანებზე. თუ თევზის ნიშანი გამოირჩევა თავისი სენსიტიურობითა და სიღრმით, მის შემდეგ მომავალი ვერძი ენერგიული და უშიშარია. ამიტომ ასტროლოგებს მიაჩნიათ, რომ 17 მარტიდან 24 მარტამდე დაბადებული ადამიანები ერთდროულად ფლობენ როგორც თევზის ემოციურობასა და ინტუიციას, ისე ვერძის სიმამაცესა და ბრძოლის უნარს. ისინი ერთდროულად არიან მეოცნებენიც და რეალისტებიც, მშვიდნიც და მოუსვენარნიც.***

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.





**1929 წლის 18 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა პოეტი **შოთა ნიშნიანიძე (მამაგეიშვილი).** გარდაიცვალა 70 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1830 წლის 18 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა მწერალი და მთარგმნელი **დანიელ ჭონქაძე.** გარდაიცვალა 30 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1937 წლის 18 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა კინორეჟისორი, სცენარისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი **სოსო ჩხაიძე.** გარდაიცვალა 55 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1952 წლის 18 მარტს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა იურისტი, პოლიტიკოსი, საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი **როლანდ ბილიგაშვილი.** გარდაიცვალა 71 წლის, კურდღლის წელიწადში.



**1816 წლის 19 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი, **ალექსანდრე ჭავჭავაძის** ასული **ეკატერინე ჭავჭავაძე.** გარდაიცვალა 66 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1901 წლის 19 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა კინორეჟისორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **შოთა მანაგაძე.** მისი ფილმებია: „ჭირვეული მეზობლები“, „საბუდარელი ჭაბუკი“, „ხევსურული ბალადა“, „კეთილი ადამიანები“. გარდაიცვალა 76 ასაკში, გველის წელიწადში.



**1909 წლის 19 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოსა და სომხეთის სსრ სახალხო არტისტი **კოტე დაუშვილი.** გარდა-

## მიმდინარე კვირა: 17 - 23 მარტი

### თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1983 წლის 17 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი, კომპოზიტორი და მსახიობი **თაკო გაჩეჩილაძე.**



**1988 წლის 17 მარტს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მოჭიდავე, 2013 წლის ევროპის ჩემპიონი **გიორგი ედიშერაშვილი.**



**1941 წლის 18 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა მევიოლინე, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **თამაზ ბათიაშვილი.**



**1982 წლის 18 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა კომიკოსი, სცენარისტი **მიშა ანდღულაძე.**



**1952 წლის 18 მარტს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს მე-5 პრეზიდენტი, საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 2004 წლის მარტიდან 2005 წლის ოქტომბრამდე **სალომე ზურაბიშვილი.**



**1965 წლის 18 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, კინომსახიობი, მარჯანიშვილის თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი **ლევან (ჭოლა) წულაძე.**

**1968 წლის 18 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა



ფეხბურთელი, 1990-იან წლებში საქართველოს ნაკრების წევრი, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი 2009-2014 წლებში, კვიპროსის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი 2022 წლიდან **თემურ ქეცბაია.**



**1973 წლის 18 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა კინორეჟისორი და სცენარისტი **ლევან კოღუაშვილი.** ცნობილი გახდა ფილმით „ქუჩის დღეები“.



**1977 წლის 18 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი ვეტერანი ფეხბურთელი, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვილი სანიოლი.**



**1980 წლის 18 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი **ბექა დავითულიანი.**



**1990 წლის 18 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი და ტელეწამყვანი **გიორგი ბახუტაშვილი.**



**1947 წლის 19 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ექიმი-კარდიოლოგი და მსახიობი **სერგო ორჯონიკიძე.**



**1963 წლის 19 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი, პრიმა-ბალერინა **ნინო ანანიაშვილი.**

**1975 წლის 19 მარტს, კურდღლის წელიწადში,** და-



იბადა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, პოლიტიკური პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე **გიორგი გახარია.**



**1983 წლის 20 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა პოეტი **პაატა შამუგია.**

### თევზების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1927 წლის 17 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი, პიანისტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **სულხან ნასიძე.** გარდაიცვალა 69 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1968 წლის 17 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ყოფილი მინისტრი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი **ნიკა რურუა.** გარდაიცვალა 50 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1907 წლის 18 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა **იოსებ სტალინის** უფროსი შვილი პირველი ქორწინებიდან, არტილერისტი **იაკობ (იაშა) ჯუღაშვილი.** გარდაიცვალა 36 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1918 წლის 18 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, **ზურა ყიფშიძის** მამა **ავთანდილ ვერულეიშვილი.** გარდაიცვალა 69 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 17 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.09 საათზე, ჩადის 18.10 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ღრიანკალის ზოდიაქოში 11.23 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 23.49 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 11.32 საათამდე. **ტენდენციები: 30 მარტამდე პლანეტა ნეპტუნის ენერგიათა შეერთება შუატის ვარსკვლავის ენერგიებთან მეტად განაპირობებს ამ პერიოდში წყალთან დაკავშირებულ კატასტროფებს, წყალდიდებებს, იყავით ყურადღებით.** დღეს გაუფრთხილდით თქვენს საყვარელს, ნუ უღალატებთ მას. კარგია სახლის კეთილმზაობა, თავი აარიდეთ უსიამოვნო საუბრებს დღეს და ხვალ. საკვებ რაციონში მეტად შეიტანეთ თაფლი, კარტოფილი. პარტნიორულ ურთიერთობებში ადვილად მოგვარდება სადავო საკითხი. დღეს და ხვალ თავი შეიკავეთ ინტიმური კონტაქტებისაგან (ვენერიული დაავადებები), აბორტის გაკეთებისაგან. ეფექტურია ყელ-ყურ-ცხვირის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა, მეტი იმოძრავეთ. მოერიდეთ რენტგენს, სხივურ თერაპიას, გინეკოლოგთან ვიზიტს, ახალი საქმის დაწყებას, საქმიან თანამშრომლობას, მგზავრობას, ადგილსამყოფლის (ბინის) შეცვლას, სოცუზრუნველყოფისა და დაზღვევის ორგანიზაციებთან ურთიერთობას, სესხის აღებას. უახლოეს 20 დღეში კარგი დღეა მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, თვითშემეცნებისა და კომპეტენტურობის გამოსავლენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო, რეპროდუქტიული სისტემები. **ქვები:** ოპალი, თოფაზი, ობიდიანი, მარჯანი, იასპი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ტყუპებისთვის.

### 18 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.08 საათიდან 18.11 საათამდე. **მთვარე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 22.32 საათიდან 07.35 საათამდე (მთვარის მე-19 დღე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: წლის ბოლომდე პროზერპინასა და ზუბენ ელ შემალის ვარსკვლავის ენერგიათა შეერთება ამ პერიოდში მეტად განაპირობებს — პატიმრობას, უსამართლოდ დადანაშაულებას, სირცხვილის ბულინგს, ქონების დაკარგვას, ქრონიკულ დაავადებებს, ახალი ინფექციური დაავადებების და ეპიდემიების ალბათობას, იყავით ყურადღებით.** დღეს მოერიდეთ ზედმეტი საქმეების შესრულებას. დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ. მოერიდეთ ზედმეტ საუბარს, ხალხმრავალ ადგილებს (თვალისაღება, აურის დაბინძურება). კარგია სველი წესით დალაგება, კულინარია, სასუნთქი სისტემის მკურნალობა. ნეგატიური დღეა რენტგენისა და სხივური თერაპიისთვის, ახალი საქმის დასაწყებად, სამსახურში ახალი თანამშრომლების მიღებისთვის, ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, აბორტის გასაკეთებლად, ინტიმური კონტაქტებისთვის (ვენერიული დაავადება), მგზავრობისთვის, სოცუზრუნველყოფისა და დაზღვევის ორგანიზაციებში ურთიერთობისთვის. სასიკეთო დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისა და მასაჟისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო, რეპროდუქტიული სისტემა. **ქვები:** ოპალი, ობსიდიანი, მარჯანი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

### 19 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 06.06 საათზე, ჩადის 18.12 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს მშვილდოსნის ზოდიაქოში 23.07 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 01.11 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.29 საათიდან 00.18 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს ნდობა, მზრუნველობა. მოერიდეთ რენტგენს, სხივურ თერაპის, გინეკოლოგთან ვიზიტს, ინტიმურ კონტაქტებს, აბორტის გაკეთებას, ახალი საქმის დაწყებას, საქმიან თანამშრომლობას, სამსახურში ახალი თანამშრომლების მიღებას, მგზავრობას, ადგილსამყოფლის (ბინის) ყიდვას, სოცუზრუნველყოფისა და დაზღვევის ორგანიზაციებთან ურთიერთობებს, სესხის აღებას, ნოტარიულად საბუთების გაფორმებას. პოზიტიური დღეა გამოძიებისთვის, რეცხვისთვის, რემონტისთვის, თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, ფრჩხილების დასაჭრელად, ალპინიზმისთვის, გეგმების დასახვისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ნადირობისა და თევზაობისთვის, დაკარგული ნივთების საძიებლად, ცხოველების, ანტიკვარიატის შესაძენად, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ექსპერტიზისთვის. საკვებ რაციონში მეტად შეიტანეთ თევზეული, ბროწეული. დღეს შეჭრილი თმები შემდგომ სწრაფად გაიზრდება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო, რეპროდუქტიული სისტემა. **ქვები:** ოპალი, თოფაზი, ზურმუხტი, მარგალიტი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

### 20 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში 13.07 საათზე. ამოდის 06.04 საათზე, ჩადის 18.13 საათადე. **მთვარე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 23.58 საათზე, ჩადის 08.33 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 02.34 საათზე. მე-3 ფაზა; **დღეღამტოლობა** 13.01 საათიდან). **ტენდენციები: მზე დღეიდან ერთი თვით გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში** და ამ ზეგავლენის შედეგად მეტად განავითარებს ადამიანებში ენერგიულ მოქმედებას, ლიდერულ-ორგანიზატორულ თვისებებს, უშიშარ-მებრძოლ სულისკვეთებას, კომუნიკაბელურობას, გონებამახვილობას, ამავდროულად სულსწრაფობას, უყაირათობას, სიჯიუტეს, აგრესიას, კამათისადმი მიდრეკილებას, ეგოიზმს, დიქტატურულ თვისებებს. დღე საკრალურია — **გაზაფხულის დღეღამტოლობაა,** სასიკეთოა ენერგიის მოზღვავება, ხელს უწყობს — ლოცვას, სურვილების ჩათქმას, ოცნებების ჩამოყალიბებას, ოპტიმიზმით განეწყვეთ. შეიძლება ახლებურად ცხოვრების დაწყება ან გაგრძელება, პატიება, ურთიერთობის ახლებურად დალაგება. დღეს ხანგრძლივი მოქმედების გეგმებს ნუ დააწესებთ. ყველას უსურვეთ სიკეთე და ბედნიერება, ჯანმრთელობა. დააპურეთ ჩიტები, ცხოველები. სასიკეთო დღეა სულიერი განვითარებისთვის, სწავლისთვის, იურიდიული საქმეებისათვის, სასამართლო პროცესებისთვის, განცხადებებისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, მოგზაურობისთვის, ექსკურსიებისთვის, სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის, საიუბილეო საღამოებისა და დაჯილდოებისთვის, ხელშეკრულებების დასადებად, პრეზენტაციებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის. რთული დღეა მშენებლობისთვის, სისხლის გადასხმისთვის. **ჯანმრთელობა: დასუსტებულია** ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, სარდიონი, ამეთვისტო, იაგუნდი, ნეფრიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის.

# ვერძი: 21 მარტი – 19 აპრილი

იცვალა 71 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1919 წლის 19 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, **უშანგი ჩხეიძის** და **ნინო ჩხეიძე.** გარდაიცვალა 99 წლის, ძაღლის წელიწადში.

**1943 წლის 19 მარტს, თხის წელიწადში**, დაიბადა კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი და პროდიუსერი



**ნოდარ მანაგაძე.** გარდაიცვალა 63 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.

**1933 წლის 20 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, პროზაიკოსი, პოეტი და დრამატურგი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი **ოთარ ჭილაძე.** გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1926 წლის 20 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა კინორეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **ნანა მჭედლიძე.** მისი გადაღებულია ფილმი „პირველი მერცხალი“. გარდაიცვალა 90 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



## თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ:

**1939 წლის 17 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი მწვრთნელი, ყოფილი ფეხბურთელი, ერთ-ერთი წარმატებული მწვრთნელი ევროპაში **ჯოვანი ტრაპატონი.**





**1951 წლის 17 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ცნობილი ამერიკელი მსახიობი **კურტ რასელი.**



**1959 წლის 18 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი კინორეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი **ლიუკ ბესონი.**

**1976 წლის 18 მარტს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ბრაზილიელი მსახიობი, ტელეწამყვანი და პროდიუსერი **ჯოვანა ანტონელი.**





**1955 წლის 19 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, პროდიუსერი და მუსიკოსი, ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი **ბრუს უილისი.**

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 21 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.03 საათზე, ჩადის 18.14 საათზე. **მთვარე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 00.39 საათზე, ჩადის 09.13 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 03.54 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** ეცადეთ, მაქსიმალურად გამოიყენოთ უნიკალური შესაძლებლობები, რომლებსაც მოგცემთ დღევანდელი დღე, კეთილშობილი მიზნების მისაღწევად. მოიმატებს სულიერი ცოდნისადმი მიდრეკილება. კარგი დღეა შემოქმედებითი მუშაობისთვის, იურიდიული საქმეებისა და სასამართლო პროცესებისათვის, კონსულტაციისთვის, პარტნიორულ ურთიერთობებში აკონტროლეთ სიტყვები. მოერიდეთ ცხიმიან საკვებს, მშენებლობას, სისხლის გადასხმას, ყურების გახვრეტას. ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს ქუჩაში. სასიკეთო დღეა სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის, სპორტული ნივთების შესაძენად, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისთვის, სწავლისთვის, განცხადებებისთვის, ტურისტული ლაშქრობებისა და ექსკურსიებისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის (საელჩო), უცხოეთში კაპიტალდაბანდებისთვის, პარტნიორული თანამშრომლობისთვის, ხელშეკრულებების დასადებად, ტატუსთვის, პრეზენტაციებისთვის, საზოგადოებრივი აქტიურობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, საიუბილეო საღამოებისა და დაჯილდოებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, სერდოლიკი, ლაზურიტი, საფირონი, ლალი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

### 22 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.01 საათზე, ჩადის 18.15 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს თხის რქის ზოდიაქოში 11.25 საათზე. ამოდის 01.39 საათზე, ჩადის 10.02 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 05.02 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.54 საათიდან 11.30 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღებით მიუდექით დღეს მიღებულ შეთავაზებებს. დღეს და ხვალ კარგი დღეებია ახალი გაცნობისა და შეხვედრებისთვის, საყოფაცხოვრებო და საოჯახო საქმეებისთვის. მოიმატებს შიშის, ეჭვიანობის გამოვლენა, სიფრთხილე გმართებთ ხარბ, შურიან ადამიანებთან. კომუნიკაცია ვერ მოიტანს მოსალოდნელ შედეგს. წინააღმდეგობების და გეგმების ტენდენცია მაღალია. პარტნიორულ ურთიერთობებში მოერიდეთ საყვედურებს. ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, ფილტვების, მკერდის მკურნალობა, კანის, ფრჩხილების მოვლა. მოერიდეთ ტატუს, მანუალურ მასაჟს, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელებთან ურთიერთობებს, ერიდეთ ოპერაციებს, ქორწინებებს, სტომატოლოგიურ პროცედურებს, თაფლის, თხილის და სხვა ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღებას, მკვეთრ მოძრაობებს, სიმძიმეების აწევას. პოზიტიური დღეა კოლექციის შესაგროვებლად, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის, ექიმებთან კონსულტაციებისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ნადირობისა და თევზაობისთვის, ექსპერტიზისთვის, ეპილაციისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ხერხემალი, ძვლოვანი სისტემა, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

### 23 მარტი , კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.59 საათზე, ჩადის 18.17 საათზე. **მთვარე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 02.32 საათზე. ჩადის 11.02 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 05.51 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს განწყობა ცვალებადია. დაასრულეთ ძველი საქმეები, შეასრულეთ დაპირებები. შესაძლებელი იქნება ურთიერთობების აღდგენა ან გამოსწორება. ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, ფილტვების, მკერდის მკურნალობა, კანის, ფრჩხილების მოვლა. საკვებ რაციონში მეტად შეიტანეთ ყავისფერი ბრინჯი, წიწიბურა, ჭვავის პური, წითელი თევზი, ყველი, ხაჭო, ფორთოხალი. მოერიდეთ სიმძიმეების აწევას, მკვეთრ მოძრაობებს, მანუალურ მასაჟს, ტატუს, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელებთან ურთიერთობებს, გავლენიან პირებთან კონტაქტებს, ვაჭრობას, ქორწინებას, ახლო კავშირებს, ახალი თანამშრომლების მიღებას, სტომატოლოგიურ პროცედურებს, გაცვლით ოპერაციებს. სასიკეთო დღეა მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად, კოლექციის შესაგროვებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ნადირობისა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ეპილაციისათვის, მშენებლობისთვის, ზუსტი მეცნიერებისა და ისტორიის შესასწავლად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპებისთვის, მშვილდოსნისთვის.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია: 18,19,22 და 23 მარტი

**29 მარტი – ახალმთვარეობა, მზის დაბნელება.**

## თევზების ზოდიაქოს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1811 წლის 17 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი მწერალი და დრამატურგი, თანამედროვე გერმანული სოციალური რომანის ფუძემდებელი **კარლ გუცკოვი.** ქართული თეატრის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გუცკოვის „ურიელ აკოსტას“ კოტე მარჯანიშვილისეული დადგმა. გარდაიცვალა 67 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.

**1969 წლის 17 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი, მოდის დიზაინერი **ალექსანდრ მაკ-ქუინი.** გარდაიცვალა 41 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.





**1842 წლის 18 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი პოეტი, სიმბოლიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი **სტეფან მალარმე.** გარდაიცვალა 56 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.

**1858 წლის 18 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი ინჟინერი, დიზელის ძრავის გამომგონებელი **რუდოლფ დიზელი.** გარდაიცვალა გაურკვეველ ვითარებაში 55 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.





**1938 წლის 18 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ინდოელი მსახიობი **შაში კაპური.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.

**1872 წლის 19 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა რუსი ხელოვნებათმცოდნე, მოცეკვავე და ქორეოგრაფი, საბალეტო იმპრესარიო, ცნობილი საბალეტო დასის „ბალე-რუსი“ დამფუძნებელი **სერგეი დიაგილევი.** გარდაიცვალა 57 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



## ვერძის ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:

**1935 წლის 21 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა კინორეჟისორი, საქართველოს სსრ-ის სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **მერაბ კოკოჩაშვილი.**





**1939 წლის 21 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა თავისუფალი სტილის მოჭიდავე, ტოკიოს ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი **ზურაბ სალარაძე.**

**1966 წლის 21 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ექიმი, პოლიტიკოსი, საქართველოს ხუთი მოწვევის პარლამენტის წევრი **კახა ოქრიაშვილი.**





**1945 წლის 22 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა საბჭოთა პერიოდის საქართველოს უკანასკნელი პოლიტიკური ლიდერი **გივი გუმბარიძე.**

**1973 წლის 22 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ყოფილი მინისტრი, საქართველოს პარლამენტის მე-10 მოწვევის წევრი **კახა კახიშვილი.**





**1982 წლის 22 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ფემინისტი და ქალთა უფლებათა დამცველი **ბაია (ბაბუცა) პატარაია.**

**1959 წლის 23 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი და დირიჟორი, თბილისის საპატიო მოქალაქე **ვახტანგ კახიძე.**



## ვერძის ზოდიაქოს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1938 წლის 21 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა კომპოზიტორი და მომღერალი **ეთერ ჭელიძე.** გარდაიცვალა 49 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.

**1939 წლის 22 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ქართული პანტომიმის სკოლის ფუძემდებელი, მსახიობი, რეჟისორი, თბილისის საპატიო მოქალაქე **ამირან შალიკაშვილი.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.





**1926 წლის 23 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, ბიზნესმენი, საქართველოს სახალხო არტისტი **არჩილ გომიაშვილი.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.

**1944 წლის 23 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ქართველი ებრაელი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, ებრაულ თემთა ევროკავშირის ორგანიზაციათა წევრი **ჯემალ აჯიაშვილი.** გარდაიცვალა 68 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.





**1961 წლის 23 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა კინოსა და თეატრის მსახიობი, **არჩილ გომიაშვილის** ვაჟი **მიხეილ გომიაშვილი.** გარდაიცვალა 61 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.

## ვერძის ზოდიაქოს ნიშნით დაიბადნენ:



**1961 წლის 21 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი სპორტსმენი, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ხუთი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე **ლოთარ მათეუსი.**

**1980 წლის 21 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ბრაზილიელი ფეხბურთელი **რონალდო დე ასის მორეირა** — ცნობილია, როგორც **რონალდინიო.** ამჟამად ესპანურ კლუბ „ბარსელონას“ ელჩი.





**1943 წლის 22 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მუსიკოსი, გიტარისტი და მომღერალი, სიმღერების ავტორი **ჯორჯ ბენსონი.**

## ვერძის ზოდიაქოს ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:

**1921 წლის 21 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა **იოსებ სტალინის** უმცროსი შვილი, საბჭოთა სამხედრო მფრინავი, მოსკოვის სამხედრო ოლქის საჰაერო ძალების სარდალი **ვასილი სტალინი.** გარდაიცვალა 42 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.





**1960 წლის 21 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა „ფორმულა 1“-ის ყველა დროის საუკეთესო მრბოლი, მსოფლიო ჩემპიონი **აირტონ სენა.** ტრაგიკულად დაიღუპა 34 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.

**1923 წლის 22 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მსახიობი, პარიზის მიმების სკოლის დამაარსებელი **მარსელ მარსო.** გარდაიცვალა 84 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



| ქიმიური ელემენტი, ლითონი | კეთილთვისებიანი სიმსივნე | ლექსი – ... სწორია" | სახის ნაწილი | ესტონეთის დედაქალაქი | პარფიუმერული სითხე | ... ბანი, ბანი |
|---|---|---|---|---|---|---|

| გამარჯვების ქალღმერთი | ერთად თავშეყრილი ხალხი | სოფელი ახმეტის რაიონში | მკითხავი, გულთმისანი | ქონება, ფული | მდინარე აფრიკაში | ქართველი მსახიობი მამაკაცი ... |
|---|---|---|---|---|---|---|



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. სამხატვრო გამოფენის გახსნის დღე; 8. ხმელეთის სმერჩის სახელწოდება აშშ-ში; 12. ლატვიელი მწერალი; 13. მარადმწვანე ტროპიკული ხე; 14. მოძღვრება რიტმის შესახებ; 15. შუამავალი ვაჭრობაში; 16. ნიანგის სახეობა; 21. ქართული სიმებიანი საკრავი; 22. საბერძნეთის კუნძული; 25. სივრცეში მოძრავი რაიმე საგნის გზა; 26. პანის მიერ გამოწვეული შიში; 29. ცხენებშებმული საქალაქო რკინიგზის ვაგონი (ძვ.); 30. პატარა ტიკი; 31. მცირე ნაკლი; 34. ქართველი კალათბურთელი; 37. უბედური შემთხვევა, საშინელი ამბავი; 38. ჯავშნიანი საბრძოლო მანქანა; 39. მეორე ნოტი; 40. ქართული ჩასაბერი საკრავი; 43. პოლონური ხალხური ცეკვა; 48. რაიონული ცენტრი რაჭაში; 50. ბერძნული ტ-ს სახელი; 51. საყვავილე ვაზა; 53. ციტრუსი; 56. ესპანელი ექსფეხბურთელი; 59. იაპონელი თვითმკვლელი მფრინავი იაპონიაში; 63. ევროპელ ებრაელთა ენა; 66. მსხლის ჯიში; 68. ტყვიით გატენილი თოფის მასრა; 69. ხვლიკის მსგავსი წყალხმელეთა ცხოველი; 70. ფრანგი მსახიობი ჟერარ ...; 71. სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს ახალს.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ყველაზე კაშკაშა მცირე პლანეტა; 2. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 3. ოდისევსის სამშობლო („ოდისეა"); 4. აშშ-ის კოსმოსური ხომალდი; 5. დამრეცი, ალმაცერი; 6. მდინარე აფრიკაში; 7. „თავისუფალი მცველი" ფეხბურთში; 8. რბილმერქნიანი ხე; 9. გუმბათიანი მრგვალი შენობა; 10. სილის გაწვნა; 11. თიხის პატარა ზომის ჩასაბერი საკრავი; 17. ლიტერატურის სახეობა; 18. სხეულის ტანის მარჯვენა ან მარცხენა ნაწილი; 19. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 20. ძალიან იშვიათი ნივთი; 22. იტალიელი კომპოზიტორი; 23. პელოპონესის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი; 24. ამერიკელი მომღერალი და მსახიობი ფრენკ ...; 26. იტალიაში სასახლე; 27. კვირტებიანი ხის ნორჩი ტოტები; 28. ძაღლის სახეობა; 32. აზრი, ჩანაფიქრი; 33. დაბალი ფასის; 34. გველის ხმიანობა; 35. მდინარე აფრიკაში; 36. ფრანგი მოქანდაკე ქალი ... კლოდელი; 41. არჩევანის ნაწილაკი; 42. გერმანიის სამრეწველო რაიონი; 44. მექსიკური წარმოშობის ცეკვა; 45. საფრანგეთის პრინცი, ჰუგენოტების ბელადი; 46. პირბადე; 47. ამერიკელი მწერალი ... კიზი; 49. მთავარი საწყობი; 50. სასროლეთი; 52. მტაცებელი ფრინველი; 54. ედმონდ დანტესის საპატიმრო (დიუმა); 55. სანელებელი; 57. დარბაზობა; 58. სპორტული ცურვის სახეობა; 59. აქლემის ზურგის „მშვენება"; 60. მედიცინის მუშაკი ...-გინეკოლოგი; 61. არჩილის და („ოთარაანთ ქვრივი"); 62. ღონე; 64. მდინარე რუსეთში; 65. ამერიკელი მსახიობი და მომღერალი ქალი; 67. ელექტრული წინაღობის საზომი ერთეული.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 27-ე გვერდზე*

| უდარდელი, უზრუნველი კაცი | ციტრუსი | ავტო-კატასტროფა | მწყემსების წამოსასხამი | საყოფაცხოვრებო ტექნიკის იაპონური ფირმა | იტალიელი ბატონი |
|---|---|---|---|---|---|

| რისამე ფიქრი, ჯავრი | ქალის თავსაბური | ქართველი მსახიობი მამაკაცი | ბარბა-დოსელი მომღერალი | შვილიშვილი | რკინიგზის ყრილი, რომელზეც შპალებია განლაგებული | სანელებელი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

☺ სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

👎 პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

😐 მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

[?] ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

⚥ მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

⤵ მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

🔔 მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

👔 მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

👫 რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

☝ ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

🎁 შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 ორშ. | ☯ | 🤼 | 👔 | ⤵ | ☝ | 🤝 | 👫 | ✈ | ☺ | ☝ | 📖 | ☺ |
| 18 სამშ. | 📖 | ⚥ | ⤵ | 👫 | ⤵ | 😐 | ⚥ | 🌴 | 📖 | 👔 | 👫 | [!] |
| 19 ოთხშ. | [?] | 🤝 | ♠ | ☝ | [!] | ♠ | ♠ | [!] | ☺ | ☺ | ✈ | ☝ |
| 20 ხუთშ. | ✈ | ☺ | 👫 | ✈ | ☝ | ☺ | [?] | 👔 | ⚥ | ☺ | ☺ | 🤝 |
| 21 პარ. | 👫 | [!] | 🤝 | 🌴 | 🔔 | 💣 | ☺ | 👫 | ☝ | 😐 | ⤵ | 😐 |
| 22 შაბათი | ☝ | ☯ | ⚥ | 😐 | 🌴 | 🔔 | ☯ | ☝ | 🍷 | ☯ | 👎 | ⤵ |
| 23 კვირა | 😐 | ⤵ | 👫 | 🔔 | 👍 | ⚥ | 🤼 | 📖 | ☺ | 👎 | ♠ | ☺ |

🤼 რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

📖 შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

👍 კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

💣 მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

✈ წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

🤝 სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

♠ ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

☯ შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

🍷 შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

[!] გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

🌴 იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვიადისტური
ასავალ დასავალი
2025 წლის 17 – 23 მარტი №12 (1583)
გამოდის ორშაბათობით

2009882637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**

